16567
2

„ათლების“ ამხანაგობის გამოცემა.

სილოვან ხუნდაძე.

# აკაკი წერეთელი

## I. ცხოვრება.

(1840 წლის 9 ივნისი—1915 წლის 26 იანვარი).

ქუთაისი
სტამბა ი. მ. ხელაძისა
1918

# აკაკი წერეთელი

## (1840 - 1916)

## I. ცხოვრება

(1840 წლის 9 ივნისი — 1916 წლის 26 იანვარი).

აკაკის თხზულებაში, რომელსაც სახელად „ჩემი თავგადასავალი“ ეწოდება, ბევრი ძვირფასი მასალაა ჩვენი პოეტის ყმაწვილობისა, მისი დედ-მამის ზნეჩვეულებისა და ყოფაცხოვრების შესახებ.

აი რას მოგვითხრობს პოეტი ამ წიგნში თავის დაბადებაზე:

„ყოველგვარ მდინარეს გიყმაყი ხევის წყალი მირჩევნია — და მათში კი უპირატესობას ერთს მათგანს, ჩიხურას, ვაძლევ: ის იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე. სწორედ ამ ჩიხურის პირად, მაღლობზე, დგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგძე დარბაზისა და სისქე — ციხისა, მაგრამ არც ერთს მათგანს კი არა გავს... აი ამ სახლში დაბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას, 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში კი 1841 მაწერია“-ო.

თავად-აზნაურთა ოჯახების ჩვეულებისამებრ, ახალი დაბადებული გასაზრდელათ ძიძისთვის მიუბარებიათ ქახლობელ სოფელ სავანეში.

**ძიძის** ოჯახში **აკო** (ასე ეძახოდენ მას პატარაობისას) 5 წლამდი დარჩა და იქ გატარებულ დროს დიდის აღტაცებით იგონებს პოეტი, როგორც სანეტარო დროს, როცა იგი მშვენიერი ბუნების წიაღში თავისუფლათ დახტოდა და დანავარდობდა, გლეხების შვილებში — ტოლ-ამხანაგებში ცელქობდა და თამაშობდა...

„არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ, თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, — უფრო იმის წყალობით, რომ სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“-ო, — ამბობს პოეტი თავის „თავგადასავალში“.

**მართლაც, აკაკი** უბრალო ხასიათის მქონი იყო, არ უყვარდა დიდკაცური ჩაცმა-დახურვა და ყოფაცხოვრება, შესახვედრათ მეტათ თავაზიანი იყო და თავდაბალი. **ეჭვი** არ არის, რომ მასში ამგვარი ხასიათის შემუშავებას მისი ყმაწვილობის აღზრდამ და წრემ შეუწყო ხელი.

**ძიძის** სიყვარულმა და გლეხების ბავშვებში სრული კმაყოფილებით გატარებულმა დრომ ღრმა კვალი დასტოვა პოეტის გრძნობა-გონებაში — და ამიტომაც იყო, რომ **აკაკი** შემდეგში სულ ხალხში ტრიალობდა, **საქართველო** კიდით-კიდემდი შრა-

ვალჯერ შემოვლილი ქონდა და ხალხს კარგათ იცნობდა. — პოეტის შემდეგი სიტყვები გვიჩვენებს, თუ რამდენათ ძლიერათ აღძვრია ყმაწვილს ცნობისმოყვარეობა ძიძასთან ყოფნის დროს და თავიდანვე როგორ დაკავშირებია იგი ხალხის ცხოვრებას:

„ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგათ ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურის-გდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცება, გამოცხობა, სხვადასხვაგვარი შეჭამადის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა ხვნა-თესვა, თახნა, სხვლა და სხვანი“-ო.

ძიძასთან ყოფნის დროს საჩხერიდან კაკოს ხშირათ ეწვეოდენ ხოლმე „ბატონები“, მაგრამ კაკოს მათი მოსვლა დიდათ არ ასიამოვნებდა, რადგანაც გული ტყე-მიდვრისა და სამწყესურისაკენ ქონდა.

„კიდევ ჩემი ბედი, რომ დიდხანს არ იცდიდენ სოფელში — და მეც, გავაცილებდი ხოლმე თუ არა მათ ცოტა მოშორებით, ისევ გავრბოდი სამწყესურში“-ო, — ამბობს პოეტი: „იქ სოფლის ბიჭები, ჩემი ამხანაგები, გამომკითხავდენ ხოლმე: რა მოგიტანეს, რა გითხრეს ბატონებმა, როგორ იყვნენ, და სხვ.; ამის გამოკითხვის შემდეგ ჩვენც მაშინვე **ბატონობიას** თამაშს დავიწყებდით ხოლმე: ზოგი ქალბატონს წარმოადგენდა, ზოგი ვითომ

კაპიტანი იყო, ზოგიც მხლებლები... გადავჯდებოდით ჯოხის ცხენებზე და ჩვენს მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა“-ო.

სოფლურ თამაშობებში აკაკის განსაკუთრებით „ქორობია“ ჩარჩენია გრძნობა-გონებაში, რადგან პოეტს ეს თამაშობა ორს დიდათ საგრძნობელ გარემოებას აგონებდა: საყვარელი ძიძის მოშორებას და საყვარელი სამშობლოს ბედიღბალს. აი რას ამბობს იგი ამ თამაშობის შესახებ:

„არ ვიცი, ეს თამაშობა, რომელიც სავარჯიშოთ დიდი არა არის რა, განზრახ იყო გამოგონებული რაიმე სამნიშვნელოთ, თუ ისე შემთხვევით, უბრალოთ. მაგრამ, დღეს რომ ვუკვირდები, ძალიან მაგონებს ჩვენი ქვეყნის ბედს. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ისტორია სწორეთ ქორობიას წარმოადგენდა: საქართველო კრუხი იყო, სიცოცხლეგამწარებული, და სხვა მისი კუთხეები — წიწილები!... მტრები ქორებივით ესეოდენ... იტაცებდენ ხან ერთ მხარეს და ხან მეორეს; მაგრამ საბოლოოთ კი საქართველო მაინც კიდევ იბრუნებდა ხოლმე დაკარგულ მხარეს — და გაერთებული, ფერხულჩაბმული წრე ბოლოს იქნევდა ძლიერათ. — მაშინ მე ეს არ მესმოდა, მაგრამ გულზე კი რაღაც უნებურათ მკბენდა და მეჯავრებოდა „ქორობია“; რასაკვირველია, თუმცა მისი თამაშობა ყველას კი უნდოდა, მაგრამ სიყვარულით კი არავის უყვარდა.

„ერთხელ, შინ რომ დავბრუნდი, მოწყენა შემნიშნა ძიძამ და მითხრა: რა იყო, ქორობია ხომ არ გითამაშიათო? — გითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა-მეთქი! — ვუპასუხე სიცილით. ძიძამ ჩამიკრა გულში და დაიწყო ტირილი. მე გამიკვირდა და ვკითხე, რა გატირებს-მეთქი; — ის მატირებს, რომ ხვალ ჩემ წიწილასაც მოიტაცებენ და მომაშორებენო!.. წიწილას რა უჭირს, მაგრამ როგორ აიტანოს და როგორღა გასძლოს კრუხმა უიმისობით?! ეს რომ სთქვა, გული ამოუჯდა, მოუმატა ტირილს და უფრო ძალუმათ მიმაკრა გულზე. მე თუმცა არა მესმოდა რა, მაგრამ მივხვდი, რომ აქ კარგი არა არის რა-მეთქი — და დავიწყე ტირილი... ვიტირე, ვიტირე — და ჩამეძინა ძიძის კალთაში. მეორე დღეს კი ყოველივე გავიგე: სამუდამოთ გამომათხოვეს სოფელს და გამიყვანეს სასახლეში, სადაც სულ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო."

---

საჩხერის სასახლეში, დედ-მამის ოჯახში იწყება პოეტის სიყმაწვილის მეორე ხანა. აქაც, რასაკვირველია, ყმაწვილს გასართობი ბევრი ქონდა, მაგრამ სასახლეში ცხოვრებას მისთვის ის წარმტაცი სიხალისე აღარ ემჩნეოდა, რომელსაც იგი ძიძისას გრძნობდა. ძიძისას ჭაკია უბრალო გლეხურ ცხოვრებას იყო შეჩვეული, ისე მარტივსა და გულუბრყვილოს,

როგორიც არის საზოგადოთ თვით ბავშის ბუნება; სა-
სახლეში კი მის ყმაწვილურ ოცნებასა და გატაცებას
დედ-მამის მძიმე, ზვიადი ხასიათი უკვეცავდა ფრთებს.
მიუხედავათ ამისა, პოეტს მშობლები მაინც საკმა-
ოთ ყვარებია, განსაკუთრებით დედა, რომელსაც
იგი დიდის მოწიწებითა და ალტაცებით იგონებს.

აკაკის დედა, აბაშიძის ასული ეკატერინე
(შინაობაში ეკა), შთამომავალი იყო იმერეთის მე-
ფის სოლომონ I-ისა: მამა-მისი — ივანე აბაშიძე — სო-
ლომონ I-ის ასულის დარეჯანის შვილი იყო. ივა-
ნე აბაშიძემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო იმ
აჯანყებაში, რომელიც 1820 წელს ქუთათელისა და
გენათელი მიტროპოლიტების დაპატიმრების გამო
მოხდა. რუსის მთავრობამ ივანე აბაშიძის, რო-
გორც აჯანყების მეთაურის, ოჯახი აიკლო და სხვა
დამნაშავეებთან ერთად მისი ცოლ-შვილიც დააპა-
ტიმრა. გურიის უკანასკნელი მთავარი, მამია გუ-
რიელი, რომელიც ივანე აბაშიძის ცოლის ღვიძლი
ძმა იყო, თავის დასა და დისწულებს გამოესარჩლა,
მთავრობასთან იშვამდგომლა — და თითქმის ყველა
უკანვე დააბრუნებია. მათ შორის იყო ჩვენი პოე-
ტის მომავალი დედაც, რომელიც მაშინ 12 წლის
ყოფილა. რადგან ივანე აბაშიძე ამ დროს ცოცხა-
ლი არ იყო (იგი ახალციხეში მოკლეს) და მისი
ოჯახი მთავრობისაგან სრულიად განადგურებული

იყო, ამიტომ Ივანეს ოჯახობა მამია გურიელმა შეიხიზნა—და აქ Ეკატერინე დიდხანს იზდებოდა.

Ამ დროს საქართველოში, განსაკუთრებით სასახლეებსა და დიდგვარეულობათა ოჯახებში, მრავლათ იყვენ კათოლიკეთა პატრები – და მამია გურიელის ოჯახში მყოფ პატრებს Ეკატერინეზე დიდი გავლენა მოუხდენიათ,

Აი როგორ გვისურათებს პოეტი თავის დედას:

„Ამ ევროპიულათ განათლებულმა და გონება-განვითარებულმა მეცნიერებმა დედა-ჩემზედაც დიდი გავლენა იქონიეს: მათი მეოხებით მესწავლილი ჰქონდა, სხვათა შორის, აქიმობა და მეურნეობა. რაც კი იმ დროში ქართველი ქალის ხელიდან გამოვიდოდა, ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა: იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელსაქმარე და მასთანაც კარგი აღმზრდელი. Ცნობისმოყვარეობასთან შრომისმოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა: დილას, მამლის ყივილზე რომ წამოდგებოდა, დაღამებამდი ფეხზე იდგა —და უსაქმურათ კაცი ვერ ნახავდა. „სიზარმაცე და უსაქმურობა დედა არის ყოველგვარი ბოროტებისა"-ო, — იტყოდა ხოლმე — „და კეთილი საქმე კი იგივე ლოცვა, ვედრებაა" ო. მოსამსახურეს ყოველთვის თვალ-ყურს ადევნებდა, რომ ცუდი არა ჩაედინათ-რა; უსაქმოთ არავის გააჩერებდა, ყოველგვარ ხელობას ასწავლიდა მათ და ზოგს წიგნსაც აკითხებდა. მაშინ, ბატონყმობის დროს, ამგვა-

რა ქცევა საარაკო იყო და დედა-ჩემის მოქმედებაც ბევრს თვალში ეჩხირებოდა. მკაცრობისა და მრის-ხანების სახელი ჰქონდა დავარდნილი, რადგანაც თა-ვი მძიმეთ ეჭირა. „თუ თავი გაუყადრე ბრბოს, ჯერს შეგაჩვევს, აღარათ ჩაგაგდებს და, რაც უნდა ურჩიო, აღარ დაიჯერებს“.ო, — ამბობდა. სასახლე-ში მისა ყველას ეშინოდა და დიდი ხათრიცა ჰქონ-დათ. მაშინ მეც ისე მეგონა, როგორც სხვებს, რომ დედა-ჩემი ცივგული და მრისხანე იყო, მაგ-რამ, გონებაში რომ ჩავხედი, მაშინ კი გამოვი-კვლიე სიმართლე. ის იყო ნამეტანი ჩვილი გულის მექონი და მოყვარული, მაგრამ, დიდ ოჯახში ნა-მყოფი, დარეჯან ბატონიშვილის გაზრდილი და პატ-რონის ნამოწაფარი, განგებ პირბადეს იფარებდა, მხოლოდ კეთილის განზრახვით. უნდა გენახათ მა-შინ, როდესაც სასახლეში ავათ ვინმე გახდებოდა, გინდ უკანასკნელთაგანიცა! დედალამ მოსვენება აღარ ჰქონდა და თავისი ხელით უვლიდა, როგორც შვილს. გაჭირვებულის დახმარება რჯულად ჰქონდა დადებული; სულ სხვებზე ფიქრობდა და სხვების-თვის, თითქოს თავის საკუთარ პირადობაზე ხელ-აღებული ყოფილიყოს, მუდამ მწუხარებაში იყო“.

პოეტის მამა, როსტომ წერეთელი, თვით აკა-კისავე დასურათებით, სულ სხვანაირ ტიპათ გვეჩვე-ნება, ვიდრე დედა-მისი. აქით-იქით სიარული ეჯავ-რებოდა. სულ შინ იჯდა და არაფერს აკეთებდაო, ამბობს მასზე აკაკი თავის „თავგადასავალში“:

„უყვარდა ძილი, აგრეთვე არ სწყინდა, როცა სედავდა, რომ უსაქმური მოსამსახურეები მთელ დღეს მხარ-თეძოზე წამოწოლილი კოტრიალობდენ სახლეში; პირის გემო იცოდა, უყვარდა კარგათ ჭამა და სულ იმას იძახოდა: არიქა, მშიერი არავინ დარჩეს, დიდსა და პატარას — ყველას საყოფაო აჭამეთო!"

ამასთანავე როსტომ წერეთელი მეტათ ახირებული ხასიათის ყოფილა: უბრალო რაზედმე გაჯავრდებოდა თურმე და გამჯავრებელს სასტიკათ ექცეოდა, მაგრამ მალეც მოლბებოდა ხოლმე და პატიებაც ადვილათ იცოდა. ერთხელ მეჭონეები (აღდგომის მიმლოცველნი) როსტომის სასახლეში იმ დროს მისულან ც სიმღერა დაუწყიათ, როცა როსტომს ძინებია. სიმღერას როსტომი გაუღვიძებია — და გაბრაზებული წამოვარდნილა და მეჭონეებს გასალახავათ გამოკიდებია. დამფრთხალი მეჭონეები გადაცვენილან და ჭონაზე მოგროვილი კვერცხები სულ დამტვრევიათ როსტომი მათ სასტიკათ დასჯასაც დამუქრებია, მაგრამ, როცა რიგიანათ გამოუძინია და დამშვიდებულა, ამ შემთხვევის გამო ბევრი უცინია და დაზარალებული მეჭონეები კარგათაც დაუსაჩუქრებია.— ერთხელ ახლათ დანიშნულს ფოშტის რუს ზედამხედველს ამანათის მისაღებათ მისთვის მოწმობა მოუთხოვია და უთქვამს: ვერ გიცნობ, ვინა ხარო. — როგორ თუ ვერ მი-

ცნობ? იმპერატორმა მიცნო თავადიშვილათ დ შენ ვერ მიცნობო?!—შეუძახებია როსტომს, კისერში სწვდომია და ჯოხითაც უცემია!.. როცა ამის გამო გუბერნატორს დაუბარებია, როსტომი ფოშტის უფროსს ტკბილათ შერიგებია და შემდეგ მისი პირველი მეგობარი ყოფილა...

მამი-ჩემის ახირებული ხასიათი დედა-ჩემს არ მოსწონდაო, ამბობს აკაკი, „და ხშირათ ეტყოდა ხოლმე: შენა ცოდვა მიეცეს, ვინც შენ აგრე გამოგზარდაო!.. ამგვარი ახირებული ხასიათი ოჯახში მოსაწონი არ არის, როგორც წესისა და რიგის ამრევი, მაგრამ სასახლეში კი ყველას ვაჟბატონი უფრო უყვარდა, ვიდრე ქალბატონი. საკვირველია: მრისხანე დედა-ჩემს არ უყვარდა არავისი დასჯა, მხოლოდ სიტყვითა და შეხედულობით იყო საშიში; ხშირათ აპატიებდა ხოლმე მამი-ჩემისაგან გულმოსულობით გაწირულს, მაგრამ მაინც ყველა მრისხანეთ სთვლიდა"-ო.

შემდეგ აკაკი მამის დახასიათებას განაგრძობს:

„ეგებ ვინმემ იფიქროს, რომ ამგვარი საქმეების ჩამდენი და საქმეში აჩქარებული მამა-ჩემი მჩატე ჭკუის ყოფილიყოს? — სრულიადაც არა! ძლიერი გონების კაცი იყო, მოსწრებული და ენამჭევრი, თუმცა კი ხშირათ ენამწარეც... სწორეთ, სასიამოვნო და საყვარელი სანახავი იყო მამა-ჩემი როდესაც გუნებაზე იყო... მაგრამ ნამეტან გულ-

კეთილობასთან შეერთებულ გულფიცხობას სულ სხვა ბეჭედი დაესვა, და თუ დედა-ჩემი არ ყოფილიყო, ოჯახში ყოველდღიური არეულ-დარეული იქნებოდა. ამას თვითონ მამა-ჩემიც გრძნობდა და დამშვიდების დროს დიდი პატივს-სცემდაც თავის ცოლის ნება-სურვილსა"-ო.

ხუთი წლიდან გიმნაზიაში შესვლამდი პატარა პაკო დედ-მამასთან იყო და სასახლის ზნეჩვეულებას თვალ-ყურს ადევნებდა. ზამდლები, მოახლეები, გოგოები, ფარეშები — მთელი სასახლე სავსე იყო მუქთახორა ხალხით, რომელიც თითქმის სულ უსაქმურათ იყო და მხოლოდ სადილ-ვახშმის მზადებას უნდებოდა. ხშირი სტუმრიანობა, ჭამა-სმა და შექცევა — ეს იყო მაშინდელ დროში დიდგვარიანი ოჯახების დამახასიათებელი ჩვეულება — და როსტომის ოჯახშიც ასე ცხოვრობდენ.

არაფრათ მოეწონა პაწია პაკოს ამგვარი წრე. პირველ ხანებში პაკოს სასახლეში ტოლ-ამხანაგი არავინ ყავდა, ხშირათ მას ოთახში კეტავდენ ხოლმე, რომ გარეთ არაფერი მიაიწიოსო, და ამიტომ ყმაწვილს მეტისმეტი მოწყენა დაეტყო. დედა-მისმა ამას ყურადღება მიაქცია — და პატარა ბიჭები მიუჩინა, რომ მათთან გართობილიყო.

„ამ ახალ ამხანაგებთან ერთად დილიდან საღამომდი სულ მინდორში დავრბოდი; მხოლოდ სადილათ დამიძახებდენ ხოლმე. თვითონ დედა-ჩემა,

როგორც წინათ ვსთქვი, მშრომელი იყო: დილი-დან დაწყებული საღამომდე სულ ფეხზე იდგა; სა-ღამოს შემობრუნდებოდა სახლში — და მაშინ ჩვენ დაგვიძახებდენ ხოლმე. დაანთებდენ ბუხარში ცეცხლს, ბუხრის წინ გაგვიშლიდენ შვლის ტყავს და და-გვსვამდენ ზედ. ირგვლივ შემოგვეხვეოდენ ბიჭები და მოგვიყვებოდენ ხოლმე ზღაპრებს. ზღაპარი რო მოგვწყინდებოდა, მაშინ გავშაირდებოდით ხოლმე ერთმანეთში: ან გამოცანებს ვამბობდით და ან სხვა როგორმე [illegible]იდით თავს ვახშმობამდი. დედა იქვე ტახტზე იჯდა, ფეხმოკეცილი, წიგნს კითხუ-ლობდა თავისთვის, მაგრამ ჩვენთვის კი ყურს უგდებ-და, ბიჭების ურიგო არა წაცდესთ რა ყმაწვილებ-თანო".

აკაკის დედა საზოგადოთ კეთილი და პატიო-სანი ადამიანი ყოფილა და ამასთან გონიერი, გა-მჭრიახი ჭკუისა, რასაც უმთავრესათ ის გარემოება ამტკიცებს, რომ იგი იყო ამხელა ოჯახის თავდა-რიგის მიმცემი. აი ნიმუშები აკაკის დედის გონე-ბის გამჭრიახობისა:

სასახლის მოურავი მეტათ ეშმაკი, მეტისმეტი გაიძვერა კაცი ყოფილა, მაგრამ ისე ფარისევლუ-რათ ექცეოდა ბატონს, რომ მისი გაშვება, სასახ-ლიდან დათხოვნა არ მოხერხდაო, ამბობს აკაკი. ქნ. ეკატერინე მოწადინებული იყო მოეშორებია იგი, როგორც მისი ოჯახის მცარცველი და სათ-

ჯახი საქმეების ამრევი, მაგრამ პირდაპირ არაფერი გაუვიდა და შერჩეულ დროს ეძებდა. როსტომი ხშირათ სახარებას კითხულობდა ხოლმე და წაკითხულის გამო ხმამაღლა თავისთვის მსჯელობდა: მოსაწონებელს იწონებდა და დასაწუნებელს იწუნებდა. ერთხელ, როდესაც ფარისევლების შესახებ კითხულობდა, თავისებურათ შენიშვნა ჩაურთო და ფარისევლებს კიცხვა და ლანძღვა დაუწყო. ცოლმა დრო იხელთა და როსტომს მიაძახა:

„შე დალოცვილო, მაგ სიმორეს რომ არ წაეპოტინო, შინ რომ საკუთარი ფარისეველი გყავს, რატომ იმას კი არაფერს ეუბნებით? შენმა მოურავმა მთელი ოჯახი აურდაურია, მაგის თავგასულობას საზღვარი აღარა აქვს... რამდენი ხანია გეხვეწები, რომ ამ ოჯახს ეგ როგორმე მოაშორო, მაგრამ ის ფარისევლობით თვალებს გიხვევს და ჩემი აღარა გჯერა-რა!—ამის თქმა და მამა-ჩემის ზეზე წამოვარდნა ერთი იყო: „მომგვარეთ მოურავი!“ დაიყვირა. მოიყვანეს ნამძინარევი მოურავი, მაგრამ, სანამდი ის რასმე იტყოდა, მიაძახა პატრონმა ბიჭებს: „მე ფარისეველი სახლში აღარ მინდა, დააყოლეთ ეგ შეჩვენებული თავდაღმართზე და მიაყოლეთ პანღური, რომ სასახლისაკენ პირი აღარ ქნას“-ო.

მეორე მაგალითი. ძაკოს სწავლების დრო რო მოახლოვდა, დედა-მისი ისე მოხერხებულათ იქცე-

ოდა, რომ ბავშს წიგნი შეაყვარა. იგი ხედავდა, რომ ყმაწვილი სწავლას მოწყურებული იყო, მაგრამ ერთბაშათ არ დააწაფა, რომ არ მოყირჭებოდა; თითქო ნებასაც არ აძლევდა და ეუბნებოდა: ჯერ რა შენი საქმეა, ღირსი არა ხარო! ნამდვილათ კი უფროსი თვისი ასული მიუჩინა, რომელიც ჩუმათ ასწავლიდა. აი რას ამბობს აკაკი ამ შემთხვევის გამო:

„მოკლე ხანში ანბანიც ვისწავლე და ამოსალებიც დავიწყე. „თუ აგრე კარგათ და გულმოდგინეთ ისწავლი, მალე სამოციქულოსაც დაგასწავლი და საყდარში წაგაკითხებო, — მეუბნებოდა ჩემი და, — დედას ძალიან გაუკვირდება და მოეწონებაო“. მე, ამ იმედით წახალისებულს, დღედაღამ მეტი აღარა მეფიქრებოდა-რა. რა ვიცოდი, თუ ეს სულ დედა-ჩემის ხერხი იყო, რომ წერაკითხვა შემეყვარებოდა! ამნაირმა წინდახედულობამ ძალიან შემაყვარა წიგნის კითხვა — და ერთ წელიწადსაც არ გაუვლია, რომ მე მღვდელს ვესმარებოდი. დედა-ჩემი არ გვაქალაჩუნებდა ჩვენ. „ნამეტანი ალერსი აფუჭებს ყმაწვილსო“, — იტყოდა ხოლმე, და, მართლაც, თუმცა გალახვა არ იცოდა ჩვენი, მაგრამ შიშით მაინც კი ძალიან გვეშინოდა მისი. არცერთ დანაშაულობას არ შეგვარჩენდა, რომ არ გადაეხდევინებია ჩვენთვის. მაგრამ სასჯელი კი ახირებული იცოდა; მაგალითად, წიგნის კითხვის ნებას არ

მოგვცემდა: „ღირსი აღარა ხართ, როგორც დამნაშავეები! და მაშინ უნდა გენახათ ჩვენი მწუხარე-

„ოიი! ოიი!" — დაგვცინოდენ ბიჭები და გოგოები სასახლეში: „უწიგნოთ დარჩით, უწიგნოთ დარჩითო!" — და, მართლაც, ჩვენს სირცხვილსა და მწუხარებას საზღვარი აღარ ჰქონდა რამდენსამე წლის განმავლობაში ხუცური სედმიწყვნით ვიცოდი".

ამგვარი ხერხით აკაკის დედამ კაკოს ამხანაგს— ერთს უნიჭო ბავშსაც ამოადგმევია ენა დ ლოცვები შეასწავლა.

თუ რა განსხვავებული ხასიათისა და მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო კაკოს აღზრდაში ცალცალკე დედისა და მამის გავლენა, ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს, რომელსაც თვით პოეტი თავის „თავგადასავალში" ასე მოგვითხრობს. ერთხელ გიმნაზიაში რევიზორი მისულა და სხვადასხვა კლასში სამნაირი ხარისხის მოსწავლეებისათვის უკითხავს: პირველის, შუათანასა და უკანასკნელისათვის. კაკო რატომღაც მასწავლებელმა აიხირა, უკანასკნელ მოსწავლეთ სთვლიდა — და ეგზამენზედაც რევიზორს ასე წარუდგინა; მაგრამ ეგზამენში კაკომ ყველას აჯობა და რევიზორისაგან დიდი ყურადღება დაიმსახურა:

„მივფრინდი თუ ფეხით მივედი შინ, აღარ მახსოვს. სიხარულმა [illegible] მთვრალივით

ვეღარ გამოვერკვიე. შინ რომ მივედი, სტუმრები იყვნენ სახლში და მამა-ჩემმა მომაძახა: რა ქენი, ჩემო პაწუა? მეც ყველაფერი მოვახსენე, რაც გადამხდა.— „მე კი არ ვიცოდი?! წამოიძახა მამამ – კვიცი ყოველთვის გვარზე მიდისო. პეტრე არქიმანდრიტი, რომ ვენახე მონასტერში ბავშობისას, ყველას ვჯობდით: რასაც სხვები ათ-ათ წელიწადს უნდებოდნენ, მე ორ-სამ წელიწადს გავიარე, გავათავე გრამატიკა, ანგარიში, ისტორია, თეოლოგია და სხვანიო. ბატებმა არ დამაცადეს, ყიყინით მაწუხებდნენ, თვარა, რომ მომეცადა, არისტოტელის კატეგორიას და ლოღიკას სულ იდღვირს გავაცხენდიო!.. შენც, შვილო, თავხის შვილი რომ ხარ, სხვებზე უფრო მეტი უნდა ისწავლო და ყიყინარები არ გაიტოლოვო!“ სტუმრებმაც ამგვარივე დარიგება მომცეს. დედა კი თავისთავის იჯდა თავჩაღუნული, თითქო ამისათვის სულ ერთიაო, და არც კი შეუმჩნევივარ.—სადამოს, დასაძინებლათ რომ ჩავწექ ლოგინში, მოვიდა დედა და შუბლზე დამადვა ხელი; ჩამოუჯდა ლოგინზე. მე ვიფიქრე, ვაი თუ ავათ ვარ და მატყობინებს, თვარა ასე ხშირათ რადის მოსულა-მეთქი.— წინათაც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ საკვირველი ზნე სჭირდა დედას: თუ არ გამოთხოვების დროს, როცა სადმე დიდი ხნით მივდიოდით, და ან ხანგრძლივი უნახაობის შემდეგ, ისე არ გვაკოცებდა ბავშებს, და მაშინაც ისე, თითქო გული ნებას

არ აძლევსო. ეს მეც მიკვირდა და ვერ ამეხსნა. ეს ხასიათი მთელ მის სიცოცხლეში შერჩა: — შვილიშვილებსაც ასე ეპყრობოდა. ერთხელ — დატოლ-შვილიანებული ვიყავი — შევესწარი, რომ ჩვენს პატარას შვილს, მძინარს, მიდგომოდა და სიფრთხილით, არ გამოიღვიძოსო, კოცნიდა და ეალერსებოდა. მაშინ მივხვდი, რომ ალბათ ჩვენც ასე გვეალერსებოდა-მეთქი. ცხადათ ვინ უშლიდა. — ოფიცრების კაცი, — და ის ფიქრში იმ აზრის იყო, როგორც ერთხელ გამოაცხადა ლაპარაკში, რომ ხშირი მოფერება აფუჭებს უმაწვილს და წარმართ კაცსაც ფასი აღარ აქვს მის თვალშით. არ ვიცი, საზოგადოთ ეს მართალია თუ არა, მაგრამ ჩვენს თავზე როგორც გამოვცადე, მისი კოცნა რაღაც სასუფევლურ ნეტარებათ მიმაჩნდა. იმ საღამოს ავიკოფინდი, რომ გვერდში მომიჯდა და ალერსიანათ მკითხა: ხომ ილუტცები? — როგორ არა-მეთქი! — დღეს დილას, საწამ კლასში წავიდოდი, დაუჯდომელი ჯარაგლისი ხომ არ დაგავიწყებია? — როგორ დამავიწყდებოდა!.. და მერე მით უფრო, რომ განსაცდელში მივდიოდი. — ჰო, კიდევ მიტომ უხსნიხარ ღმერთს და გაგიმარჯვნია. უღმერთოდ, რაც უნდა იცოდე, მაინც ვერას გასწყობ!... მამა-შენმა რაც გაიხსრა დღეს. ის მართალი კი ნუ გგონია, — იმან ისე იცის ხუმრობა. — რა? — რა და, სხვებმა რომ გაჯობის, სირცხვილიაო!. აბა, სხვები რომ ვარგები იყონ. შენი რა სირცხვილია? სირცხვი-

და ამის არის, რადგან შენ შენდა თავსაც არ კარგხარ და არ ცდილობ სწავლას. შენ სხვების კი არ უნდა ეჯიბრებოდე, შენ სრულიად შენთვის უნდა ცდილობდე ყოველგვარ სიკარგეზე და, თუ სხვებიც შენისთანები იქნებიან და კიდევ უკეთესიც, შენ მით რას დაკარგავ? შენ კიდეც უნდა გიხაროდეს მათი სიკეთე. შენ რომ კარგათ დაგიმჩნია დღეს ეგზამენი, აი რა კარგ გუნებაზე ხარ! Uსინი კი, შენი ამხანაგები, ვინ იცის რა გულდაწყვეტილები არიან! — Tარიადენ, დედა! — მერე არ შეგეცოდა? — შემეცოდა კი არა, კინაღამ მე ც ვიტირე... — ჰო და, იმათაც რომ შენსავით გაემარჯვათ, ხომ გიამებოდა? — ნეტავ მართლა!.. — ჰო, შვილო! სხვისი შური და სიხარბე გულში არ უნდა შეუშვა, — ესენი ორივე ეშმაკის კაბის საფეხური არიან. Eშმაკი ჯერ შეგიტყუებს ზედ ნელნელა და მერე უცბათ გკრავს ხელს და გადაგაგდებს...

მე პირჯვარი დავიწერე, დედამ მაკოცა მხურვალეთ, ორჯერ-სამჯერ ჩამეკონა გულში, პირჯვარი გადამსახა და მომშორდა: დაიძინეო. ჩემს ნეტარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. Dიდხანს თვალი ველარ დავხუჭე, და რომ დამეძინა, სიზმრებმა წამიღეს სულ ანგელოზებში დავფრინავდი და ვთამაშობდი"...

Aსეთი იყო ძაკო'ს დედ-მამა, ასეთი იყო სასახლის ყოფაცხოვრების სურათი — და ყველა ამან თავისებური ბეჭედი დაასვა მომავალი მგოსნის ზნე-

ჩვეულებასა და მოღვაწეობას. მამის, როსტომის, ხასიათის ზოგიერთი თვისება შვილის, აკაკის, ხასიათშიც აღიბეჭდა. აკაკი, მაგალითად, ისევე „ენამწარე“ იყო მწერლობაშიც და ცხოვრებაშიც, როგორც მისივე თქმით მამა-მისი ყოფილა, აგრეთვეისე დაუდევარი სერიოზულ საქმიანობაში, როგორც როსტომი, მაგრამ საბოლოოთ მაინც ისევე გულკეთილი და საყვარელი ყველასათვის, როგორც მამა-მისი.

მამის ახირებული ხასიათი და დედის გამჭრიახობა და მოხერხება შეერთებული იყო ჩვენს პოეტში. აი მრავალთაგანი ერთი მაგალითი მისი კერძო ცხოვრებიდან. ერთი ნაცნობი აკაკის ახირებია, ამა და ამ კაცთან საქმისათვის მივდივარ — და მიმყევი, ბანი დამაწიე, რომ თხოვნა უთუოთ შემისრულოსო. აკაკი დათანხმებია და მოწიწებითაც უშუამდგომლია მთხოვნელის თანადასწრებით; მაგრამ, როცა მთხოვნელი და შუამდგომელი მასპინძელს გამოთხოვებიან და ეზოში გამოსულან, აკაკი უცებ უკანვე შებრუნებულა და მასპინძლისათვის ჩვეულებრივი ხითხითით მიუმართავს: „თუ გიყვარდე, არაფრისათვის მაგას თხოვნა არ შეუსრულო; არ დამაყენა, თვარა მაგისთვის როგორ შევაწუხებდი: არც სანდოა და არც ღირსია პატივისცემისა“-ო!.. ეს უთქვამს — და უკანვე გამოტრიალებულა და მთხოვნელს დაწევია...

სასახლეში აკაკის ცხოვრების ერთი ეპიზოდი

მაჩვენებელია იმისა, თუ რა შეწყალებისა ღ სიბრალულის გრძნობა გაღვიძებია მას გულში პატარაობისას. Ცხადია, ეს სიბრალულის გრძნობა ძაკოში დედა-მისის გავლენით გაღვივებულა. Აი როგორ მოგვითხრობს პოეტი ამ ეპიზოდს:

„Გახსოვს, ერთი გლეხი გადაგვიშენდა და ოჯახში არავინ დარჩენილა, გარდა ერთი ოთხმოცდაათი წლის მოხუცისა, რომელსაც აღარც მამულის მოვლა შეეძლო და აღარც თავისი საკუთარი თავის რჩენა. რომ საწყლები ადგილ-მამული არ გამოედევნათ, მამა-ჩემმა მოინდომა იმ ბერიკაცის სასახლეში გამოყვანა. მოხუცმა, რასაკვირველია, შორს დააჭირა თავისი სახლ-კარის თავის დანებება; იმას უნდოდა, რომ თავის სიცოცხლეში არ ენახა თავის ქოხში გამქრალი ცეცხლი, იქვე მომკვდარიყო, სადაც მისიანები ცხოვრობდენ, და ბოლოს იმათვე საფლავს ამოწოლოდა გვერდით. Ნებით რომ ვეღარ დაიყოლიეს, ბატონმა ბძანა, რომ ძალით გამოეყვანათ, და კიდეც გაუგზავნა კაცები. — Ეს ამბავი არ მოსწონდათ სასახლეში; მოსამსახურეები, ბიჭები, გოგოები — ყველანი ჩურჩულობდენ: ნამსახური კაცი თავისი სახლიდან რა გასაგდებიაო? ნაერთგულარს და ნამსახურს კაცი ძაღლსაც არ გაიმეტებსო... Ამას მოვჰკარი მე ყური და გავიქეცი მამა-ჩემთან. Ის ნიგოზს ქვეშ ჩეროში იყო მხართეძოზე წამოწოლილი. Მივედი და ვკითხე: მა-

მა ბატონო, ჩვენი მურა რომ დაბერდეს, აღარაფერი არ შეეძლოს — აღარც ყეფა და აღარც ღრენა, მაშინ რაღა ვუყოთ-მეთქი?

— რაში გეკითხება, შვილო? თუ მაგრე დაბერდება, მჭადს აჭმევენ და იქნება თავისთვის, სანამ არ მოკვდებაო.

— მაშ თუ მაგრეა, კაცი უკეთესი არ არის ძაღლზე-მეთქი? ბერიკაცს რომ თავის სახლ-კარს აშორებ და გამოგყავს, ის კი არ გეცოდება-მეთქი? — ამ სიტყვებმა ისე დააფიქრეს მამა-ჩემი, რომ სულ-ახალი განკარგულება მოახდინა: თავი დაანებეთ იმ ბერიკაცს, დარჩეს თავის სახლში და საზრდოც მიუჩინეთო. მასუკან ხშირათ იტყოდა ხოლმე: „ჩემი დაუფიქრებლობით კინაღამ ცოდვაში ჩავვარდიო, მაგრამ ანგელოზმა მამხილა ბავშის პირით, ვენაცვალე იმის ძლიერებასო“!..

დედ-მამას გარდა სასახლეში ჭაკოს გონებრივსა ჲ ზნეობრივ განვითარებაზე, ეჭვი არ არის, გავლენას მოახდენდენ მოსამსახურე „გოგო-ბიჭები,“ დიდი თუ პატარა, რომელნიც გარს ეხვიენ. სასახლეში ჭაკოსათვის ზოგი რამ სასიამოვნოც იყო ჲ კეთილათ განმავითარებელიც, როგორც, მაგალ., ტოლ-ამხანაგების მთელი ჯგუფი, რომელთა შორისაც იგი საღამოობით იჯდა ხოლმე ბუხართან და ხალხურ ზღაპრებსა და გამოცანებს ისმენდა, ან დღისით მიდვრებში დახტოდა და დათამაშობდა; მაგრამ ზო-

გი რამ ისეთიც იყო, რომ ყმაწვილს ავის მეტ არაფერს შესძენდა, — მაგალ., ათასგვარი ცრუმორწმუნეობა თუ უხეირო სიტყვა-პასუხი, რომელიც მას „გოგო-ბიჭებისაგან“ ესმოდა.

საზოგადოთ — სასახლეში ყოფნის დრო აკაკისათვის არ ყოფილა ისე სასიამოვნო, როგორც ძიძისას გატარებული. სასახლეში გატარებულ დროს აკაკი ასე ახასიათებს:

„საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ სპარტანულათ გვზრდიდენ: არ გვარიდებდენ არც სიცივეს, არც სიცხეს, არც დარს და არც ავდარს. დილ-დილობით ცვრიან ველზე ფეხშიშველს უნდა გვერბინა. პირველი თოვლი რო მოვიდოდა, ფიფქზე რამდენჯერმე უნდა გაგვერბინ-გამოგვერბინა; დასოვლებული და სიცივისაგან გაჭარხლებული ფეხები ცეცხლზე უნდა შეგვეშრო. დარწმუნებული ვიყავით, რომ ამით ტანმთელობა მოგვემატებოდა. ახალგაზაფხულზე რომ წვიმა მოვიდოდა, ჩვენ სახლის ღარს თავს ვუშვერდით, რომ ოქროს ხუჭუჭი ამოგვსვლოდა. უმთავრესი ყურადღება ჩვენი წირვა-ლოცვასა და მარხვაზე იყო მიქცეული. სამწუხარო დრო ჩვენთვის დიდმარხვა იყო: მთელი დღე საღამომდი, სანამ ლოცვა არ გამოვიდოდა, წყლის მეტს არაფერს მოგვაკარებდენ, საღამოსაც მარტო ხმელ პურს გვაძლევდენ. არა თუ შეჭამადი რამე, — ღვინო, მარილი და ზეთიც აკრძალული გვქონდა.

თამაშის ნებაც არ გვეძლეოდა. ცისკარს როგორ დავაკლდებოდით? ეს ყველა ჩვენთვის ჯოჯოხეთი იყო"...

ადვილი გასაგებიც არის, რომ პოეტი თავისი სიყმაწვილის პირველსა და მეორე ხანას შორის ამგვარ განსხვავებას პოულობს: ძიძისას იგი მხოლოდ ერთობოდა, თავისუფალი იყო ყოველგვარი მზრუნველობისგან, ხოლო სასახლეში უკვე ნელნელა მისი სწავლა-განათლება იწყება, და სწავლას კი ხშირათ თავისუფლებისა და უდარდელი ცხოვრების უსიამოვნო შებოჭვა მოსდევს. ტყვილა კი არ ამბობს დავით გურამიშვილი: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების"ო.

---

კაკომ ძიძას შემდეგ სასახლეში სამი წელი გაატარა — და რვა წლისა იგი ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს. აქ იწყება ჩვენი პოეტის ცხოვრების მესამე ხანა, ხანა — სავსე მრავალგვარი უსიამოვნობით, რომელთან შედარებითაც სასახლეში ცხოვრება ყმაწვილს სამოთხეთ ეჩვენებოდა.

გიმნაზიაში შესვლისთანავე კაკომ, იმ ხანებში ჩვენს სასწავლებლებში გამეფებულის, იმგვარი წესრიგის სუსხი იგემა, რომ გიმნაზიასაც და სწავლასაც კინაღამ თავი დაანება. რუსული ენის შესწავ-

ლა რომ დაეჩქარებიათ, არარუსთა ბავშებისათვის შემოღებული იყო ქ. წ. მარკა, ან, როგორც აკაკი უწოდებს, „სატუსაღოს ფირფიცა". აი როგორ გამასპინძლებიან ძაკოს გიმნაზიაში, როცა იგი ახალი მიბარებული იყო:

„იმ დროს შემოღებული იყო საზოგადოთ თუნუქის ფირფიცა, რომელსაც „მარკას" ეძახდენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდენ ხელში და თანაც გძელ ფიცარს -- სახაზავს დააკრავდენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმრიგათვე, ე. ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა" დაერტყმია ხელის გულზე. ამგვარათ ეს სატუსაღოს ფირფიცა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირფიცის თავიდან მოშორებას და შერჩებოდა ხელში, უნდა კლასში დარჩენილიყო მთელი დღით უსადილოთ. ვინც რუსული არ იცოდა ახალშემოსულობის დროს, ხმის ამოღებას ვერ ბედავდენ და მუნჯდებოდენ. ამ ჩვეულებას დიდი გამრყვნელი ხასიათი ჰქონდა: ყმაწვილები ცდილობდენ, რომ ერთმანეთი მოეტყუებიათ, გაებრიყვებიათ როგორმე, და ცბიერობაფარისევლობას ეჩვეოდენ. — სულ ერთი კვირის შესული არ ვიყავი, რომ მოვიდა ჩემთან ერთი პატარა ყმაწვილი, ანგელოზის სახის მქონი, და ტკბილის ღიმილით, შეგობრულათ მკითხა რაღაც

ქართულად: მეც, რასაკვირველია, რადგანაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულად ვუპასუხე. ყმაწვილს მშვიდობიანი სახე გადაუსხვაფერდა და სახარულად მომაჩერა ფერიფერტა. ჩამოვართვი, მეტი რაღა გზა მქონდა, მაგრამ „ლისიკაზე“ ვერ დავეთანხმე. „რა გესაქვლება შენ, მე რომ „ლისიკა“ არ დავირქვა: მართლა ვართ და ვინ გაიგებს-მეთქი?“ — ვეხვეწებოდი. ჩემმა მოწინააღმდეგემ შორს დაიწყო: „მე თუ დამარტყეს, შენ რა ჭკუის მეჭედა ხარო?!“ მე მაინც არ დავეთანხმე, გავჯიუტდი — და იმან ჭიჭყუნი დაიწყო. მასწავლებელი რომ შემოვიდა, მივიდა და დამაბეზღა. დამიძახეს. ბავშვი შემომიტია და კანჯალით. მასწავლებელმა წარბები შეიკრა და მკითხა: „როგორ ბედავ უფროსებს? აქ შენი სახლი ხომ არ გგონია?“ მე თავის გამართლება დავიწყე, მაგრამ აღარ გამიშვა... — „კარგი, მე გასწავლი ჭკუას!“ დაუძახა „სტოროჟებს“ და უბრძანა: „როზგი!“ მე, ამის გამგონეს, თავში სისხლი ამივარდა და გაქცევა დავაპირე. — „ნუ გაუშვებთ, დაიჭირეთ!“ იყვირა მასწავლებელმა. იგრიალეს მოსწავლეებმა ჩემ დასაჭერათ და გადამეღობნენ კარებზე... მე მეორე ოთახში შევვარდი, სადაც მესამე კლასი იყო. აქაც ერთი ალიაქოთი მოვახდინე, მაგრამ შევხტი ფანჯარაზე, ვამსხვრიე მინები, გადავხტი და მოვკურცხლე შინისკენ“...

ამ შემთხვევას შემდეგ ყმაწვილი ერთხანს გიმ-

ნაზიაში არ დადიოდა — და ბოლოს, დირექტორის ალერსისა და მფარველობის წყალობით, განაგრძო სწავლა.

თუმცა ჰაკო ამ სახით „როზგს“ თვითონ კი გადარჩა, მაგრამ ძალიან ხშირათ ყოფილა მოწმე თავისი ამხანაგების „გაროზგვისა“. პოეტი ამბობს: „დღე არ იქნებოდა, რომ ყმაწვილების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუებული“-ო, და იგონებს, რომ ერთი მისი ამხანაგი (გვარათ ჭრიჟანოვსკი) ერთ დღეს სამჯერ გაუროზგავთ:

„ერთხელ ნახევარი საათით დააგვიანდა კლასში მისვლა — და დირექტორმა „გააროზგვინა“; იმ დღეს გაკვეთილი არ იცოდა — და მასწავლებელმა „გააროზგვინა“; სწავლა რომ გათავდა, ზედამხედველმა „გააროზგვინა“: „შინ გაცელქნია და მეზობლის ბავშისათვის ქვა გისროლია — გიჩივლეს!“ — ამითაც ვეღარ გადარჩა: ყველამ ერთად დააბეზღა ინსპექტორს — და იმანაც მოუნდომა „გაროზგვა“. ეს ინსპექტორი შეუბრალებელი რამ იყო და მისი ისე ეშინოდათ, როგორც სულის-მხუთავისა. ჭრიჟანოვსკიმ, ტანჯვა რომ ვეღარ აიტანა, იშვირა ხელი და ფეხი და გადავარდა რიონში. რომ შემთხვევით იქვე არ დასწრებოდა ერთი მეგრელი მოსწავლე, ძალიან კარგი მცურავი, — დაიღუპებოდა“.

„როზგებს“ გარდა გიმნაზიაში ჰაკოს დრო

გახშირებული ყოფილა სახაზავით („ლინეიკით") და-სჯა ბავშვებისა: მცირე დანაშაულისათვის უწყალოთ სცემდენ ხელის გულზე და ხშირათ თავ-პირშიც; გამეფებული ყოფილა აგრეთვე ყურის აწევაც — იმ ზომამდი, რომ ზოგჯერ ყურის ძირსაც აახლეჩდენ ხოლმე

„ლინეიკით" დასჯას ვერც ჩვენი პოეტი გადა-რჩენია — და ამ შემთხვევას ჩვეულებრივი ოხუნჯური — იუმორისტული კილოთი ასე მოგვითხრობს პოეტი:

„ერთხელ რომელიღაც მოსწავლემ საპაჭურები მოი-ტანა კლასში და ლამპარიაში ჩააგდო თასით კაპე-კით ქვევით მოაწერა ხელი. წამოდგა სულმა და მეც მოვაწერე. შემოგვესწრო მასწავლებელი და იწყინა: როგორ გაგიბედავთ ხელის მოწერაო! აილო დიდი უშველებელი „ლინეიკა" ხელში. თითო-თითოდ გაჰყავდა ხელის მომწერლები; კითხავდა: რომელი ხელით მოაწერეთ? და, პასუხს რომ მიიღებდა, და-ჰკრავდა ხოლმე რაც ძალი და ღონე ჰქონდა... იმ დროს საბა ორბელიანის იგავ-არაკები წაკითხული მქონდა და მომწონდა ოფოფის ხრიკი, თავის გა-დარჩენა რომ უნდოდა და ძერა გააბრიყვა იმ გან-ყოფილებაში წერის გაკვეთილი იყო. მე ვიფიქრე, რომ, თუ მარჯვენა ხელი მეტკინა, წერა გამიფუჭ-დება, და მიდი მარცხენას გავუშვებ-მეთქი. მეც, რასაკვირველია, მითხრა: აბა, დამნაშავე ხელი გა-მოაშვირეო! მე მარცხენა გავუშვირე. ჯერ დამკრა

და მერე ეშვა შეიტანა — რასაკვირველია, განგებ— მასწავლებლის ხელით როგორ მოაწერდით! რომ გამო-ვიცადე, მასწავლებელს ხელზეც დამკრა და გამიშვა. Ტკენა ხომ ტკენს იყო, მაგრამ მე ის უფრო მტკან-ჯავდა, რომ შენა წავაგე და თან „ლანგეიკა“ დამკრეს მაშინ როცა სხვები კი თითოოთო გადარჩენ“!..

სასჯელებს შორის გიმნაზიაში შემოღებული იყო დაჩოქებაც — და ისე ხშირათ აჩოქებდენ დამნა-შავეებს, რომ ზოგიერთი მოსწავლე თითქმის ყოველთვის ეჩო-ქებდა ხოლმე კლასის კუთხეში. როცა დამნაშავეც არ იყოვო, მოგვითხრობს პოეტი. ერთი მოსწავლე ისე შეეჩვია დაჩოქებას, რომ ფეხზე მდგარი გაკვე-თილის გადმოცემას ვერ ახერხებდა, დაჩოქილი კი რიგიანათ ამბობდაო...

მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა აკაკის დროს გიმნაზიაში იმგვარი ყოფილა, რომ არც ზნე-ობრივი აღზრდისა სმენია რამე და არც ცოდნის გადაცემისა. ერთს მეტად გონიერსა და ბეჯით მო-სწავლეს მასწავლებელმა რისღაც ახსნა მოსთხოვაო, ამბობს პოეტი, და, როცა მოსწავლე ჩაუფიქრდა, რომ მოფიქრებული პასუხი მიეცა, მასწავლებელმა აღარ აცალა,

„მიუხტა უკანიდან, ჰკრა თავში ხელი და ცხვირ-პირით დაუვარდა მასწავლებელს: რას უცდით? შე-შინებულსა და გაბრუებულ მოსწავლეს ცხვირში სისხლი წასკდა“-ო.

აკაკის დროის მასწავლებელნი მოსწავლეებისაგან განვითარებასა და თვითმოქმედებას კი არ თხოულობდნენ, არამედ წიგნში ყრუთ აზეპირებინებდნენ და კაჭკაჭსავით სხვის ნათქვამს, სხვის ნაწერს ამეორებინებდნენ. ვინაც გაკვეთილს თავიდან ბოლომდი მასწავლებელს თითქმის სულ ზეპირათ ეტყოდა, პირველ მოსწავლეთ ის ითვლებოდა, ხოლო, ვინაც ამას ვერ ახერხებდა, თავისი სიტყვით მშვენიერათაც რომ ეთქვა, ცუდ ნიშნებს ღებულობდაო, ამბობს აკაკი.

ამიტომაც იყო, რომ თვით ჩვენი პოეტიც ბევრის მაშინდელი მასწავლებლის თვალში თურმე უკანასკნელ მოსწავლეთ ითვლებოდა. მაგრამ აკაკის წარჩინებულმა ნიჭმა შემდეგ მაინც თავი იჩინა და იმ ორიოდე რიგიანი მასწავლებლის წყალობით, რომელნიც გიმნაზიაში მოიპოვებოდნენ, აკაკი ბოლოს პირველ მოსწავლეთ ითვლებოდა და ოქროს ფიცარზედ ეწერა.

მიუხედავათ ამისა, აკაკი ბოლომდი მაინც ვერ შეეგუა გიმნაზიის წრესა და ცხოვრებას და მისი სული და გული აქ უსიამოვნობის მეტს ვერაფერსა გრძნობდა. ამის მიზეზი, გარდა მასწავლებელთა უხეირობისა, მისი ბუნებრივი, დაბადებითვე თანდაყოლილი ხნეჩვეულებაც ყოფილა, რომლის წყალობითაც უხეირო მასწავლებლებთან მისი ურთიერთობა კიდევ უფრო მწვავდებოდა: ეს იყო მისი ცამცინავი სიტყვა-პასუხი, მწარე ენა, რომელიც მა-

მისგან მემკვიდრეობით მასში განვითარდა. ჩვენი პოეტის ამ თვისებას თავიდან, რასაკვირველია, ბავშური, გულუბრყვილობის ხასიათი ქონია, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ ბავში სულ იცინოდა. სულ ხითხითობდა, ხოლო მერე და მერე დაცინვისა და სარკაზმის ხასიათი მიუღია. აი რას ამბობს პოეტი ბავშობის დროინდელს ამ თავის თვისებაზე:

„სულ თურმე ვიცინოდი — და ამ სიცილს ერთი კარგი უსიამოვნობაც მოუხდენია: ერთხელ ჩამოსულა ჩვენს მეზობლების გამდელი და, მომცინარი რომ უნახავს, უთქვამს: „ვაიმე! ჩემი გაზრდილი ნუ მომიკვდება. ეს ბავში ისე იცინის, რომ სწორეთ სულელი გამოვაო!“ ჩვენს გამდელს სწყენია ეს და უპასუხნია: „როგორ თუ სულელიაო?! ანგელოზია და ანგელოზებს შესცინის, იმათ ეთამაშებაო!.. სულელები ზოგი თქვენსკენ მოაკითხეო!“ და სხვანი... წადანარკვებულან და სცემიან ერთმანეთს“-ო.

გიმნაზიაში ყოფნის დროს, როგორც ჩანს, ამ თვისებას, უკვე დამცინავი ხასიათისას, არა ერთხელ მიუყენებია პოეტისათვის უსიამოვნობა. აი, მაგალ., რას მოგვითხრობს იგი:

„ერთი ვიღაც რუსული ენის მასწავლებელი დაგვინიშნეს, გვარად ხაპეკა. ამასთანა ახირებული კაცი ძვირი იყო! სულ ჯავრობდა რაღაცაზე. ცხვირი ჩამოუტაროდა, და სხვაც რომ ვინმე დაენახა მომცინარი, გადაირეოდა. მე კი, ჩემდა საუბედუროთ

ისეთი მომცინარი სახე ჰქონდა, რომ ტირილის დროსაც კი მეღიმებოდა... ამიითვალწუნა ამ კაცმა და საშველი აღარ მომცა. წინა სკამიდან სულ უკანასკნელზე გადამსვა: თვალში ნუ მეჩხირებიო!.. ერთხელ რაღაც კაი გუნებაზე იყო,—გამიყვანა და მკითხა გაკვეთილი. ქარგათ მივუგე. მომიწონა: „ცოდნით კარგათ იცით, მაგრამ რა მიზეზია, რომ სულ იღიმები? ნუ იცინი პირუტყვივით. მე მეგონა მცდის-მეთქი — და ვუპასუხე: „პირუტყვები არ იღიმიან და არც იცინიან-მეთქი“ ეს რომ ვუთხარი, წამოხტა, მტაცა ხელი საყელოში და გამიძახა გარეთ“

გიმნაზიის მოწამლულ ატმოსფერაში, როგორცა ჩანს, აკაკის ხშირათ ეროვნული გრძნობაც ეწამლებოდა. საღვთო სჯულის მასწავლებელს — რუს ღვდელს — აკაკისთვის ერთხელ რუსული სახარება მიუცია და იმის კითხვა დაუვალებია. როცა ყმაწვილს რუსული სახარება ვერ გაუგია, მამის რჩევით ქართული სახარება აუღია და იმას კითხულობდა თურმე. როცა ღვდელს აკაკისთვის უკითხავს, სახარებას რუ კითხულობო, აკაკს მისთვის ქართული სახარება უჩვენებია; ღვდელი გაბრაზებულა და ქართული სახარება იატაკზე დაუხლია: ჩემგან გადმოცემული წმიდა სახარება „ძაღლის ენაზე დაწერილ სახარებაში“ როგორ გასცვალეო!.. ამ შემთხვევას

ბავში დიდათ აღელვებია, და როცა შინ დაბრუნებულა, დიდხანს გულამოსკვნილი სტიროდა თურმე, და მამა-მისი **როსტომიც** ისე გაჯავრებულა, რომ თურმე გიმნაზიაში შვილის გაშვებას აღარ აპირებდა.

**ამ** სახით, სასწავლებლის ყოფაცხოვრება და ზნეჩვეულება **აკაკის** ისე შეჯავრებია, რომ გიმნაზიის დასრულება აღარ მოუწადინებია და უკანასკნელი კლასიდან გამოსულა. ამ გარემოებას აგრეთვე ერთმა მასწავლებელმაც შეუწყო ხელი, გვარათ **როდზიევიჩმა**, ტომით პოლონელმა.

**როდზიევიჩი** გიმნაზიის მასწავლებელთა იმ ფრიად მცირე რიცხვს ეკუთნოდა, რომელთაც **აკაკი** სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს. **როდზიევიჩი** თურმე ლოთი ყოფილა და გაკვეთილებზე თურმე ხშირათ მთვრალი დადიოდა, მაგრამ, როგორც პედაგოგი და ადამიანი, მეტათ მიმზიდველი ყოფილა — და ჩვენი პოეტიც ამით მოუხიბლავს. **გიმნაზიის** მოულოდნელი მიტოვების შესახებ, რაიცა უმთავრესათ **როდზიევიჩის** გავლენით მომხთარა, **აკაკი** ასე მოგვითხრობს:

„უკანასკნელ კლასში რომ გადავედით, მე ფრანსზულის მასწავლებლის მუსიე **ტურესის** სახლში ვიდექი. ამ მუსიე **ტურესს** ყმაწვილები **მოსე** ტურას ეძახდენ. **ერთხელ** საღამოს სტუმრათ შემოეჭრა **როდზიევიჩი**; დაჯდა ორი მარტო და ჩაის დაუწყე

სმა. სტუმარმა რომ მოითხოვა, თვითონაც დაი-
ხია და მასპინძლისაც დაუსხა. შეჰყვენ ნელნელა მუ-
საიფს. შეზარხოშებულმა ფრანგმა დიდი რევოლიუ-
ცია მოიგონა და აღტაცებით დაიწყო ლაპარაკი.
სტუმარმა პოლონეთი გაიხსენა, და მოიხსენეს თავი
სიფრთხილეს, მით უფრო, რომ იქ იმ ორის და
ჩემს მეტი არავინ იყო. მე ჩემთვის კუთხეში ვი-
ჯექ, ასე რომ, მგონი, ვერც კი შემნიშნეს. (მათ-
მა აბდაუბდა საუბარმა ისე გამიტაცა, რომ რაღაც
უჩვეულო სასიამოვნო ვიგრძენი, სმენად გარდავი-
ქეცი. ბოლოს სიტყვა ამოიხვრით როდზიევსკიმა:
„ახლა — რაღა დროს! — ვწუხვარ, რომ სამხედრო
სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავმხდარი-
ყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადივით
სამსახური გამეწია!..“ — ეს რომ ჩამეწვეთა ყურში,
ჩემი თავი ვეღარ ვიცანი! იმ ღამეს აღარ დამეძინა.
ვამბობდი: რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი
იქნება სამხედრო სამსახური! ოდესმე სარდალი
გავხდები! რაც ადრე შევუდგები საქმეს, ის აჯო-
ბებს, და ამ ერთ წლიწადს მაინც ხომ, უკანა-
სკნელ კლასში, ახალს არას გვასწავლიან, ძველებს
გვამეორებინებენ. და გამოვალ, არსად არ წავალ-
მეთქი. გადავწყვიტე და გამოვუცხადე მამა-ჩემს ჩე-
მი სურვილი. მამას ძალიან იამა. — „შენი ნებაა,
შვილო! მე შენი ხნისას ცოლი მყავდა და ოჯახს
ვუძღვოდი“. მაშინვე გამოვედი სასწავლებლიდან, რა-

თაც ქვეყნა გაგაკვირვე—და დილიდან საღამომდე რომანებს აღარ ვშორდებოდი. Ოთხ თვეს და-ვყრჩი. მაგრამ ეს ოთხი თვე უფრო ნაყოფიერი იყო ჩემთვის, ვიდრე ოვა წელიწადი გიმნაზიაში ყოფ-ნის დროს.—Დამდეგ მაისს გამოვეთხოვე დედ-მა-მას, Იმერეთს—და დავადექი გზას.—Სრულიად გა-მოუცდელს ცხოვრებაში, ბევრის არ მცოდნეს და სრულიად არაფრის მნახველს უნდა ზღვა გამევლო. Ხმელეთი გადმევლახე და ერთი ბიწის-ამარა ნავსწყდი Პეტერბურგში, სადაც ჩემი ძმა მეგულე-ბოდა „კანვოიში" მოსამსახურეთ".

Ასე დასრულდა გიმნაზიაში Აკაკის ყოფნის ხანა—და, როგორც ზევით ნათქვამია, სამხედრო სამსა-ხურში შესვლის გადაწყვეტილებით, პოეტი რუსე-თის სატახტო ქალაქ პეტერბურგს მიდის. Ძმა რომ ინახულა, „კანვოიში" მოსამსახურე ქართველებმა Აკაკის ურჩიეს: რაკი სამხედრო სამსახურში გინდა შესვლა, ჩვენთან დარჩიო; მაგრამ მათი სამსახური Აკაკის არ მოეწონა, რადგან მას სწავლის გაგრძე-ბა უნდოდა, და კანვოიში კი ქეიფის მეტს არა-ფერს აკეთებდენ.

Ძმის რჩევით Აკაკი კანვოის უფროსთან, პეტრე Ბაგრატიონთან, მივიდა აზრის საკითხავათ, და რო-ცა Ბაგრატიონი დარწმუნდა, რომ ყმაწვილს სწავ-ლის გაგრძობა სწყუროდა, ურჩია—უნივერსიტეტში შესულიყო. Აკაკი მაინც კიდევ თავისას არ იშლი-

და — და ბაგრატიონიც შეპირდა, გვარდიის ნაწილში შესვლას მოგიხერხებო; მაგრამ, როცა აკაკი ქართველ სტუდენტებში მოხვდა, მათმა გავლენამ სამხედრო სამსახური გულიდან მალე გადუგდო— და უნივერსიტეტში შევიდა, აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის კურსის მოსმენა აკაკიმ 1862 წელს დაასრულა და სამშობლოსაკენ გამოემართა.

---

აკაკის დროს პეტერბურგში სწავლობდენ შემდეგში ჩვენს საზოგადოებაში ცნობილი მწერალნი და მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, დავ. მიქელაძე („მეველე"), კირ. ლორთქიფანიძე, ნიკ. ლოლობერიძე, დრამატურგი ანტონოვი და სხვ., რომელთა უმეტეს ნაწილსაც აკაკი შემდეგ, საზოგადოებრივსა თუ სამწერლო ასპარეზზე, სამშობლოშიც არ მოშორებია. თუმცა ქართველ მოღვაწეთა ჩვეულებისამებრ, ერთმანეთში ხშირათ მოსდიოდათ ხოლმე უსიამოვნობა, მაგრამ თავისი აზრითა და მიმართულებით მაინც დიდხანს ერთს მტკიცეთ შეკავშირებულ წრეს შეადგენდენ.

ილია და აკაკი იყვენ უმთავრესათ მე-60 წლების ქართველი ახალთაობის მეთაურნი — და ამ ახალთა-

ობის პეტერბურგელი ჯგუფი თავკაცებით მეშამხდა და იბრძოდა ქართველ ერის ვამოხსლვიძებლით—და ეს ბრძოლა არა მარტო უკვე მჩაგვრელ პირთა და პირობათა წინააღმდეგ წარმოებდა, არამედ აგრეთვე შინაურების წინააღმდეგაც, რომელთაც არ მიიღეს ახალი თაობის მისწრაფება, ძველი ცხოვრების ზოგიერთის მავნებელი წესრიგის შესანარჩუნებლად მიმართული (ბატონყმობისა მჩაგვრელი მთავრობის ერთგულობისა, ძველის ქართული ენის ძნელი ფორმების მეფობისა და სხვ.)—და გაიმართა პრესაში კამათი ახალსა და ძველ თაობას შორის. ამ მხრით საყურადღებოა შაირებით გამართული პოლემიკა, რომელშიც ძველი თაობის მხრით, ილიასა და აკაკის წინააღმდეგ, მონაწილეობას იღებდა გრ. ორბელიანი (იხ. მისი ლექსი, „პასუხი შვილებთა“).

ძველსა და ახალ თაობას შორის ატყდარი ბრძოლით, მამებისა და შვილების ურთიერთობით უნდა იყოს გამოწვეული აკაკის „რუსეთუმე“-ც, სადაც იგი ამ თემას იმ სახითვე ეხება, როგორც გიორგი ერისთავი თავის კომედიებში („გაყრა“, „დავა“). როგორც გ. ერისთავის ივანეს („გაყრა“) სამეურნეო ცოდნა იმაზედ უფრო შორს ვერ წასულა, რომ ზვარს ათხრას უპირებს და იმის ადგილას ბაღი უნდა გააშენოს, ისე აკაკის „რუსეთუმე“-შიც შვილი მამას ურჩევს—ეზოს დამამშვენებელი და სიცხე-

ში შეწუხებული ადამიანის სულის მომბრუნებელი ნიგვზის ხე მოვსჭრათ, ფიცრებათ დავხერხოთ და გავყიდოთო! აკაკის „რუსეთუმე“-ში მამა და შვილი ერთმანეთს ედავებიან, არა ჩვენი თაობა სჯობია და არა ჩვენიო. მამა ახალ თაობას უჩივის, რომ წირვა-ლოცვა არა გწამთ და მარხვას არ ინახავთო, ბანქოს თამაშის მეტს არაფერს აკეთებთო და სხვ.; შვილი ძველ თაობას კიცხავს, სულ ჭამასა და ქეიფობაზე ზრუნავდით, დღეში სამჯერ ძღებოდით და დანარჩენ დროს გეძინათო. როგორც გ. ერისთავის ამირინდოს („დავა“), ისე აკაკის „რუსეთუმე“-ს მამასაც შვილი სასწავლებელში იმისთვის მიუცია, რომ „არზის“ წერა დაესწავლა და სასამართლოებში საჩივრები ეწარმოებია.—ასეთია გ. ერისთავისა და აკაკისაგან დახატული ბრძოლა ძველსა და ახალ თაობას შორის, მამებსა და შვილებს შორის; იგი მხოლოდ მკრთალი მიბაძვაა მამებსა და შვილებს შორის ბრძოლის იმ დასურათებისა, რომელიც რუსის სახელოვანმა რომანისტმა ტურგენევმა თავის რომანში გადაშალა (მოიგონეთ „Отцы и дѣти“-ს მთავარი საფუძვლები).

---

აკაკი სამსახურში არ შესულა. ცხოვრების საშვალება საკმაოთ ქონდა როგორც თავისი, ისე ცოლისაც, მაგრამ, ხელგაშლილ ცხოვრებასა და

უანგარიშობას მიჩვეულმა მგოსანმა, თავისიც და ცოლის ქონებაც მალე გაფლანგა—და 1889 წელს იმერეთის თავად-აზნაურობამ პოეტს პენსია დაუნიშნა, წელიწადში 1500 მანეთი, რომლის გამოც აკაკის ხშირათ ბანკის გამგეობასთან უსიამოვნობა მოსდიოდა, რადგან. შემოსავლის სიმცირის გამო. პენსიას წესიერათ ვერ აძლევდენ.

აკაკი ხშირათ შეჩიოდა ხოლმე პენსიის მიუღებლობას ხან საზოგადოებას (იხ. ლექსი „პენცია"-ზე) ხან თვით ბანკის მართველებს ღ ხან რწმუნებულთა კრებას. უკანასკნელათ 1912 წელს ბანკის რწმუნებულთა კრებას მიმართა თხოვნით, რომ წასული წლების ხვედრი პენსია სრულათ მიეცათ. კრებამ პოეტის თხოვნა დააკმაყოფილა და თანაც 1912 წლიდან პენსია 2000 მანეთად გაუხადა, აგრეთვე დაგირავებული სახლის შესატანი გადაუხდელი ვალიც (1300 მანეთამდი) აპატია.—

ოფიციალური სამსახურისაგან თავისუფალი პოეტი—ცხოვრებაში, გარეშე მწერლობისა, უსაქმოთ მაინც არ რჩებოდა და თავისუფალ პროფესიაში ეძებდა სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მწერლობას შემდგომ იგი განსაკუთრებით თეატრს ეტანებოდა—ღ მე 60 წლებში სცენის მოყვარეთაგან დასი შეადგინა ღ ქუთაისში წარმოდგენებს მართავდა. აგრეთვე მე-80 წლებში დრამატიული დასი შეადგინა, მთელი საქართველო შემოიარა და სხვა-

დასხვა ადგილას წარმოდგენებს მართავდა; ერთხანს დრამატიულ დასში რეჟისორობასაც ეწეოდა.

რაც შეეხება მწერლობას, არ ყოფილა იმისთანა ქართული ჟურნალი ან გაზეთი, რომ აკაკის მონაწილეობა არ მიეღოს, და ბოლოს (1897 წ-ან) საკუთარი ჟურნალიც დააარსა, „აკაკის კრებული“, სადაც უმთავრესათ მისი ახალი და ძველი ნაწერები იბეჭდებოდა. ამ ჟურნალში აკაკი განსაკუთრებულ ყურადღებას ხალხური ზეპირსიტყვის მასალებს აქცევდა — და „აკაკის კრებულში“ მართლაც მრავალი ხალხური ანდაზა, არაკი, ზღაპარი, ლექსი და სხვადასხვაგვარი მასალა დაიბეჭდა.

აკაკის ცოლათ რუსის ქალი ყავდა, ბაზილევსკის ასული, რომლის ხელშიც ერთი ვაჟი შეეძინა და ერთიც ქალი, რომელიც ყრმობაშივე მოკვდომია.

აკაკი მშვენიერი თვალტანადი იყო, ფართოშუბლიანი ლამაზი თავი მშვენიერი ჭუჩუჩა თმით ქონდა სიბერემდი შემოსილი. ჯანმთელობაც შესანიშნავი ქონდა. მაგრამ დაუდევარმა ცხოვრებამ -- განსაკუთრებით გატაცებულმა ბანქოს თამაშმა, რომლისთვისაც იგი თუთუნის კვამლით მოწამლულ ჰაერში ძალიან ხშირათ მთელ ღამეებს ათენებდა — პოეტის სხეული დააუძლურა, და მოხუცებულობის დროს გულის ავათმყოფობა დაჩემდა, რომლითაც ხშირათ ხთებოდა ხოლმე ავათ. ერთი ავათმყოფო-

ბის დროს პოეტს დამბლა მოუვიდა, რომელმაც ცალი (მარცხენა) თვალი დაუზიანა, სამუდამოთ ნახევრათ დახუჭული დაუტოვა.

დასასრულ, 1914 წლის დამლევ დეკემბერს, თავის სოფელ სხვიტორში პოეტი მძიმე ავათ შეიქნა და ერთი თვის ავათმყოფობას შემდეგ, 1915 წლის იანვრის 26 რიცხვის დასაწყისს, ღამის 1 საათზე, გადაიცვალა, დაბადებიდან 74 წლისა და $7^1/_2$ თვისა. ქართველმა ერმა გულწრფელათ იგლოვა მისი სიკვდილი და სოფ. სხვიტორიდან დიდი ამბით ტფილისს გადაასვენა.

პოეტის გვამი 1915 წლის 8 თებერვალს დაკრძალეს მთაწმინდაში, რომელიც მან გრძნობით სავსე ლექსით შეამკო.

---

ქართველი საზოგადოება განსაკუთრებული სიყვარულითა დ პატივისცემით ეპყრობოდა აკაკის. არც ერთს ქართველ მწერალსა დ მოღვაწეს სიცოცხლეში თანამოძმეთაგან მისოდენი პატივისცემა და სახელი არ დაუმსახურებია, მაგრამ პოეტი მაინც უკმაყოფილო იყო და ხშირათ საყვედურობდა სიტყვითაც და ნაწერითაც.

ადამიანთა შორის უნაკლულო არავინ არის, აკაკიც არ იყო უნაკლულო — და, რასაკვირველია, სხვებთან ერთად მის ნაკლულევანებასაც ეხებოდენ

ხოლმე პრესაში. აკაკი პირველ ხანებში, როგორც მე-60 წლების ახალთაობის წევრი, ძველი ცხოვრების ბოროტებას ებრძოდა, და ეს ბრძოლა, უმთავრესათ—ილია ჭავჭავაძის გავლენით, ნორმალურათ წარმოობდა და მართლაც ცხოვრების კეთილდღეობისათვის იყო გამართული; მაგრამ ბოლოს დროს ილია და აკაკი ერთმანეთს დაშორდენ—და აკაკი სხვა წრეში მოხვდა, რომელშიც მასთან ერთად გ. წერეთელიც მუშაობდა. ახლა ეს წრე, როგორც მე-60 წლებში გრ. ორბელიანის წრე, ძველ თაობათ გადაიქცა—და მას ახალმა თაობამ დაუწყო ბრძოლა საზოგადოებრივ ნიადაგზე. განსაკუთრებით დამახასიათებელი ამ ბრძოლისა ქუთათური არჩევნები შეიქნა.

ქუთაისის გუბერნიაში არჩევნები—და მეტადრე ქ. ქუთაისში—ყოველთვის განსხვავებული გატაცებითა და სიცხოველით წარმოობდა, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში. არჩევნების დროს,—თავად-აზნაურთა მარშლების არჩევანი იყო იგი, ბანკის თავმჯდომარე—დირექტორებისა თუ ქალაქის თავისა,—მეკენჭეები და დაინტერესებული პირები თავს იყრიდენ ორის მოპირდაპირე ჯგუფის გარშემო, რომელთაც თავთავისი კანდიდატი ყავდათ. ამ სახით, არჩევნების გამო საზოგადოება ორ „პარტიათ“ იყო დაყოფილი და თითოეული მათგანი განსაზღვრულის ზნეობრივისა და საზოგადოებრივი მი-

მართულების გამომხატველი იყო: ერთი არ ერიდებოდა არავითარ საშვალებას თავისი კანდიდატის გასაყვანათ (სადილებით თუ ქრთამებით მეკენჭეთა მიმხრობას) და მომავალშიც იმით იყო დაინტერესებული, რომ არჩეული პირები თავისი ნივთიერი სარგებლობისათვის გამოეყენებია; ხოლო მეორე პარტია ზნეობრივ ნიადაგზე იდგა, გმობდა სადილვახშმითა და სხვაგვარი ქრთამებით კანდიდატების არჩევას და ცდილობდა იმისთანა კანდიდატები წამოეყენებია, რომელნიც საზოგადო საქმეს წმინდათ, უანგაროთ ემსახურებოდენ.

რასაც პირველ ხანებში Ილია Ჭავჭავაძესთან ერთად ებრძოდა, Აკაკიმ იმას უკანასკნელ ხანებში ქომაგობა დაუწყო, ზევით დასახელებულს პირველ პარტიას მიემხრო — და ამიტომ იყო, რომ „ოპოზიცია", ანუ მოწინააღმდეგეთა პარტია, Აკაკის საქციელს გმობდა, რადგან Აკაკი საზოგადოებაში ცნობილი და გავლენიანი პიროვნება იყო, და ოპოზიცია, თანახმათ Დავით Ბურამიშვილისა, სამართლიანათ ფიქრობდა და ამბობდა:

„Ბრძენის ურიგო ქცევითა ბნელით წახდების ერია"-ო.

Აკაკის ამგვარ საქციელს Ილია Ჭავჭავაძეც გამოეხმაურა და ამ ნიადაგზე Აკაკისა და ოპოზიციას შორის ხანგრძლივი კამათი იყო პრესაში.

მიუხედავათ ამისა, Აკაკი მაინც საყვარელი იყო ქართველი ერისათვის, როგორც წარჩინებული მგოსანი, და ამიტომ ქართველმა ხალხმა 1908 წლის

დეკემბერში მისი 50 წლის პოეტური მოღვაწეობა არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით იდღესასწაულა — და ამ წლიდან წ. კ. საზოგადოებამ საგანგებოთ შედგენილი თანხიდან პოეტს ყოველთვიური ჯილდოც დაუნიშნა.

როგორცა ვსთქვით, ქართველი საზოგადოება აკაკის უმეტეს ნაწილათ მორალურათაც და ნივთიერათაც სხვა მწერლებზე ბევრათ მეტი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა, მაგრამ იგი მაინც მეტისმეტათ უკმაყოფილო იყო თავისი ბედისა.

მართალია, აკაკის სულის ნაღვლიანობა, როგორც მისი ნაწერებიდან ჩანს, უმთავრესათ სამშობლოს, მშობელი ერის უბედურებით იყო გამოწვეული, მაგრამ ძალიან ხშირათ მის გულის ტკივილში პირადი მისი ცხოვრების სიმწარით გამოწვეული ნაღველიც საკმაოთაა ჩაღვრილი.

„სული და გული, ბუნების ნიჭი, სიჭაბუკე და წამი ყოველი — შენ შემოგწირე, და რა მივიღე სამაგიერო მე საწყალი? — უსამართლობა, მტრობა და დევნა, ცილისწამება გულის საკლავი — და, საუკუნოთ განსასვენებლათ, მოსწრაფებული შავი სამარე!.. მშვიდობით, ჩემო დედისამცვალო, ჩემთან წარიშალე ჩემი სამშობლო“-ო, — ამბობს პოეტი („სასოწარკვეთილება“).

პოეტს ისე შეხიზლებია თანამედროვე საზოგადო-

ება, რომ იგი მზათ არის სადმე შორს გადიხვეწოს და ეთხოვება მას:

„შეითხოვები იმა მხარეს, სადაც ვიყავ ნაწამები, სადაც ტკბილი არ მქონია არა თუ დღე, არც წამები“-ო („გამოთხოვება“).

ერთ ლექსში („ჩემი ჰასაკი“) პოეტი სამართლიანათ კიცხავს თანამედროვე საზოგადოებას იმ ჩვეულებისათვის, რომელიც მასშია გამეფებული, სახელდობ — რომ სიცოცხლეში თავის საუკეთესო შვილებს აწამებენ და, როცა მოკვდება, მაშინ იწყებენ თავში ცემას, — თუმცა უნდა გავიმეოროთ, რომ პირადათ აკაკის ყველაზე ნაკლები საბუთი ქონდა ამის თქმისა:

„ეს შურიანი ქვეყანა
ხარბი და უმადური:
პირველად იმას გასწირავს,
ვინც [illegible]ო ნამსახური!
მოჰკლავს და შემდეგ სიკვდილის
იგლოვს მას თვალთმაქცურათა:
დევნილს დამარხავს პატივით
და დარიბს — დიდკაცურათა.
მაგრამ კვდარს რაო? ეს წესი
მაიმუნობა მგონია:
ცოცხლების თვალის სეირი,
მათთვე მოსაწონია!
სამარის კარზე შემდგარსა —

გულშა ეს მრჩეს წყნაოა:
ვაი თუ სიკვდილის შემდეგ
მეც გავხდე შაიშენათ!..“

ამ აზრთან არის დაკავშირებული მეორე ლექსის აზრიც („სანამ ვიყავ ახალგაზრდა“). დაგვიანებულ პატივისცემასა და სიამოვნებას პოეტი იმავე მნიშვნელობას აძლევს, როგორც „სიკვდილის შემდეგ სინანულს“, როგორც გვირგვინებითა და ზარ-ზეიმით მიცვალებულის დასაფლავებას. სანამ ახალგაზრდა ვიყავ და გულს სიამოვნება ეხალისებოდა, ცხოვრებამ მხოლოდ საწამლავი მასვა, და როცა დავბერდი და ყველაფრის ხალისი დამეკარგა, ახლა რაღათ მინდა ან სიყვარული, ან ნივთიერი სიმდიდრე, ან მეგობარი, ან ქება-დიდებაო?!.

ერთს დამახასიათებელ თვისებას იჩენს ჩვენი პოეტი თავისი კაეშნის გამოხატვაში: მას არ უნდა თავისი ჰმუნვა, თავისი უბედურება მტერს დაანახოს, თავისი მტკივანი გული „მატყუარ სოფელს“ გადაუშალოს და მით გაახაროს იგი („ჩემი სიმღერა“):

„ტიალში წუთისოფელში ნაღველი დამალევია:
არც მომკლა, არც დამარჩინა, არც სული დამალევია. გაჩენის დღეს ვიწყევლი, სიცოცხლის წამსა ვაჩვენებ, მატყუარ სოფელს ვატყუებ: რასაც ვგრძნობ, მას არ ვაჩვენებ... ცრემლი არ მახჩობს, ვიცინი... ჩემი ფიანდე ის არი!.. სხვას ხელს რათ მივსცე ჯავრითად მე ჩემი გულის ისარი!..“-ო

ამავე აზრს „ჩემი თავი, ბედი არ გაწყრისა"-ში ასე გამოსთქვამს:

„თუ მარტო თავს მომაკვდავს ვადარებ:
თუ ხალხშა ვარ, ძაღლთა ღრუბელს ვადარებ — და მოწყენით ჩუმზე მტერს არ ვახარებ, რომ არა სთქვან ჩემზე: „რა ოხერია"-ო!..

გრძნობის გამოხატვაში ამგვარი თვალთმაქცობა ეწინააღმდეგება გულახდილობასა და პირდაპირობას, რაც ჩვენს პოეტს თითქო საქებ თვისებათ მიაჩნია („საწყალი და დარბაისელი"):

„დიდი კაცი ანგარიშით
იცინის და იჭყანება:
შიგნით სხვაა, გარეთ სულ სხვა,
გაწრთვნილი აქვს გულის ნება!
საწყალს კი ეს ანგარიში
აროდეს არ ეგურება:
სიცილის დროს სულ ხარხარობს
და ტირის, თუ ეტირება"-ო.

მტერი ხომ მტერია — და მისგან სამართლიან მოპყრობას აბა ვინ უნდა მოელოდეს, მაგრამ მოწინავე ადამიანის გულს ისა კლავს, რომ ე. წ. „მოყვარეც" მტრობას უწევს — და ამისთანა „მოყვარე" ხომ, შოთას თქმით, „მტრისაგან უფრო მტერია!" ჩვენს პოეტსაც სწორედ ეს გარემოება სწამლავს („ჩემს მეგობარს"):

„ძმათ სიყვარულით აღმევსო გული,

რა რომ შევიძლ აგვარგის ცნობა:—
ვშრომობდი მათთვის თავგანწირული,
მაგრამ ვერ გპოვე მათში თანგრძნობას“-ო.

ამიტომაც პოეტს — როგორც საზოგადოებრივით, ისე საპირადო ტკივილითაც გულმკვდარს — თითქო იმედი დაკარგვია და არარაფერი ახარებს, არც ახალი წელი, რომელიც სიმბოლოა მომავალში იმედისა და ნუგეშისა („ახალი წელი“):

„მას უხაროდეს ახალი წელი,
ვინც კი ცხოვრების კმაყოფილია,
ვისიც წარსული არ იყო მწველი
და მომავალი ვისიც ტკბილია...
მას უხაროდეს... თორემ ნაღველი
ვინც შესვა ჩემებრ და სცნო მწარ-ძალა,
მას რაღათ უნდა ახალი წელი?
მისთვის ერთია „დღეს“ თუ „ხვალე“!..

ასე შხამით ავსებულა პოეტის გული იმის გამო, რომ საზოგადოებას იგი თითქო ვერ დაუფასებია და მისდამი უმადურობა გამოუჩენია. მაგრამ პოეტი როგორც საერო ტკივილში, ისე არც საპირადო მწუხარებაში საბოლოოთ მაინც იმედს არ კარგავს — და პირად სევდასა და ნაღველს მგოსანს ერთი მხრით ზეცით მონიჭებული ჩანგი უქრობს, ხოლო მეორე მხრით — მომავალი თაობის, ახალგაზრდობის სიყვარული და თანაგრძნობა:

ა. („გამოცხადება“)

„ბაყაყურებივარ მავნებლის,
დავლევარ შეუპოვარი!
ვერ შემაშინებს რისხვით ცა,
მიწაზედა ჭირის მთოვარი!..
ჩანგურო, ჩემო დიდებავ,
და ძლიერებავ — კალამო,
ზოგჯერ ფინთიხო გულის,
ზოგჯერ წყლულის მალამო!..“

ბ. („ღ ი მ ი ლ ი“)

„არ გავდრეკები! გულით გმირის
და შებრძოლის მრავალგვარსა —
ხელთ მიჭერია ის ღიმილი,
მტრისთვის ხმლათ და მოყვრის ფარათ!..
ის ღიმილი ნიშანია
ახალგაზრდათ თანა[illegible]ხობის
და მიზეზი სათ[illegible]
ჩემი მღერის, ჩემი გზნობის“.

ამ სახით, თანამედროვე საზოგადოებაში აკაკი მანუგეშებელს ვერავის ხედავდა — და ამიტომ ვერც ურიგდებოდა მას. შეიძლება ითქვას, რომ ყოველ შემთხვევაში ყველაზე მეტათ ცხოვრებაში აკაკი ასე წოდებულს „მესამე დასს“ ეგუებოდა — და დასელებსაც მასთან კარგი განწყობილება ქონდათ. ამის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ პოეტი მათში — განსაკუთ-

რებით პირველ ხანებში—ხედავდა ცხოვრების განახლების იდეებით გამსჭვალულ ახალთაობას, ახალგაზრდობის იმ „ღიმილს", რომლითაც იგი ნუგეშობდა. მაგრამ, მიუხედავათ ამ კეთილგანწყობილებისა, აკაკი—თუმცა გვიან—ბოლოს დარწმუნდა, რომ მათი მოძღვრება ეროვნული საკითხის შესახებ ჩვენი სამშობლოსათვის მავნებელი იყო, და ამიტომ მათ წინაამდეგაც გალაშქრა (ლექსი „ჩემს ჭმუნვას", რომელიც პირველათ 1912 წ. დაიბეჭდა):

„მე ის მაღონებს, დღევანდელ ქართველს
ძველი ანდერძი რომ ავიწყდება,
და ეროვნების მაგარი ციხე
შეუგნებლად შიგნიდან ტყდება.
მტერი იძახის: „ვინ გაიგონა
ახლანდელ დროში ეროვნებათ?!
მხოლოდ ერთია—„მუშის საკითხი"!—
გულს ჩაიბეჭდეთ მარქსის მცნებათ"!..
ამას ჩვენ გვირჩევს—და თავისათვის
სულ სხვანაირათ გაიყურება:
ცდილობს კისერი მოგვატეხოს—
და მით თავის ერს ემსახურება...
ჩვენს ქართველებს კი მეცნიერების
უკანასკნელი სიტყვა გონიათ—
და მიაჩნიათ ჭეშმარიტებათ,
რაც კაჭკაჭივით გაუგონიათ!..
მტერსაც ის უნდა: მოტყუებულ ერს

შურით ავსილი ჩაიგდებს ხელში —
და, ცოდვით აბღალის მანაურ არწივსა,
ადგილი მაგრით წიწკვერს ყელში ...

---

## II. აკაკი წერეთლის ნაწერების საზოგადო განხილვა.

აკაკის ყოველ სამწერლო დარგში უშინჯავს თავისი ძალა — და მრავალი დაუწერია, როგორც წვრილი ლექსი, ისე პოემაც, დრამაც, მოთხრობაც, პუბლიცისტური წერილიც და სხვ. ბევრს ნიჭიერ მწერალს ჩვევია ამგვარი ხასიათი: კალამს არა მარტო იმ დარგში ავარჯიშებენ, რომლის ნიჭიც მათ განსაკუთრებით დაყოლიათ, არამედ სხვა დარგებშიც. აკაკის ცხოვრებაში ამ ვარემოებას კიდევ ისიც უწყობდა ხელს, რომ სამწერლო ასპარეზზე მისი გამოსვლის დროს (მე-19 საუკუნის მე-60 წლებში) ჩვენი მწერლობის ყველა დარგი ღარიბი იყო — და ნიჭიერ მწერალს სურვილი ებადებოდა თავისი წვლილი ყველა დარგში შეეტანა. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვები ერთსა და იმავე დროს ლექს-პოემებსაც სწერდენ, მოთხრობებსაც, პიესებსაც, პუბლიცისტურს, კრიტიკულს თუ ისტორიულ წერი-

ლებსაც – და ამასთან საზოგადო მოღვაწეობასაც ეწეოდენ.

ყველაზე მეტათ აკაკის უშინჯავს კალამი ყოველგვარ დარგში— და ყველაზედ უფრო ამ მხრით მას უწყობდა ხელს გარემოება, რადგან სამსახურში არ ყოფილა და, მაშასადამე, თავისუფალი დრო ბევრი ქონდა.— აი რას ამბობს აკაკი ერთი შემთხვევის გამო: ბაბუნიას ქალის ნატოს ბენეფისი უნდა გამოეცხადებიათ, მაგრამ მისი ნიჭის შესაფერი პიესა ვერ გამოსძებნეს— და მობენეფისეც და მისი ამხანაგი არტისტებიც ძლიერ სწუხდენო. მეც შემაწუხა ამ გარემოებამ— და ჩავუჯექი, მთელი ღამე გავათენე და პიესა (ვოდევილი) „ძინტო“ დავსწერე, რომელიც შესაფერი გამოდგა და მობენეფისეს რიგიანი შემოსავალიც მისცაო.— ამგვარვე შემთხვევას მოგვითხრობს ალექსანდრე ყაზბეგიც: ტფილისში ყოფნის დროს ჩვენი არტისტების წუწუნმა შემაწუხა, რომ პიესები არა გვაქვსო; წაველი მთაში— ჩემს სოფლათ, ჩავჯექი— და სულ მცირე ხნის განმავლობაში ოცდათხი პიესა დავსწერეო...

ტქმა არ უნდა, რომ მწერლის ნიჭის ამგვარი დაქსაქსვა და დაფანტვა საზოგადოთ მწერლობისათვის მავნებელია, რადგან ყოველი მწერალი საგულისხმო ნაწარმოებს მხოლოდ იმ დარგში ქმნის, რომლის ნიჭიც ბუნებით დაყოლია, და სხვა დარგში კი მისი ენერგია, მისი ძალღონე ამაოთ ილალე-

ბა და იქანცება. აკაკის მრავალრიცხოვანსა და მრავალფეროვან ნაწერებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ წვრილი ლექსები იქცევს. პატარ-პატარა წვრილი ლექსებით გამოხატული ლირიკა—აი აკაკის საქეფო; დანარჩენ დარგებში იგი შედარებით სუსტია და მცირემნიშვნელოვანი.

აკაკის პოეტური შემოქმედება 1856 წლიდან გაღვიძებულა. მის პირველ ლექსათ „ლამპარი“ ითვლება, 1858 წ. ჟურნ. „ცისკარ“-ში დაბეჭდილი; ამას მოყოლია ლერმონტოვის ლექსის თარგმანი, „რტო პალესტინისა“, იმავე წელს იმავე ჟურნალში დაბეჭდილი. მაგრამ საზოგადოთ აკაკის თხზულებათა სრულ გამოცემებში პირველ ლექსათ სთვლიან „საიდუმლო ბარათ“-ს (1856 წლის 1 ივლისს პეტერბ. დღწერ.), რომელშიც წრფელი ნამდვილი გრძნობაა გამოხატული წმინდა სიყვარულისა და რომელსაც თავის დროზე მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება დაუმსახურებია.—ჟიდევ უფრო ადრე, ყმაწვილობისას, პოეტს მცირე პიესისებური სცენები დაუწერია, სადაც თავისი ოჯახის ცხოვრება ქონია დახატული (ცნობილის მათი მოურავის ცხოვრებიდან), მაგრამ, უნივერსიტეტიდან დაპრუნებულს რომ უნახავს (დედა მისს ქონოდა შენახული და ეჩვენებია), არ მოწონებია და დაუხევია.

აკაკის თავისი კალმის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება ერთს პაწია ლექსში მშვენიერათ აქვს გამოხატული:

„ცრემლში მილესავს ნაღველი —
და მელნათ ის მიხმარია...
შიგ თაფლი არის ნარევი
და ზოგან ცხარე ძმარია...
ზოგს ეტკბილება, ზოგს — არა,
მაგრამ რა ჩემი ბრალია?
ბულბული ვარდს და ეკალზე
თანასწორათ მიმღერალია!“ — ო

მართლაც, აკაკის ლექსებში ხშირათ თაფლი და ნაღველი, ტკბილი და მწარე, სატირალი და სასაცილო ერთმანეთშია არეული. ჩვენი პოეტი ნაღვლიანი ბუნების, მწუხარე სულის მქონი იყო, გულნატკენი საერთოდ სამშობლოსა და საზოგადოების ტკივილითაც და პირადი უსიამოვნობითაც, მაგრამ კერძო ცხოვრებაშიც ხშირათ — იმ დროსაც კი, როცა ნაწყენი იყო — ოხუნჯობდა ხოლმე, და მწერლობაშიც ამგვარივეა კილო და მანერა მისი წერისა: სამწუხაროშიც ხშირათ იღიმება ხოლმე, თუმცა მისი ღიმილი უფრო ხშირათ გესლიანი და შხამიანია. ისეთს მწუხარე გრძნობის გამომხატველ ლექსში, როგორიც არის, მაგალ., „აღმართ-აღმართ“, აკაკი ნაღვლიანი ოხუნჯობით ეუბნება თავისთავს:

„იქ საბძანლი, სად გელიან ლოდებით — ბარით,
ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით“-ო!

რუსის მწერლის გოგოლის არ იყოს, აკაკიც „ცრემლებს შორის“ იცინის ხოლმე — და ამ თავის სიცილზე მგოსანი ერთგან („ნახევარი ცხოვრების გზა გავლილი“) ამბობს.

„თუმცა გულს მწვავს მწუხარების მე ალი,
მაგრამ მაინც ვიცინი სახნაირათ —
და მჭვრეტელთაც ესა აქვთ გასაკვირათ:
„ჭირისუფალს მხოლოდ ცრემლი შვენისო?!...
ეს იცინის?!... როგორ არა რცხვენისო...
რა იციან, რომ ეს გული მკვდარია —
და სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა!..“

როგორც მისი ბიოგრაფიიდანაც ვიცით, ჩვენი პოეტი პატარაობიდანვე „ხითხითა“ ყოფილა, გარეგნულათ მცინარი და მხიარული, — მაგრამ სული მისი მაინც ნაღვლიანი და სევდიანი იყო — და სწორეთ ასე ახასიათებს იგი თავის კალამსაც.

**იუმორისტულ-სატირული** ნაწარმოები აკაკის ბევრი არ აქვს, მაგრამ, რაც არის, მაჩვენებელია იმისა, რომ ამგვარი ფორმა მის კალამს განსაკუთრებით ემარჯვება. ასეთია მისი ლექსები: „**ფარისეველი**“, „**აშელაცაის მცოდნე**“, პოემა-ზღაპარი „**ნაცარქექია**“, მოთხრობა „**სიკვდილი**“ და სხვ.

თავისი აზრის გამოსახატავათ აკაკი ხშირათ მიმართავს ხოლმე იგავარაკის ფორმას, ალეგორიას.

როცა მწერალს რაიმე მიზეზით არა სურს თავისი აზრი აშკარათ გამოსთქვას, იგი ალეგორიულათ, სიტყვა-გადაკრული ზღაპრითა და იგავარაკით ასურათებს თავის აზრს. გარდა იმისა, რომ ეს ფორმა პოეზიაში საუკეთესოთ ითვლება, როგორც აზრის ცოცხლათ გამომხატველი და მკითხველის დამაინტერესებელი, აკაკი, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობისა და იმ დროს არსებული ცენზურის მიხედვითაც, ხშირათ იძულებული იყო ამ ფორმისათვის მიემართა. ალეგორიის ფორმით აქვს დაწერილი, მაგ., პოემა-ზღაპარი „ალექსი“, სადაც საქართველოს უკუღმართი ბედიღბალია აწერილი, „ლამურა“, რომელიც სამშობლო ენისა და ზნეჩვეულების მოღალატობის წინააღმდეგ არის მიმართული, „გაზაფხული“ („დღეს მერცხალი შემოფრინდა“), რომელიც რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის მოკვლის გამო დაწერილი, „ხარაბუზა და ფუტკარი“ და მრ. სხვ.

აკაკი იმდენათ ხელოვანია სატირულსა და ალეგორიულ ნაწერებში, რომ მის მიერ ქართულათ ნათარგმნს კრილოვის არაკებს ნათარგმნობა არ ეტყობა და ზოგან ნამდვილზედ უფრო მშვენიერიცაა

მგოსნები, საზოგადოთ, ყოველთვის ზეშთაგონებით არ სწერენ და ამიტომაც ზოგიერთს მათ ნაწერს არ აზის ბეჭედი პოეტური აღმაფრენისა და

სიმშვენიერისა. აკაკის ნაწერებში ძალიან ბევრია იმისთანა, რომელიც არც აზრით, არც გრძნობით და არც გარეგანი ფორმით არავითარ ყურადღებას არ იქცევს: ან უბრალო პუბლიცისტიკაა, ან გალექსული პროზა, რომელთაც პოეზიასთან არავითარი კავშირი არ აქვთ.

თუმცა, ამ სახით, აკაკის ბევრი ლექსი პოეტურ ღირსებას მოკლებულია და დღეს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ზოგს მათგანს, ცხადია, თანამედროვე ცხოვრებისათვის მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც მაშინდელი მოღვაწეების თუ სხვადასხვა დღიური ვარამის გამომხატველს.

თავის ნაწერებში აკაკი ბევრგვარ საგანს ეხება და გვისურათებს. მათ შორის განსაკუთრებით საგულისხმოა: 1) სამშობლოს სიყვარული, 2) თანამედროვე ქართველობა, 3) ადამიანთა ურთიერთობა, 4) ტრფობა, 5) ბუნება და პოეტი, 6) გლეხობა, და სხვ.

## 1. სამშობლოს სიყვარული.

ერთი ერისაგან მეორის ენისა და საზოგადოთ ეროვნული თავისუფლების შეზღუდვა ყოველთვის ყოფილა და იქნება დაჩაგრული ერის გონიერთა და გრძნობიერ შვილთა გულისა და სულის ამაშფოთებელ საგნათ — და ჩვენს მგოსნებსაც ძლი-

ერათ აღელვებს სამშობლოს ამგვარი უბედურება. გრ. ორბელიანმა „სადღეგრძელო"-ში, ნ. ბარათაშვილმა „ბედი ქართლისა"-ში, ვ. ორბელიანმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, რაფიელ ერისთავმა და სხვ. მრავალ ლექსსა და პოემაში სამშობლოსადმი სიყვარული უმწვერვალესი გრძნობიერებით დაგვიხატეს, მონობაში მყოფის ქართველი ერის ტანჯვა-წამება ძლიერათ გვაგრძნობიეს.

ზოგიერთს გონია, რომ სამშობლოს სიყვარულის გრძნობა დროებითი მოვლენაა და, საზოგადოთ, ცალკე ეროვნება, როგორც საკუთრების ერთ-ერთი სახე, ოდესმე უნდა მოისპოს.

ეს მოსაზრება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. შესაძლებელია კაცობრიობის ცხოვრების ბოლოუჩინარ გზაზე მრავალი ერი აღიგაოს პირისაგან ქვეყანისა, ან გადაგვარდეს, ფერი იცვალოს, როგორც ეს წარსულშიც მომხდარა, მაგრამ, სანამ საზოგადოთ ადამიანთა ცხოვრება არ მოსპობილა, მანამდი კაცობრიობა აუცილებლათ სხვადასხვა ერის სახით იარსებებს ბრძოლა არსებობისათვის სხვადასხვანაირი საკუთრების ნიადაგზე, განსაკუთრებით ეკონომიურ ფარგალში, ეჭვი არ არის-მომავალში მოისპობა—და უნდა მოისპოს კიდევაც, როგორც დამიანთა შორის უთანასწორობის წარმომშობი წყარო და კეთილშობილური თავისუფლების შემბოჭველი; მაგრამ განვითარებულ ადამიანთა შორის კულტუ-

რული შეჯიბრება, კაცობრიობის გამშვენიერებისა და გამდიდრებისათვის ბრძოლა ყოველთვის იქნება.

და განა უნაყოფო ოცნება არ არის იმის წარმოდგენა, რომ ოდესმე სხვადასხვა ერი მოისპობა, მთელი კაცობრიობა გაერთიანდება და ერთი ენით მოლაპარიკე შეიქნებაო?! „განა, შესაძლებელიც რომ იყოს, სასურველი კი არის, რომ ეს ოცნება განხორციელდეს? ბუნება მრავალფეროვანობით არის მშვენიერი: თვალსა და გულს ის ართობს და ატკბობს, რომ ერთმანეთში ჰარმონიულად გადაკვანძულია მთა და ბარი, ბორცვი და კორდი, ხე და ტყე და ათასნაირი მცენარეულობა, აგრეთვე ზღვა, მდინარე და მოჩუხჩუხე წყაროები. როგორც ცას ღამით სხვადასხვა მნათობი აშვენებს, რომელთა შორისაც ზოგი კაშკაშობს, ზოგი კი ძლივს ბჟუტავს, ისე აშვენებენ კაცობრიობასაც სხვადასხვა ზნეჩვეულების მქონი, სხვადასხვა ენით მოლაპარაკე ერები.—კაცობრიობა ადამიანის სხეულსა გავს: მოკვეთეთ სხეულს მისი ნაწილები—და ჰარმონია დაირღვევა, სხეული დამახინჯდება, თანაც ხშირათ დასუსტდება და დაუძლურდება.—ყოველს კულტურულ ერს უთუოთ რაიმე თავისებური განძი შეაქვს კაცობრიობის სალაროში: ან განსხვავებული მუსიკა, სიმღერა, გალობა, ან განსხვავებული ლიტერატურული ნაწარმოები, თავისებური კულტურა—და ნუთუ სასურველია. რომ კაცობრიობას ყველა

ეს მოაკლდეს?! ეს ხომ მისი დაღარიბება იქნება?!“ (იხ. ჩემი „პატრიოტი და კოსმოპოლიტი“).

მართალია, სამშობლოს სიყვარულის იმგვარი მწვავე გრძნობა, როგორიც ჩვენი მგოსნების ნაწერებში მოისმის, მართლაც წარმავალია და დროებითი ხასიათისაა: ამგვარ გრძნობას მხოლოდ იმ დრომდი აქვს ადგილი, სანამ ერი თვითარსებობის საფუძვლებს მოკლებულია, სანამ მისი ენა და საკუთარი კულტურული ზდა შებოჭილი და შეფერხებულია. მაგრამ ეროვნული თავმოყვარეობა და ეროვნული თვითარსებობის გრძნობა—რასაკვირველია, შედარებით უფრო ზომიერი მაშტაბით—დამოუკიდებელ ერებშიც არსებობს. ინგლისელი ცდილობს—მისი ენა და მისი კულტურული გავლენა გავრცელდეს ქვეყანაზე, გერმანელიც ამისთვის ზრუნავს, ფრანგიც და სხვებიც. და ამგვარი ზრუნვა და ბრძოლა ყოველთვის იქნება, რადგან მათ კეთილშობილური თავმოყვარეობისა და ამავე დროს მშვენიერებისადმი მისწრაფების ხასიათი აქვთ.

ამ სახით, ეროვნული გრძნობა, გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა—საკაცობრიო გრძნობაა, რომელიც, შემთხვევის მიხედვით, მეტნაკლებობით პატარა ერების ცხოვრებაშიც იჩენს ხოლმე თავს და დიდი ერებისაშიც, ჩაგრულებშიც და მჩაგვრელებშიც.—

ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს ერო-

ტიული შინაარსის ლექსები ცოტა აქვთ; მათი ფიქრა და გონება ერთ სატრფოს მოუტაცია — და ეგ სატრფოა მათი საერთო სამშობლო, „ბედკრული“ საქართველო.

„მას აქეთ რაკი შესდაში ვსცან მე სიყვარული,
ჭირი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება“-ო,

— ამბობს Ილია. კიდევ უფრო აგზნებულია Აკაკის სამიჯნურო ცეცხლი მის „სატრფოსადმი“ („Ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე“):

„ვიღას ახსოვს თავისი სატკივარი, თუ სატრფოც ჰყავს იმ დროს მას ცოცხალ-მკვდარი?!. მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი? — ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი, ფეხშიშველი, თავზე ლეჩაქშოხდილი!.. უგრძნობლად ჩვის საწყალს საჯათას ძილი!..“

მებატონე სახელმწიფოს ხელში მონური ცხოვრება, დამპყრობელთაგან სამშობლო ენის დაჩაგვრა და ეროვნული თავისუფლების მოსპობა — აი ჩვენი მგოსან-მწერლების გოდებისა და დრტვინვის საგულისხმო საგანი. Აკაკი უმთავრესათ თანამედროვე ქართველთა ზნეობრივისა და გონებრივი დაქვეითების მაგალითებს მიგვითითებს, მაგრამ, ცხადია, ქართველთა ეს ზნეობრივი და გონებრივი დამახინჯება მას დამპყრობელთა ძალმომრეობისა და ბოროტი განზრახვების შედეგათ მიაჩნია.

„სხვაგვარ სიყვარულ“-ში Აკაკი ძველ დედებს

ვონებს, რომელნიც თავის შვილებს ამგვარ „ნანანს" უმღეროდენ: „მტერებისგან დამონებული ვართ, შვილო! არ გვაქვს ჩვენში ჩვენ ბინა, და შენ აივსე მით შურით გული,— ეს არის, შვილო, ჩემი ნანანა"-ო.

დიახ, სწორეთ ეს არის საშინელი დასჯა ადამიანისა, როცა მას სამშობლოსართმევენ და მის სამშობლოში სულს უხუთვენ. საქართველოს შვილნი ამ შემთხვევაში იმასვე განიცდიდენ, რასაც ტყვეობაში მყოფი ებრაელნი და რაზედაც იესოს ნათქვამი აქვს: „მელთა ხვრელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს, სადა თავი მიიდრიკოს" (სახარ. მათ., 8—20).

„ებრაელთა გოდება"-ში, რომელიც ჩვენს პოეტს ბაირონიდან უთარგმნია და რომელიც დავით წინასწარმეტყველის ერთერთ ფსალმუნს წარმოადგენს (ფსალ. **136**-ე), ჩვენი მგოსანი შემდეგი სიტყვებით, ცხადია, ებრაელთა ბედს თავისი მშობელი ერის ბედს უთანაბრებს (ეს ლექსი აკაკიმ ორჯერ სთარგმნა:— იხ. მეორე თარგმანი):

„მტრები მოუვრულათ გარს ეხვევიან,—
ეუბნებიან! „რასა სწუხხართო?
თქვენც ჩვენთან ერთად იმხიარულეთ —
და მოწყენილი ეგრე ნუ ხართო!...
ჩვენებურ ჰანგზე მოშართეთ ჩანგი,
გადმოაკეთეთ თქვენი ხმებით —

და გალობდეთ ქებათა-ქება:
ჩვენ ისტორია ვართ და თქვენ უმებით!...
დაემორჩილეთ ბედს! ნუღარ ჩივით!..
აღარსაკან ცხება თქვენ გამგონია..
ნუღარ იგონებთ იერუსალიმს, —
გახსოვდეთ მხოლოდ ბაბილონით!..“

(საყვარელი სამშობლოს ამგვარი ჩაგვრა-წამებ: რომ სხვა ჩვენს მგოსნებთან ერთად აკაკისაც სწა ლავს, და ამიტომაც პოეტს მოსვენება და სიტკბო ება ცხოვრებაში ვერ უნახავს. აკაკის თავისი „ნე ტან-დარეჯანი“, თავისი საყვარელი სამშობლო ცი ხეში შეპყრობილად ეგულება--და ამიტომ ამბობს:

„მაშ რაღად მინდა სიცოცხლე მე, აწმყოსამწ რებულსა, თუ, ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს, ვხ დავ მას ატირებულს“-ო („ჭაღარა“).

მეორე ლექსში („საღამო“) იგი ამბობს: „ს ნამ ჩემი საყვარელი ქაჯებსა ყავთ ცხრაკლიტულში ვინ მაღირსებს სასუფეველს, ჯოჯოხეთი მიძე გულში“-ო! მართლაც, ისეთი მასიამოვნებელი მუ სიკალური იარაღი, როგორიც არის „საღამური ხმა ტკბილი და საამური“, პოეტს საქართველო „მწარე მოთქმას“ აგონებს, — მის ხმაზე მგოსან აგონდება, რომ მის საყვარელ სამშობლოს „ხა თათრები აკვნესებენ, ხან თურქები ატირებენ, ხა სკვითები დროს-შერჩევით მყუდროებას უშფოთე ბენ“.

მაგრამ ყოველთვის, როცა სამშობლოს გან-საცთელი ' აგონდება, არაოდეს არ ავიწყდება მისი ხსნის **იმედიც**, რომელიც მის ნაღვლიან სულს შორეულ შუქურა ვარსკვლავივით მანუგეშებელ კანდელათ ევლინება. იმავე სალამურის მკვნესარე ხმებში პოეტის სმენას მამაცური ბრძოლის ხმაცა სწვდება — და ამიტომ ამბობს: „თავგან-

წირულნი მამულის მცველნი წარმოვიდგენ მაშინ ქართ-
ველნი — მტერის შეჰყვირონი: „ჰკა მაგასა!" — გამო-
სულნი ბრძოლისა ველსა".

ამგვარივე იმედისა და მამაცური თავდაცვის ხმა მოესმის მგოსანს ზურნის „შიქასტის" ხმაში:

„ახ, მეზურნევ, დაჰკა, დაჰკა! გამაგონე ეგ სევდის ხმა:
მაგაშია ჩვენთა ძველთა მამაცური ოხვრა-მოთქმა"-ო
(„შიქასტა").

პოეტის არსებაში იმედისა დ უიმედობის გრძნობა ერთმანეთს ებრძვის: უიმედობის — როცა თანამედროვე მოძმეთა გადაგვარებას წარმოიდგენს, ხოლო იმედის — როცა მამა-პაპათა სიმამაცეს ითვალწინებს, და ბოლოს მაინც იმედის სხივი იმარჯვებს და მწუხარე სულს ნუგეშის შარავანდედით უმოსავს:

„მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიელვებს გლახ-გულსა,
თავი ტარიელ მგონია —
ოცნებით გარემოცულსა!..

ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს —
მხარი მხარს მივსცეთ, ხელი ხელს:
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავთ,
მთელის ტურფა გამომხსნელს!..
რა ვუყოთ — ეთერი მერიოს?!
ინით შევლებავ ჭაღარას —
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემს დაფსა და ნაღარას!..
მაგრამ ვაიმე, რომ ეჭვი
მოუგზავნია ჯოჯოხეთს:
მაცთურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიკლავს... გულს მიხეთქს!..
ამბობს: „ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო —
და შენც ტარიელს მოგავხარ
ისე, ვით კატა ლომსაო..."
მართალი არის, — მაგრამ რა?
რისთვის დავკარგო იმედი?
გმირს წინა უძღვის ყოველთვის
უძლური წინამორბედი!..
არა! აჩქვავდეს იმედი!..
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!..
გმირებს უძახის .. უყივის
ჩემი დაფა და ნაღარა!"

სამშობლოს წარსული, მისი აწმყო და მომავალი — აი სამი ხანა, ხან მწარეთ და ხან ტკბილათ დამაფიქრებელი როგორც აკაკისა, ისე სხვა ჩვენი

მწერალ-მგოსნებისაც. **წარსული** და აწმყო — ორივე ცრემლისა და მწუხარების წყაროა, მაგრამ, აწმყოსთან შედარებით, წარსულის სიმწვავეს ის ანელებს, რომ იქ ქვეყნის კვნესასთან ერთად ისმოდა ჩვენი მამა-პაპების ვაჟკაცური „ჰკა მაგასა“ და „მამაცური ოხვრა-მოთქმა“, აწმყოში კი პოეტი მანუგეშებელს ვერაფერს ხედავს და ამიტომ ამბობს, რომ მწარე წარსულის მოგონება გულში ცრემლებს აჩენს, შავბნელი აწმყოს გათვალწინება მათ კიდევ უფრო აძლიერებს და თვალებზე მოაყენებსო, მაგრამ მომავლის იმედი წამწამებზე აშრობსო: „ცრემლსა შობს წარსული ბედი, აწმყო თვალსა მოაჩქერებს —და მომავალი იმედი წამწამებზე შეაჩერებს“ (პასუხი კ. ბ. ჯ.).

**ხანუგეშო** მომავლის საძირკვლათ **აკაკის** ჩვენთ მამა-პაპათა სიქველე და სიმამაცე მიაჩნია: მათი მამაცობის მაგალითებში, მათ საშაგალითო ბრძოლის უნარში ხედავს მგოსანი მომავალში მტრებისაგან ჩვენი სამშობლოს ხსნის იმედს—და ამიტომ არის, რომ „უხმობს **ფრიდონს** და **ავთანდილს**“, რათა შეერთებული ძალით გაუმკლავდენ მოსისხარ მტერს. **მგოსანი** ისე გაბრაზებულია ულმობელი მტრების მიერ, რომ მათი სისხლი სწყურია — ეგ „სისხლის წყურვილი“ **ხ**შირათ მეტათ არაადამიანური ვნებითა და ჟინით აქვს გამოთქმული თავის ლექსებში. **პ**ოეტი ხანჯალს ასე ევედრება („**ხანჯალი**“):

„**მ**იმოცაქული მტრის გულთან, მიუძღვენი ჩემი სალამი:

ის ვაითომ საწყრელია — ჩაერჭვე, როგორც კალამი!
მისი წითელი მელნითა შემაღებინე ჭაღარა: —
იმისი კვნესის იქნება ჩემთვის დაფი და ნაღარა!“-ო.

მხცოვანი მგოსნის უკანასკნელი ნატვრაც იგივეა: მისი სამშობლოს მჩაგვრელის სისხლით ჭაღარის შეღებვა („უკანასკნელი ნატვრა“):

„ის დასაშთენ სიცოცხლეში არ ნატრობს მეტს არარასა,
რომ სამშობლოს მტრის სისხლითა იღებავდეს ჭაღარასა“-ო.

ამავე „სისხლის წყურვილს“ ჩვენი პოეტი კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით გამოსთქვამს ნათარგმნ ლექსში, „გოდება ებრაელთა“-ში, რომლის შინაარსსაც, ცხადია, თანაუგრძნობს. მგოსანი ებრაელების პირით, რომლებშიც, ეჭვი არ არის, ქართველებს გულისხმობს, ამბობს:

„ნეტარ არს მხოლოდ ის ებრაელი,
ვინცა მონურათ მტერს არ უხრის თავს —
და სამშობლოსთვის თავის დადებას
სამხიარულოთ გამოისახავს, —
ქვეყნის სავნებელს და სასარგებლოს
დაუფარავათ ვინც აღიარებს —
და მისი ქვეყნის მტრის ნორჩ ყმაწვილებს
თავს უჭყლეტს ქვით და ზედ დახარხარებს!..“

ამგვარი არაადამიანური წადილი სისხლის ღვრისა, ეს უკიდურესი ულმობელობა და უმანკო ყრმებისაც კი შეუბრალებელი ჟლეტის სურვილი და წყურვილი შედეგია მხოლოდ მოთმინებიდან გამო-

სვლისა და გონიერების დაკარგვისა—და სწორეთ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდენ ხშირათ როგორც ებრაელები, ისე ქართველებიც და საზოგადოთ უკიდურესათ დაჩაგრული ერები.

მჩაგვრელთა სისხლის ღვრისაკენ მოუწოდებს აკაკი დიდსა და პატარას—და ქართველ დედებსაც იმას ავალებს, რომ პატარაობიდანვე ამგვარი გრძნობითა და შეგნებით აზარდონ შვილები („იავნანა“):

„გაივსე და გაიზარდე, პატარა მთვარეო,
შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო!
ანუგეშე, სადაც ნახო მოძმე მწუხარეო!
შვილო, მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარეო“!..

თუმცა აკაკი ხანჯალს ეუბნება—„შენ, ერთადერთო იმედო მტრისაგან გამოხსნისათ“ („ხანჯალი“), მაგრამ ახალგაზრდობას სწავლისაკენაც მოუწოდებს, რათა, ცოდნით აღჭურვილნი, სამშობლოს მცველებათ და მხსნელებათ მოევლინონ („ქართული ანბანი“):

„ყმაწვილო, თუ გსურს გიყვარდეს
შენი სამშობლო ძალიან,
ჯერ წიგნი უნდა ისწავლო:
პირველი ასო არი ა!..
თუ სწავლით თვით ვერ ამაღლდი,
მამულს ჩირქს ისე ვერ მოჰბან,—
ჩირქს, მოდებულს მტრისაგან...
მაგრამ იკითხე ჯერ ეს: ბ!..“

მაგრამ ვერც ხანჯალი და ვერც სწავლაგანათლება ვერ იხსნის ქვეყანას მტრებისაგან, თუ მისი შვილები შეერთებული ძალღონით არ შეებრძოლენ მათ. ამ ერთობისაკენ მოუწოდებს აკაკი ქართველობას ბევრს თავის ნაწერში. „ნათელა“-ში იგი ნათელას პირით გალობს:

„ჩანგურს სიმები გავუბი,
მოვუმართე ნელანელათ;
შევუხმატკბილე ერთმანეთს: —
ოდელა-დელა-დელათ!..
თავის ჯანგებზე თავის ხმით
წკრიალობს ერთად ყველათ,
ერთი-მეორის თანხმობით: —
ოდელა-დელა-დელათ!..
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შეკვლათ,
რომ არ გაფუჭდეს ჩანგური: —
ოდელა-დელა-დელათ!...
ჩანგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველათ,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები; —
ოდელა-დელა-დელათ!..“

საქართველოს ბედიღბალს აკაკი ზღაპრული გმირის ამირანის ბედს უფარდებს, — ამირანის ბედი მიაჩნია მას საქართველოს ბედის გამომსახველათ, — ყვავ-ყორნებისაგან, მტარვალებისაგან იგივე ტანჯ-

ვა-წამება მრავალი საუკუნის განმავლობაში—და ბოლოს სასიხარულო, საბედნიერო თავისუფლება:

„კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,—
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ქონდა გული.
ქვეყნათ ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა—
და რაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.
ქონდა ჭირში მოთმინება,
არც კვნესოდა, არც ოხრავდა...
უსამართლო ძლიერებას
მონურათ თავს არ უხრიდა!..
ბოლოს მაინც გამარჯვება
დარჩა, — ყველა გააოცა —
და ის ღვაწლიც მაგალითად
შვილიშვილთა მან გადმოსცა!..
კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი —
არის მთელი საქართველო,
და მტრები კი — ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი!..
სიხარულათ შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!..“

იმ დიად ძალათ, რომელიც მიჯაჭულ ამირანს — საქართველოს აუშვებს და გაათავისუფლებს, პოეტს შეგნებული, საქმიანი, მშრომელი ეროვნება მიაჩნია, ეროვნება ერთ სულათ და ერთ გულათ შეერთებული („საქართველოს დღევანდელი სახე"):

„მაგრამ ვწედავ მომავალში — გამოსულა მუშათ ერი,
მორმანეთიან შეთანხმებით ძლიერი და ბედნიერი"-ო!

## 2. თანამედროვე ქართველობა

(წარსულის ქართველებთან შედარებით).

განვითარებული ადამიანის სულს საზოგადოთ იმნაირი თვისება აქვს, რომ თანამედროვე ცხოვრების პირობების კმაყოფილი არ არის და უკეთესისაკენ მიისწრაფის. ეს თვისება განსაკუთრებით ძლიერია ყოველი ერის მოწინავე შვილებში, რომელნიც განსხვავებული გრძნობითა და გონებით არიან დაჯილდოებული და თანამედროვე საზოგადოებას შორის წინ უსწრებენ. ამგვარ პირებში პირველი ადგილი წარჩინებულ მგოსნებს უჭირავთ.

საქართველოს წარსული აკაკის შავბნელათ ეჩვენება — იმ მხრით, რომ თითქმის მთელს წარსულ ცხოვრებაში ქართველი ერი გარეშე მტრების შემოსევითა და უწყალო ხოცვა-ჟლეტით იყო გაწამებული; მაგრამ ამასთან ერთად პოეტი ჩვენი წარ-

ულით სულდგმულობს, რადგან იქ ხედავს „ჩვენთა კელთა მამაცურ ოხვრა-მოთქმას“, მტრებთან ბრძოლაში მათს ერთსულოვნობას, ქვეყნისათვის თავდადებას და მრავალ სიქველესა და სივაჟკაცეს; ხოლო აწმყოში მგოსანს მხოლოდღა ბოროტება და ხალხის საერთო გახრწნილობა უდგას თვალწინ.

Ცხადია, რომ ამგვარი დისურათება როგორც წარსულისა, ისე აწმყოსიც—სინამდვილეს არ შეეფერება. Წარსულშიც ბევრი შემთხვევა ყოფილა ღალატისა მოღალატობისა და ურთიერთ-შორის სისხლის ღვრისა—და აწმყოშიც ხშირია მაგალითი ქვეყნის ერთგულობისა და ხალხისათვის თავდადებისა. Მაგრამ, როგორცა ვსთქვით, წარჩინებულ პიროვნების მცირედი სიკეთე არ აკმაყოფილებს—და ძლიერ შორს მიდის იგი, გონების თვალწინ იდეალურ სურათებს იხატავს და იმის მიხედვით დღესაც მოეთხოვს. Ერთი რამ კი არის სიმართლე: წარსულში ზოგიერთი ეპოქა (მაგალ., ეპოქა Გიორგი Ბრწყინვალისა, Დავით Აღმაშენებლისა, Თამარისა) ბევრით უფრო მაღლა იდგა ზნეობრივი სიფაქიზით და საზოგადოებრივი შეგნებით, ვიდრე Აკაკის თანამედროვე ეპოქა; მაგიერათ, მე-13 საუკუნიდან დაწყებული Ვახტანგ VI-ის ეპოქამდი, ქართველობა ბევრით უფრო დაბლა იდგა ყველაფრით, ვიდრე ქართველი საზოგადოება Აკაკის დროისა.

Ყველაფერს თავისი გასამართლებელი მიზეზი

აქვს—და ჩვენი დროის ქართველობის სულისა დ
ხასიათის უმტკიცობა იმით აიხსნება, რომ წინა ს
უკუნეების დამპყრობელთა ძალმომრეობას მე-1
საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის გახრწნილი ბი
როკრატიის ტლანქი ხელიც მიემატა და ჩვე
ეროვნული აზრი და გრძნობა ამან შელახა და
არყია.

აკაკი აწმყოში ვერ ხედავს იმ ერთობის ძალ
რომელიც წარსულის ქართველობას აძლიერებდა:

„იქ, სადაც ძველად ქართველი ქართველს
ხელს მისწვდებოდა ძმურად, საშველად, —
დღეს იქ ქართველი ყელში უჭერს ხელს
თვით მოძმეს—ხელის ამოსახდელად“-ო,—ამბო
პოეტი ერთ ლექსში („აღარ გვაქვს გრძნობა“
აკაკი ამ აზრს სხვა ადგილას („მინდა რამ ვსთქვა
კიდევ ასე გამოსთქვამს:

„მე ამ დაგამს წავიძრობდი, — არ მაქვს უცხოს მორიდება,
მაგრამ რა ვქნა, რომ ხელმარჯვეთ ჩემივე ძმა მეჭიდება!“-

ილია ჭავჭავაძეც ამავე აზრისაა თანამედრო
ქართველობაზე—და კიდევ უფრო ძლიერად აქ
გამოთქმული იგი თავის „აჩრდილში“:

„ერთმანეთისა მათ სიკეთე შურთ,
თუმც ერთმანეთისთვის თითქო იღვწიან...
თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც სურთ,
თვით შველიან მას, რასაც ებრძვიან!“-ო.

ამ სახით, ილიაც და აკაკიც თანამედრო

ველების უძლურების მთავარი მიზეზს იმაში
ენ, რომ მათ შორის ერთობის გრძნობა და შე-
ა არ არსებობს. აკაკის ერთ ლექსში („დედა შ
ები“) დედა შვილებს ემუდარება: ჩვენს არე-
ში მელა და მგელი შემოპარულან — და მასახე-
, როგორმე მოგვაშორეთო. შვილები თითქო
ძლათ ემხადებიან, მაგრამ ერთმანეთში კინკ-
ბა მოუვიდათ — შ მით, ილიას თქმის არ იყოს,
უშველეს მტერს, რომელსაც უნდა შებრძო-
დენ: —

მ უგნურ მაჩხუბრებსა ვაი ჰქონდათ და ვაგლახი,
მა მგელმა შეუმტვრათ ამოაგდო მთლათ ოჯახი“-ო.

აკაკი ჩვეულებრივათ აქაც მომავლით გვანუ-
ბს — და მაჩხუბარი შვილების დედას პირით
ს შევედრის:

რთო ჩემო! რადგან ბედმა მე შვილებში მომატყუა,
ა შვილებს მაინც მიეც შეძლება და მეტი ჭკუა“-ო...

აკაკი გარეშე მტერს იმდენათ არ ებრძვის;
ენათაც მოძმეებს, რომლებშიც ბევრნაირ ნა-
ლევანებას პოულობს — გონებრივსა თუ ზნეო-
ს განსაკუთრებით თვით მოძმეთა შეუგნებლო-
„შიგნიდან ციხის გატეხა“ აშფოთებს მგოსანს
მი ჰმუნვა“):

არ მაშინებს და არც მატირებს, რომ ირგვლივ მტერი
შემოგვხვევია: —

გარეშე მტერთან დავა და ბრძოლა იმავ თავითვე
ველს ჩვევია.
მე ის მაღონებს, დღევანდელ ქართველს ძველი ანდ
რომ ავიწყდება —
და ეროვნების მაგარი ციხე შეუგნებლობით შაგ
ტეხდება"-ო

Თანამედროვე ქართველობა, პოეტის აზ ისე გარყვნილა, რომ პირადი სარგებლობისა თავის ხალხს, თავის მოძმეებს ღალატობს და მ ელაქუცება („ზოგიერთების ლოცვა"), თავის მალღებლათ ძმას იხდის გზათ და ხიდათ („ა გზა"); როცა შია და წყურია და როცა მთავრ ყურადღება აკლია, მაშინ პატრიოტობს, ხო თუ გამოაძღეს, მაშინ მთავრობას უდგას გვე დ მოძმეთა დაჩაგვრაში ეხმარება („ეჰ, ქართველ „თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილა ამბობს იგი („დიდი ვინმე"); მოწინავე მოღვა აზრი და გრძნობა არავის ესმის, ყველა პირად თაა გამსჭვალული და „მოძმე თავისვე ძმასა მტ აბეზღებს მარად და მარად" („სცენიდან ნათქვა ცფიერობენ, რომ „არც წვადი დასწვან და არც ფური"-ო — და მამულისათვის მათი ზრუნვა ი გამოიხატება, რომ კუჭის ნებიერობას შეეჩვ („გამოსათხოვარი"). — ბევრი ფარისევლობს ხო ხალხის თვალის ასახვევათ, ლოცულობს და ტით გულ-მკერდს იმტვრევს; ნამდვილათ კი

იძავე მუშტებს -გლეხკაცს ურტყამს თავში მწა-
"—და, ამ სახით, ღმერთსაც ეცრუება და კაც-
ი („ფარისეველი")...

ნასწავლ ქართველობაზე აკაკი ამბობს, რომ
ვრებაში გამოსვლამდი და ცხოვრების ასპარეზ-
ასვლის ხანს ზოგიერთი თითქო ხალხის ინ-
ესების დაცვას ფიქრობს, ბოროტების წინააღ-
სიტყვით ვითომ სასტიკ ბრძოლასაც აცხადებს,
მალე—„ცხოვრებით რომ შეილახა, მტერს და-
სამსახური"-ო („დიდხანს ვძებნე იდეალი"). ზევ-
ოგანი ფუტუროს ემზგავსება, რომელიც შო-
ნ ანათებს ხოლმე, და როცა ახლო მიხვალ,
ლი ხე დაგიხვდებაო („ფუტურო"):

„არიან ჩვენში დღეს სწავლულები:
შორიდან თუმცა ბევრს გვინათებენ,
მაგრამ ახლოს კი, დალოცვილები,
როგორც ფუტურო, ვერას გვარგებენ"-ო.

ზოგი იბერება და იმის მაცადინობაშია—ხალხს
ვინმეთ და პატიოსან მოღვაწეთ მოაჩვენოს თა-
(„აპელაციის მცოდნე"): ფრაკი ჩაუცვამს, ბა-
მოუშვია,—

„არ მოსწონს სალამური, არც თარი, არც ჩანგური,
ური ეზიზღება, მოსწონს ტანცი-მანცია...
ც დავზრახავთ: ოპერისთვის მიუჩვევია ყური!..
რა შვილი დამდგარა! რა სწავლული კაცია!..
ჩენ, ქრთამი სძულსო, არ იძღვნის არც ქათამსა!..

**მხოლოდ მაშინ არ იწყენს, თუ სუქანი ვაცვია!..**
**მაგრამ ეს ზვარაკია! ამას ვინ ეტყვის ქრთამსა?**
**სხვამ რომ ჰქნას, ის სხვა არის: ეს სწავლული ქცი**

თავისი შთამომავლობის დამწუნებელი,
ძმეების ზურგის შემქცევი და სამშობლო ენის:
ეროვნული ზნეჩვეულების დამწიხლველი აკაკი
სტიკათ ყავს დაგმობილი მშვენიერ არაკში, რო
საც „ღამურა" ეწოდება. თავისი შინაარსით ეს
კი კრილოვის „ყვავს" მოგვაგონებს, რომე
ფარშავანგის ბოლო გაიკეთა და ფარშავანგობა
ინდომა. თაგვსაც ფარშავანგის ბედი ეწვია:
ფრინველებმა მიიღეს და აღარც თაგვებმა...

**ქართველი ქალი** აკაკის განსხვავებულ ყუ
ლებას იპყრობს. შორეული წარსულის ქართ
ქალები პოეტს იდეალური ზნეობისა და მხნე
მქონეთ ყავს წარმოდგენილი, ხოლო ა
ქართველი ქალები მას დღეს—სწორედ ამ მხრ
„დაცემულათ და ცოცხალ-მკვდარათ" ეჩვენე
რომელთაც მშობლიური „ტკბილი ქართულ
დაუკარგავთ და ან აბუჩათ აუგდიათ („სიზმარ

აკაკი თავის ლექსებში წარსულიდან ს
ლითოდ ყოველთვის სამს შესანიშნავ ქართველ
იხსენიებს: წმ. ნინოს, თამარს და ქეთევანს.
ისტორიკოსები: დიმ. ბაქრაძე („ქართველი ქალ
დიმ. ჯანაშვილი („ისტორიული სურათები"
სხვები, ჩვენს პოეტებთან ერთად, უტყუარ თ

არებენ ძველი დროის ქართველი ქალების ზნე-
ივ სიმტკიცესა და სიმაღლეს და მამულისშვი-
რ თავგანწირულობას—და ჩვენც არ შეგვიძლია
დავერწმუნოთ მათ საერთო ღალადისს, თუმცა
ვ იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც ზევით საერ-
ო წარსულის ქართველების შესახებ ვსთქვით;
სანთაგან მათ დახასიათებაში გაზვიადებული კი-
მოისმის.

**როგორც ილია ჭავჭავაძე „დედა და შვილ“-**
ისე **აკაკიც „ქართველ ქალ“**-ში იმისთანა დე-
გვიხატავს, რომელსაც მამულის საკეთილდღე-
შვილის სიცოცხლის შეწირვა წმიდა მოვალე-
ო მიაჩნია და ომში დაღუპული შვილების გამო-
მის ცრემლის დენისაც რცხვენია. **აკაკის** ქართ-
ქალს ის კი არ აწუხებს, რომ ორი ვაჟი მა-
ის მტერთან ბრძოლაში დაეღუპა, არამედ ისა
ვს და არცხვენს, რომ [illegible] მესამე შვილმა
ალმა) თვისი სამშობლოს მოახართ ზურგი შე-
ა, თავს უშველა და მტერს სამაგიერო არ გა-
ხადა, ძმების სისხლი არ ამოიგო: „**Ваи** [illegible]
[illegible], [illegible] [illegible]“-ო,—ამბობს
შვილის სასირცხვო სიქციელის გამო. **ამ** ლექ-
შინაარსი მოგვაგონებს რუსის მგოსნის **ლერ-**
ტოვის პაწია პოემას—ლეგენდას „**გამოქცეულ**“-ს,
ის მშიშარა გმირიც, ჩერქეზი **ჰარუნი**, ბრძო-
ველიდან გამოქცეულა სწორედ მაშინ, როცა

მამა და ორი უფროსი ძმა მისი სამშობლოს მტრე
მა, რუსებმა, დაუხოცეს. შორი გზით დაქანცულ
და მშიერ-მწყურვალი ჭარუნი სამშობლოში თავშ
საფარს ეძებს, მაგრამ, როცა ტყობილობენ, რო
ჭარუნს მშიშარობა გამოუჩენია და სამშობლოს მტრ
ბისათვის, მამა-ძმების დამხოცველთათვის სამაგიერ
არ მიუზღავს, მას არც გულითადი მეგობარი ლ
ბულობს და არც მოყვარული მოხუცი დედა. ყ
ლასაგან უარყოფილი ჭარუნი თავს იკლავს—
გადმოცემა ამბობს, რომ მისმა სულმაც კი ვერ მ
იპოვა საუკუნო განსასვენებელი ალაგი და დღე
უგზო-უკვლოთ შავბნელ ღამეებში მთებში დაე
ტებაო.

ასეთია აკაკისა და სხვა ჩვენი მგოსნების აზ
წარსულის ქართველი ქალების შესახებ. აწმყოში
რას ხედავს პოეტი? ახლანდელს ქართველ ქა
ქართველი აღარ ეთქმის, რადგან ქართველისა
არაფერი სცხია („ერთი ქალისას ამბობენ“):

„წაველ და ვნახე ლამაზი:
მართლა რო მოსაწონია!
მაგრამ შემცდარი ბძანდება,
ვისაც ქართველი გონია!..
სახელათ ერქვა მაშინკა!..
ვსთქვი თუ: რა არის მოდა-თქო!..
ძველი დრო რომ ყოფილიყო,
მარიამ ერქმეოდა-თქო!..“

თავმოხდილს, საკუთარ თმებში
სხვებისაც ჰქონდა ჩართული!..
სხვა ენით ამიჟღურტულდა:
ეზარებოდა ქართული!..
ამბობდა: „როგორ ვიკადრებ
ქართულად ჩაცმა-ხურვასო!“
ნახევრათ იყო ტიტველი, -
თითქო აპირებს ცურვასო'..

. . .

მხოლოდ ეს იხატებოდა
იმის ყყყყბს თვალებში:
„მე ჩემი დღე და სოფელი
უნდა დავლიო ბალებში!“

. . . .

მომწონს კალინა, მალინა,
მძულს ვარდები და იაო!..
სამშობლო რასა მიქვია, —
მეწყერსაც წაუღიათ!..“

ახალი დროის ზნეჩვეულებიდან ქართველ ქალს ოლოდ უარყოფითი მხარეები შეუთვისებია: უსაქ-თ ყოფნა, ბალებში სიარული და სხვ. („ზლა-რი“):

წიგნი სძულთ, ოჯახობის მათ არა გაუგებათ, -
ულზე ხელის დაკრეფა მიაჩნიათ საქებათ...
ევის კრიალოსანსა მარცვალ-მარცვლად ჩასთვლიან: —

რომ კითხოთ, რამდენია, შერწმუნეთ-ვერ გეტყვიან!.

სტუმრობა და ბალები გამოუშვარებათ:
იქ ჭორებს შეიტყობენ—და ეს აქვთ ნეტარებათ!..“

რასაკვირველია, აკაკი მარტო თანამედრო
ქალებს არ უკიჟინებს; თანამედროვე ვაჟებზედ
ამგვარივე აზრისაა პროზიდან «ბოდვა»“:

„ქალებმაც რომ გკითხონ კაცებს: „თქვენ რაღა ხარ
ჩვენ რომ გვწუნობით?
განა თქვენ კი ცხოვრებაში ჩვენსა ნაკლებ მაიმუნობთ?
თქვენ ხართ, რომ გვიჩვენებთ მაგს თეთრათ
თეთრს კი შავათ?!
უთავბოლოთ თუ ვირჯებით, იმიტომ, რომ ვერ გცნო
თავათ!“
ეს რომ გკითხონ, რაღა გეთქმის? ჩავიგუბოთ პირ
წყალი!
წავიდეთ—და ჩვენს საქმეს ავარიდოთ ჩვენცა თვალი
თორემ აღარ მოხერხდება ჩვენი. თავის გამართლება—
და, დრომაც რომ გვიკიჟინოს, ღირსი ჯარი და გვემარ
ლებს“-ო

სამშობლოს კეთილდღეობას, დაქსაქსულ მ
ძმეთა ერთობის აღდგენას ისე გაუტაცია პოეტ
ფიქრი და გონება, რომ, ნამდვილი ცხოვრებით გულ
მოკლული, ხშირათ ცდილობს ყველაფერი ეს ო
ნებაში მაინც წარმოიდგინოს. მგოსანი თავის ჩან
შესთხოვს („გამოსალმება“):

„რომ დამშვიდდეს გულის ვნება,
ერთ წამს ვნახო განსვენება
და ოცნებით დამეხატოს
მე უმგვარი მოჩვენება:
გამოჩნდეს ქართველი ქალი,
რომ ქონდეს კაცის ძალი
და მამულის სიყვარულის
გულში ქნდეს ტრფობის ალი!...
მას ჭაბუკი აძლევდეს ხელს,
ვით თანამგრძნობს მის სასურველს,
და ორკეცი სიყვარულით
გადიოდეს ბრძოლის ველს!...
რომ მათ ჰქონდეთ ერთი პირი,
ერთი ლხინი, ერთი ჭირი —
და ერთად გამოუზარდოთ
მამულისთვის შვილი გმირი!.
მაგრამ, ვაი, რასა ვსწუხ
თითქოს ვიყო უსუსური
რათ ვერ ვგრძნობ, რომ ოცნებითაც
ვერ იხარებს უბედური?!...“

ეს ბარათაშვილისებური გაცრუებული ოცნება გამოხატული აქვს აკაკისაც „ვაიუ ტაძარი“-სებურ ლექსში, სადაც, როგორც ნიკოლოზს, მასაც ერთი წუთით, „გულსაკლავად მკვნესარი თარი“-ს უცნაურ ხმაზე, თვალწინ ბედნიერებით ასავსე ცხოვრება ეშლება („ღ. ანგა თარზე“):

„რა ხალხია! რა ხალხია აქ მდგმური!
ერთობა და სიყვარული აქვთ ძმური!
აქ ქალები ვარდივით იშლებიან,
წმინდის საქმით და გრძნობით იგზნებიან!...“

მაგრამ ეს ოცნება ქრება ისე, როგორც ნ. ბარათაშვილის საოცნებო ტაძარი — და მგოსანს ისევ მწარე სინამდვილის გრძნობა იპყრობს:

„ეს ქვეყანა ეგებ ჩვენი მხარეა?..
მაგრამ არა!... ვიცი, რომ სიზმარია“, —

ამბობს გულდაწყვეტილი პოეტი.

საზოგადოთ თანამედროვე ცხოვრებაში აკაკი ყოველგვარ უწესრიგობას ხედავს: მართალი მხარე რიგიან სამართალს ვერ ეღირსება, რადგან სიმართლე კი არ გადის, არამედ ქრთამი და გაიძვერობა („ახალი სამართალი“); ქვეყნის ერდგულს, გულწრფელ მამულიშვილს ქვეყნის გამყიდველი იუდა დასცინის დ ჭკვიანებსა და ნასწავლებს ბრიყვები და უსწავლელები უძღვიან წინო („გამოცვლილი დრო“):

ქურდები სჯიან სამართალს,
მართლებს უჯერიან ბორკილს —
და ქვეყნის მტერი იუდა
დასცინის მამულიშვილს!...
ბრიყვები და უსწავლელები
თავში უდგიან ჭკვიანებს...
გაქრეს ეს ჟამი ბარემდა!
ნეტავა რას იგვიანებს!...“

ამ სახით, თანამედროვე ქართველობაში არა ჩანს შეგნება თავისი ეროვნული ჩაგვრისა და ცხოვრების დაქვეითებისა, მას დიდათ არ ეტყობა წადილი ამ მდგომარეობიდან გამოსვლისა; მაგრამ, აკაკის აზრით, მისი დღევანდელი ამგვარი მდგომარეობა დროებითია, ეგ მხოლოდ „სავათას ძილია" ქართველი ერისა — და ამ ძილს თავისი გასამართლებელი საფუძველიც აქვსო, გვარწმუნებს პოეტი: „ბევრის ბრძოლით დაღალულსა ეწვევის მოსვენება", — ასეთია ბუნების წესი და კანონიო. ქართველი ერი ბევრს მკვდარი გონია, მაგრამ შეცდომაშია, ვინც ასე ფიქრობს, — იგი მალე გამოიღვიძებს და ძველებურათ განაგრძობს შემოქმედებითს ისტორიულ ცხოვრებას:

„არ მომკვდარა! მხოლოდ ძინავს —
და ისევ გაიღვიძებს"-ო!

საქართველოს მომავლის შესახებ საზოგადოთ აკაკის იმედიანობას სრულიად ეწინააღმდეგება ის აზრი, რომელსაც მგოსანი ერთ ლექსში („შედრება") ერთობ კატეგორიულათ გამოსთქვამს. პოეტს, როგორც ჩანს, გაუთვალწინებია თანამედროვე ქართველობის ზნეობრივი გახრწნა და გონებრივი ჩამორჩენა — და ამბობს: „ამას კი ვიტყვი, გინდა მომკალით: ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო"-ო!

ამ ლექსში აკაკის საზოგადოთ შემდეგი შეუწყნარებელი აზრი აქვს გამოთქმული. ცხოვრება-

ში ორგვარია დაცემული კაცი-ო, ეუბნება პოეტი თავის მკითხველებს:

„ერთი მთელის კაცთაგან შვილს,
მარძვის თვის ლამცემს, რაც შეეძლება;
მეორე ვერ გრძნობს ამაყის ყვედრს —
და მტერს პირუტყვივით ემორჩილება...
პირველს თუ შეხვდე, შორით უკურთხე,
ხელი მიეცი, წამოაყენე,
და მეორეს კი ზედ დააფურთხე...
იტირე, მაგრამ ზურგი უჩვენე“-ო!

ამგვარი შეხედულება მხოლოდ წამიერი სასოწარკვეთილებისა და უკიდურესი აღშფოთების შედეგათ უნდა ჩაითვალოს. სახელმძღვანელო აზრათ კი იგი არ გამოდგება. მოწინავე ადამიანის, ერის მოძღვრისა და მასწავლებლის უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ შეუგნებელს შეაგნებინოს, უცოდინარს ასწავლოს და ბნელი გონება გაუნათოს: უამისოთ წარმოუდგენელია როგორც კერძო ადამიანის, ისე მთელი ერისაც განვითარება, წინსვლა, პროგრესი. მაშასადამე, რაც უფრო „დაცემული“ და დამონებულია რომელიმე ქვეყანა — საქართველო იქნება ის თუ სხვა, — მით უფრო მეტ მზრუნველობას მოითხოვს იგი მოწინავე ადამიანებისაგან, და არა შეფურთხებასა და ზურგის შექცევას!

## 3. ადამიანთა ურთიერთობა.

იშვიათია იმისთანა მგოსანი, რომ გაზაფხულის „ფეროვნებასა და შვენებას“, ბუნების სიცოცხლის ამ საოცნებო განახლებას არ აღეტაცებინოს და ღრმათ არ ჩაეფიქრებინოს. სხვა მგოსნებთან ერთად, აკაკისაც გაზაფხული — და მასთან შეერთებული ქრისტეს აღდგომის დღესასწაული — „კაცთა აღდგინების“ ემბლემათ, ცხოვრების საკეთილდღეოთ განახლების სიმბოლოთ მიაჩნია („აღდგომა“):

„ყველა ხარობს, ლიტანიობს —
უსულო და სულიერი!..
„ქრისტე აღდგა! — ჭეშმარიტად!“
აღიარებს ქრისტეს ერი.
იცის, რომ ეს ნიშანია
მკვდრეთით კაცთა აღდგინების —
და მით თვისი აღდგომაც
მომავალი ელხინების...“

როგორ ესმის აკაკის „კაცთ. აღდგინება“ და რა მიაჩნია მას კეთილშობილური ურთიერთობისათვის აუცილებელ პირობათ?

უპირველესად ყოვლისა მოყვასის სიყვარულის გრძნობით უნდა ვიყოთ გამსჭვალულნი, სხვისი მტრობა და შური გულში არ უნდა შევუშვათ; ამასთან ერთად საჭიროა იმის შეგნება, რომ საცხოვრებელი საზრდო ყველამ პატიოსანი შრომით უნდა მოიპოვოს,

და არა ცარცვა-გლეჯითა და მცონარებით, და, რაფიელ მრისთავის გლეხების არ იყოს, „მცირესა ზედა კმაყოფილების" გრძნობასაც შეჩვეული უნდა ვიჭოთ („უდარდო კაცი"):

„ქველასათვის კარგი მსურს,
ბოროტების მტერი ვარ;
გულში არ შევუშვებ შურს—
და მით ბედნიერი ვარ!..
მე ბევრს არას დავეძებ,—
რაც მაქვს, ცოტას ვჯერივარ...
ქვრივ-ოხერს არას ვტაცებ,—
ისეც ბედნიერი ვარ!..
პატიოსან ოფლსა ვღვრი,—
მეც მუშაკათ ვწერივარ...
უსაქმურ კაცს ვუყვირი:
„მხედავ, ბედნიერი ვარ!..
ხან მაქვს წყალი და პური,
ხანდახან მშიერი ვარ;
მაგრამ ბედს არ ვემდური,—
მაინც ბედნიერი ვარ!.."

აღნიშნულ პირობათა მიხედვით, აკაკი გმობს იმისთანა ცხოვრებას, სადაც ალალმართალი ადამიანი დაჩაგრულია, ხოლო ფარისეველი ან მეტიჩრულათ გაბერილი ადამიანი კი—მდიდრათაც ცხოვრობს და საზოგადოებაშიც კარგათ არის მიღებული („საწყალი და დარბაისელი"):

„ვინც ტიკვით იბერება —
ისე დადის ამ სოფელში,
იმას რჩება მოედანი,
ბურთიც მას უჭირავს ხელში!..
დიდი კაცი მდიდარია,
საწყალი კი — დღიურ-მუშა,
და თუ ეს ჭკვიანი იყოს,
ამის საქმე რამ დაფუშა?!..“

მოყვასის სიყვარულთან — ამ ალტრუისტულ გრძნობასთან — დაკავშირებულია ერების ურთიერ-ობაც: როგორც კერძო ადამიანები სიტკბოებით და ცხოვრობდენ ერთმანეთ შორის, ისე ერებს რისაც უნდა მოისპოს მტრობა და შური და თმანეთის თავისუფალის, მშვიდობიანი ცხოვრები-ვის ხელი არ უნდა შეუშალონ.

ეს აზრი მხატრულათ აქვს პოეტს გამოთქმუ-ი ლექსში, რომელსაც „მერცხლის და ჭივჭავის ი“ ეწოდება. სანამ ჩვენს მხარეში სიცივეებისა დ ინვრების დრო იყო, მერცხალი თფილს შორეულ ყანაში ცხოვრობდა — და მხოლოდ გაზაფხულზე ფრინდა ჩვენში, როცა აქ ლხენის დრო დადგა. ლ ბუდეში მერცხალს ჭივჭავი დაუხვდა — და მერცა-მა მისი განდევნა მოინდომა; ჭივჭავი არ დანებ- — და გაიმართა მათ შორის ომი. ჭივჭავი სამართ-ანი გულის-წყრომით ამბობს:

მე აქ ვარ დაბადებული, აქვე ვიზდები, აქ ვკვდები,

ჩემს ფერად-ფერად სამშობლოს ერთ წამსაც ვერა ვშო-
დები.
სიცხესაც ვიტან, ყინვასაც, ჩემი სამშობლოს ლხინს
ჭირს,
და მერცხალივით სხვა მხრისკენ არც გულს ვიბრუ-
და არც პირს!..
რა სიმართლე აქვს, რომ მოდის, მიხდება მოზიარე
ან სულ ჩემსავით დასახლდეს, ან გამეცალოს გარეთ!.

ამ სახით, აკაკი არ არის ნაციონალისტური კარჩაკეტილობის მომხრე, — პირიქით, იგი სიამოვნებით ეძმობა და ეთვისება სხვა ერების შვილებ თავის ქვეყანაში... მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით: ჩვენი ჭირი და ლხინი გაიზიარონ და სამაგიეროთ ჩვენც ისე გადაგვიშალონ გული, როგორ ჩვენ მათ ვუშლიდით და ახლაც ვუშლით ხოლო და ქართველ ერს ხომ — უკვე ისტორიულად დამტკიცებული ფაქტია — შეუდარებელი ჰუმანიურ კაცობრიული გრძნობა გამოუჩენია გარეშე ერებ შეთვისებისა (მოიგონეთ უძველესი დროიდანვე მდგმარეობა ჩვენში ებრაელებისა, სომხებისა, ოსებ და სხვ.). ამიტომაც აკაკის აშფოთებს უმადური შემოხიზნული ერისა, რომელსაც დაუვიწყია ქართველი ერის სიკეთე და, გაჭირვების დროს ქედმხრით მათხოვრათ მოსული და ძმური სიყვარულ მიღებული, დღეს ჩვენვე ჩვენი ქვეყნიდან გაყრ გვიპირებს („ახირებული სტუმრობა“).

ერთად, ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ერთა
ახებ აზრი აკაკის კარგათ აქვს განმარტებული
გენდარულ მოთხრობაში, „დავითის გვირგვინ"-
(წაიკითხეთ და შინაარსი შეისწავლეთ). როცა
ასწარმეტყველს სამუელს დავითისათვის სამეფოთ
ი უნდა ეცხო და დავითს ხელში ჩანგი დაუნა-
თხრა:

„ამ თავითვე ხელში დაგიჭერია ნიშანი მეფო-
ა: ეგ ჩანგი არის შენი სამეფო და სიმები — სხვა-
სხვა ერი. შენ არ მიგიგრეხია სიმები ერთმანეთ-
, რომ მით შუა ძაფი გაგედიდებია საბმელათ; მხო-
ოდ შეგიკავშირებია ერთმანეთისათვის შეუცვლე-
თ თავთავისი საკუთარი ხმითა და სიდიდით, შე-
ხმატკბილებია ერთ ჰანგათ და მოგინადირებია სა-
ყესო: მწყსე სამეფოც შენი მაგგვარათ და დაჯდე
ყდარსა ზედა უკუნისამდე"-ო!

ერთ ლექსში („ჩემი ჰმუნვა") აკაკი ამბობს:

„დეე სუყველამ იბედნიეროს
თვის სამშობლოში, თავის მხარეში,
რომ მოძმე იყონ ერთი-მეორის,
და არა მტრა, ქიშა და ფარეში"-ო.

ლექსი „ხატის წინ" ღრმააზრიანი სურათი-
ებით გვიხატავს თითოეული ერის სამშობლოს კავ-
ირს მთელ მსოფლიოსთან და თითოეული ადამია-
ს დამოკიდებულებას მთელ კაცობრიობასთან. პო-

ერთი ხატის წინ ანთებულ სანთელს შეჩერებია
ღრმათ ჩაფიქრებული, ამბობს:

„სანთელი — ჩემი ხორცია,
სიცოცხლე — მოკლე პატრუქი,
ნითელი — ჭკუა-გონება,
იმათგან გამონაშუქი!..
ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწოდე, ვდნებოდე —
არ შემიძლია შეც განა?!..“

ამ სიტყვებით მგოსანი გვეუბნება, რომ,
გორც სახატეში ხატის წინ სანთელი, ისე მსო
ოში სამშობლოს წინაშე ჩემი ხორცი იწვის დ
ბა, ჯერ სამშობლოს და მერე მთელ კაცობრი
სხვერპლათ ეწირებათ. სხვანაირათ რომა ვსთქ
სამშობლო პოეტს მთელი ქსეყნიერობის გან
ფელ ნაწილათ მიაჩნია და მისი სამსახური — მთ
ქვეყნის სამსახურათ.

ასეთია აკაკის აზრი ადამიანთა და ხალ
ურთიერთობის შესახებ; მაგრამ, სამწუხაროთ,
ვანდელ ცხოვრებაში ყველა ეს განუხორციელე
ოცნებათ მიაჩნია — და იმ მხარეს, სადა ამგვარი
ოცნებო ცხოვრება წარმოუდგენია, პოეტი „სი
რეთს“ უწოდებს („უცხო მხარე).

სიჭაბუკის ჟამს ადამიანის გული საზოგა
ალფრთოვანებულია და იმედით სავსე — და მით უ

ნის გული, რომლის იმედიან ოცნებასაც სა-
რი არ აქვს. აკაკიც აღტაცებული იყო სიყმა-
ლეში და ადამიანის გულის სიკეთე და სულის
ილშობილობა მტკიცეთ სჯეროდა—ისე, რო-
ც მეორე ჩვენს მგოსანს ფაზელს (მამია გური-
ა), რომელიც თავის ლექსში „შოშია"-ში ამბობს:
ული სევდით ამევსო გული, მან დამალონა,—უკურ-
ა გამეხსნა წყლული და მომაგონა ქარაშხლიანი
ვილობა ჩემი წარსული, სარწმუნოებით სავსე გრძნობა
ული, როცა, უჭკუო, ვიგულებდი ყოველს სულს
იშვილათ, პატივს ვსცემდი, როგორც ერთგულსა"-ო.
აკაკიც ამბობს („ბებია"):

„უმაწვილს ბებია ტირილით მიმტკიცებდა, წუთი-
სოფელს გაუფრთხილდი—„გაუტანელი არისო",
მაგრამ მე არ მჯეროდა და მის სიტყვებზე მეცი-
ნებოდა; ბოლოს დავრწმუნდი წუთისოფლის სი-
მწარესა და გაუტანლობაში—და ახლა მე ცრემლებსა
ვღვრი, ბებია კი იცინის მწარეთ დამცინის, რომ
გამოცდილ ადამიანს არ ვუჯეროდი"-ო.

როცა მგოსანი ადამიანთა ფარისევლობასა და
ოტებაში დარწმუნდა, მას აღარ აქვს სურვილი
თანა საზოგადოებაში დარჩენისა—და ხშირათ
ებობს ხოლმე იმაზე, რომ დასტოვოს იგი („ბა-
ალმება"):

„დავაგდე მხარე ფარისევლების,
ა მზაკვრების უნივერსიტეტი,

სადაც ერთი უბედური
მხოლოდ მტერის ბედნიერებით...
ოჰ, ყველა მრთმის მოუსვენარო, —
განა მისთვის, რომ თვით შეიძინოს?
არა! მისთვის, რომ სხვას რამ დააკლოს,
ის აცრემლოს და თვით იცინოს!..“

ადამიანებში რომ სამართლიანობა და კაცობრ-ული მოპყრობა ვერ უნახავს — ვერც მეგობრისა სატრფოსაგან, ვერც მახლობელ ნათესავთაგან, ვერ მსაჯულისაგან და ვერც მოძღვრისაგან, — პოე-ტყისათვის მიუმართავს, თავისი ჩანგი თან წაუ-და „მათ აქარგებს გულის ვნებას“. თანაც ქე-ამკობს მგელს, დათვს, მელასა და სხვა მხეცებ-რომელნიც ადამიანებზედ უფრო ლმობიერნი და მართლიანი გამოდგენ („ტკალის არილვა“)

---

## 4. ტ რ ფ ო ბ ა.

სამშობლო და სატრფო ისე გაერთიანებულ-აკაკის ლექსებში, რომ ხშირათ ვერ იტყვით, რ-რომელს მათგანს უმღერის პოეტი. მგოსანი ერ-ნაირათ დასტირის მტრისაგან მოტყუებით დაპყრ-ბილ სამშობლოს და მტრისაგანვე მოტყუარი გრძნ-ბით მოხიბლულ სატრფოს. პოეტს უკვირს, რ-მისი სატრფო მტერს დამონებია — და განსაკუთრ-

ავან აფრთხილებს მას, მაგრამ მტრისაგან მოხიბ-ლული, „ალერსით მთვრალი“ სატრფო მას არ უსმენს — და ჰგოსანს საუკუნოთ გული უკვდება („ალმართ-აღმართ“):

„გადვიხედე, — ვნახე, რომ სხვას მოწონდა.
გაშოკვირდა, ვსთქვი: „მტერს როგორ მოწონდა?!..
მიპასუხა: „ჯინჯარში ნუ ვარდები!..
ნუ გგონია იქ ია და ვარდები...“
არ მისმინა მწუხარებით დასაკლულს —
და დამასო საუკუნოთ დასია გულს!

იმ შემთხვევაშიც კი, როცა აშკარათ ჩანს, რომ აკაკის სიყვარულის საგანს ნამდვილი ქალის არსება შეადგენს, და არა სამშობლო, ჩვენი პოეტის გრძნო-ბა ხშირათ განსხვავებული შინაარსისა და ხასიათისაა: იგი სამშობლოისა სიყვარულის გრძნობასთანაა შეერთებული. მგოსანი სატრფოს—ქართველ ქალს ეუ[illegible]ა („სხვაგვარი ტრფობა“):

„მე შენ არ გეტრფი შვენებისათვის,
არც თითებში გაქვს ბროლივით თლილი...
მე კიამბორებ ხელზე მისათვის,
რომ მაგით გეჭირა მამულის შვილი!
შენს მკერდს ვემთხვიო — მაქვს მე სურვილი, —
ტკბილი რომ არის — მისთვის კი არა!
არა!.. მისთვის, რომ მამულის-შვილი
ჭეშმარიტ დედას მაგ გულში გეჭირა!..

ასე გვარწმუნებს მამულის სიყვარულით გატა-

ცებული პოეტი; მაგრამ ამგვარი გრძნობა სიყვარულისა ბუნებრივი კანონის წინააღმდეგია—და ამას ამტკიცებს ცხოვრების სინამდვილე ყოველ ნაბიჯზე. ზნეობრივი და სულიერი სიმშვენიერე, თქმა არ უნდა, უძვირფასესი განძია ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ გარეგან სილამაზესა და მშვენიერებასაც თავისი უტყუარი მომხიბლავი ძალა აქვს, რომელსაც, ილია ჭავჭავაძის აზრით, უდაბნოში მცხოვრები განდეგილიც კი ვერ გაქცევია („განდეგილი“), და თვით აკაკის სხვა ლექსებიდანაც ესვე მტკიცდება. სილამაზე იმდენათ მომხიბლავია, რომ ხშირათ ერთი წამის შთაბეჭდილებითაც ბოჭავს ადამიანის გულსა და გონებას.

აი რას ამბობს აკაკი ერთ ლექსში:

„ერთხელ ვნახე, მეტათ ვერა, ვინც მე გული ამიძგერა,
ვისიც სახე და სახელი გულის ფიცარს დამეწერა“-ო;

და ეს იმიტომ მომხთარა, რომ ეს არსება ყოფილა— „პირმთვარი, ტანათ სარო, სათაყვანო, სანეტარო... ბროლ-ფიქალზე ვარდ-დაწვები... შავ-ხუჭუჭ-თმა, ნაწნავბევრი, წამწამხშირი, წარბებტევრი!.. ხალნასობი, ყელი ბროლი, სიამთა ამაყრყოლი...“

ნამდვილი სიყვარულის გრძნობა ბევრნაირათ ამოძრავებს ადამიანის სულსა და გულს—და აკაკის ლექსებშიც აღნიშნულია სიყვარულისაგან გამოწვეული სხვადასხვა მდგომარეობა სულისა.

მაგრამ ჯერ განვმარტოთ, თუ რა თვისებისაა

აკაკის წარმოდგენით ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული. წრფელი სიყვარულის ნიშანდობლივ თვისებათ აკაკის ჩუმი, გულის სიღრმეში დიდხანს დუმილით ნატარები გრძნობა მიაჩნია:

„თურმე ჩუმი ხარ, ტრფობისა ძალო, ვით
უკვდავების მკურნალო წყარო"-ვო, — ამბობს პოეტი („პასუხი მაცდურს"). ან კიდევ („ზაუბედავი სიყვარული"):

„ათი წელი, მწარეთ მწველი, გულს მიდაგავს
ტრფიალება,
და უბრალოთ სავალალოთ ჩემს გულშივე იმალება.
ვიცი — გზნობის, ნამდვილ-გრძნობის ნიშანია მდუ-
მარება:
ცხადათ — ტკბილი რამ ღიმილი, ჩუმათ — ცრემლი,
მდუღარება."

შოთა რუსთველიც აღნიშნავს, რომ ძლიერი სიყვარული ადამიანს ადუმებს, ენას უბამს. ნესტან-დარეჯანმა ერთხელ ტარიელი იხმო, მაგრამ, როცა ახლოს ნახა, გრძნობამორეულმა ხმა ვეღარ გასცა — და უკანვე გააბრუნა. რუსის მგოსანი ლერმონტოვი სატრფოს ეუბნება: როცა ვერ გხედავ, ბევრი რამ მინდა გითხრა, ხოლო როცა გხედავ, დუმილი მიპყრობს. ასეთივეა აკაკის აზრიც:

„თუ ახლოს ვარ, შენ მიმონებ — და ხარკათ გაქვს
მდუმარება:

თუ მოგშორდი, მე გიგონებ — და მდის ცრემლ
მდუღარება"-ო.

ამგვარი წმინდა, შეუხებელი, სულსა და გულ-
ში საიდუმლოთ სატარებელი გრძნობა სიყვარუ-
ლისა იმგვარივე გრძნობაა, რომელზედაც შო-
რუსთაველი ამბობს: „შორით ბნედა, შორით კვდომ
შორით დაგვა, შორით ალვა", — ეს არის ასე-წოდ
ბული პლატონიური სიყვარული — და საზოგადო
წარჩინებულ მგოსნებს, და მათ შორის აკაკისაც
სწორედ ამგვარი სიყვარული მიაჩნიათ ნამდვი
ტრფობათ.

რუსთაველისებური ტრფობა და თან გრ. ო
ბელიანისებური უკვდავება ტრფობისა გაისმის ა
კის შემდეგ სიტყვებში („სიყვარული"):

„შორის ოხვრით, შორის ბნედით მიყვარს! მიყვა
სულით, გულით!..
სამარეში თანხმობილის, აღმაფრენილ სიყვარულით!

ტრფობისა და საზოგადოთ მეგობრობის გრძნ
ბას სიწრფელე მაშინ შეეტყობა, როცა იგი არ არ
ანგარებით, რაიმე ნივთიერი ანგარიშით გამოწ
ული. ამგვარ გრძნობაზე აკაკი ამბობს („ბა
თხოვება"):

„უანგარო მეგობრობა და უბიწო სიყვარული,
როცა სული სულში ძვრება და ერთდება გული
გული, —
ეს ნიჭია, საამქვეყნოთ მოსაშექი წმინდა მცნება

მგონის გულის გამხ[illegible] გულის სამკურნალოთ და ოცნებათ"-ო.

ჭეშმარიტი სიყვარულის გრძნობა აკაკის „სიხარულის მომნიჭეთ და სევდისა ფარათ“ ეგულება („საიდუმლო ბარათი“)

„სიყვარული აგვამაღლებს“-ო,— უთქვამს შოთას, თანახმათ მოციქულებისა, და აკაკის სიტყვებიდანაც ჩანს, რომ ნამდვილი გრძნობა სიყვარულისა ადამიანს სიმხნევეს და სიმამაცეს უასკეცებს და მით შავბედთან ბრძოლას შესაჩნევათ უადვილებს. მსგავსი გრძნობით აგზნებული ჩვენი პოეტი ამბობს (№...ს):

„ჩალაი მიჩანს აწ შავბედი,
თვალთ შემაშრა მდუღარება...
ბინდ ვიწოდე, გით ანედი,
მაღჩენს ტკბილი მღუმარება!..
შავფიქრების უკუმყრელაი
სახე მისი ჩუმთვის მზეობს!
გული, ქმნილი მისგან ჩელაი,
ჭართა-მძლეო [illegible] ე მხნეობს!..

თუმცა სიყვარული ადამიანის გულს პოქავს და აბამს, ხშირათ სატანჯველსაც გვრის, მაგრამ ეს დამბმელი ჯაჭვი ხშირათვე იმ ზო[illegible]მდი ატკბობს მას, რომ იგი სანატრელი გამხდარა — და ამიტომ პოეტი სიყვარულით შებოჭილ გულზე ამბობს („ბარათი“):

„ვაჲ, საყვარელო, ჩემს გულსა —
ცეცხლი ვაწვეთი დაება“-ო!

როგორც შეჰჩვენებია ბრ. ღობელიანს ნამდვილი გრძნობა სიყვარულისა მშვენიერების აუცილებელ ნიშნად მიაჩნიათ. ისე აკაკიც, მათი აზრის თანახმად, ამბობს („სიყვარული“; იხ. აგრეთვე ჩემი ქართ. ლიტერ. სახელმძღ. ბრ. ღობელიანი, გვ. 23):

„უშენო სამოთხის ძალი — ტყვეობაა, სიცოცხლე ავია“-ო.

აკაკი ღრმად ჩაკვირვებია ბუნების მშვენიერებას, ზევით — ბადრი მთვარითა და მოჭიკჭიკე ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, ქვეშ — „საგაზაფხულო ახალ ყვავილთა ფშვენას, წყალთა ჩქრიალს, ფოთოლთ შრიალს, ბალახთ ბიბინს რაღაც გრძნეულს“ — და ამბობს („ღვინო“

„ახლა მეცა ვგრძნობ, საიდუმლოთ ვცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება“-ო;

პოეტი რწმუნდება, რომ ცასა და მიწას შორის უცნაური რამ საიდუმლო კავშირია, და აღტაცებით კითხულობს:

„რამ ამამაღლა, ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო ციური ძალა,
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება —
ძველმოსილად ვინ გარდაიცვალა?“-ო, — და თვითვე
გვიპასუხებს:

„შენ სიყვარულო, ცისა და მიწის
კავშირო და თან შუამავალო!
შენ, რომლის ერთ წამს, ამ სანეტაროს,
მზა ვარ სიცოცხლე მთლად განვცვალო!..
შენ, ვისაც უგნური უმეტესობა
ვერ გიგრძნობს, ვერც გცნობს, მხოლოდ ცილს
გწამებს —
და შენს მაგიერ შენი სახელით
ის აღიარებს პირუტყვულ წამებს!..“

ამ სახით, აკაკი ამ სიტყვებით გვეუბნება, რომ წმინდა, ღვთაებრივი სიყვარული „ცისა და მიწის კავშირი და შუამავალია“, რომ სიყვარულის წმინდა გრძნობით აგზნებული ადამიანი სულიერათაც და გონებრივათაც მაღლდება, ცისა და მიწის კავშირს იგნებს და მთელი ბუნების საიდუმლოებას იმეცნებს... ერთი სიტყვით, შოთას გამოთქმით რომა ვსთქვათ, პოეტი რწმუნდება, რომ „სიყვარული აგვამაღლებს“.

მშვენიერს რომანტიულ ლექსში „სულიკო“-ში აკაკი მხატრულად გვისურათებს სიყვარულის კავშირს მიწასა და ცას შორის. მგოსანი საყვარლის საფლავს ეძებდა — და კიდეც მოსძებნა: მისი სატრფო არ მომკვდარა, იგი ცოცხალია, ვინაიდან ნამდვილი, წმინდა სიყვარული უკვდავი გრძნობაა; პოეტის „სულიკოს“ მხოლოდ სიცოცხლის სახე შეუცვლია — და მისი ბინა სამგან აღმოჩნდა: ღე-

დამიწაზე—ვარდსა და ბულბულში, ხოლო ზეცა-ზე—ვარსკვლავში. ამ სახით, ბრ. ორბელიანის არ იყოს, აკაკისაც წმინდა სიყვარული საუკუნო გრძნობათ მიაჩნია, რომელიც საიქიოსაც—ზეცაში განაგრძობს ცხოვრებას და სააქაოსთანაც კავშირს არა სწყვეტს...

მშვენიერია, სანეტარო გრძნობა სიყვარულისა—ეს კვალი, მისგან აღბეჭდილი, ხსოვნა მისი საუკუნოა; მაგრამ თვით გრძნობა სიტკბოებისა, სამწუხაროთ, წამიერია, ცვალებადია. სიყვარულის წყაროში თაფლიც სდის და ნაღველიც: ჯერ თაფლს გასმევს და მერე ნაღველსაც მოაყოლებს, ჯერ ნექტარია და მერე სამსალა („სიყვარული"):

„სიყვარულო, ნიჭო სრულო, წამ-ტკბილო და ხან-
გრძლივ-მწარე,
ჯერ აკვანი ნეტარების, მერე კუბო და სამარე!"

მაგრამ ეს წამიერი სიტკბოება უაღრესათ მომხიბლავი გრძნობაა და—

„ვინ არის, რომ იმ ერთ წამშა არ გასწიროს სა-
უკუნის?.."

ცვალებადობა სიყვარულისა აკაკის ბუნების კანონათ მიაჩნია. სამი თვის სიყვარულს შემდეგ ქალი ვაჟს უსაყვედურებს, „ტრფიალების ტკბილს ბადაგს ნაღველი აქვს თურმე ძირათ"-ო, და ვაჟი უპასუხებს: „ჩვენ ვერ შევცვლით, რაც კანონათ დაუდვია თვით ბუნებას"-ო („სატრფოს").

გრძნობის ცვალებადობის მიზეზათ აკაკის უმთავრესათ ქალი მიაჩნია—და ამიტომ იგი ქალს ეუბნება („ძველ მეგობარს“):

„როგორც გაჩენა, გაქრობაც იმ გრძნობის უცნაურია:
დღეს ერთი უნდა ბუნებას და ხვალ მეორე სწყურია...
არ მიკვირს შენი გულის ცვლაც: ქალი ხარ... ჭრელი პეპელა!..
ყვავილებიდან ყვავილზე გადაფრინდები ნელნელა!..“

მეორე ლექსში („აჰ...ს“):

სიზმრათ ვნახე შენი გული: ეს სიტყვები ზედ ეწერა:
„გამოცვლილა სიყვარული აქ ოთხმოცდაცხრამეტჯერა“-ო.

სიყვარულის გრძნობა, მართალია, ცვალებადია—და, სამწუხაროთ, ორივე მხარეში, ქალსა და ვაჟში, ერთსა და იმავე დროს იშვიათად ხდება ხოლმე სიყვარულის გრძნობის ცვალებადობა: როცა ერთის გული უკვე გაგრილდა, მეორისაში ჯერ კიდევ სიყვარულის ცეცხლი ანთია—და ამიტომაც მეგობრისაგან უარყოფილი მხარე საშინელ სატანჯველსა გრძნობს. აკაკი მშვენიერათ ხატავს ამ სატანჯველის საშინელებას („ჩემო თავო ბედი არ გიწერია“), და იგი მიზეზათ აქაც ქალსა სთვლის:

„ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია
მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ...

თუ მარტო ვარ, თავს მომაკვდავს ვადარებ...
აღარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს...
არვინ მაძლევს სანუგეშოთ ძმურსა ხელს..."

ამგვარი აზრი პოეტისა ქალზე საფუძვლიანი არ არის. სიყვარულის გრძნობის ცვალებადობა, მართლაც, ბუნების კანონათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, თუ ეს კანონია, მის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს—ქალიცა და ვაჟიც, და, მართლაც, ცხოვრებაში სწორეთ ასეც ხდება: სიყვარულის ბედნიერებაც და უბედურებაც თანასწორათ არის განაწილებული ქალებსა და ვაჟებს შორის.

—

აქვე აღსანიშნავია განსხვავებული გრძნობა სიყვარულისა—წრფელი, გულგაშლილი, თუმცა ხშირათ სევდიანი, მაგრამ მაინც ეშხიანი და იმედიანი:— ეს არის კინტოს სიყვარული.

გრ. Ორბელიანი, აკაკი Წერეთელი, აქვსენტი Ცაგარელი და სხვა ჩვენი მწერლებიც თავის ნაწერებში ხშირათ გვიხატვენ ხოლმე Თფილისის „კინტოს". Ეს ტიპი მართლაც საგულისხმოა ჩვენს ცხოვრებაში: მუდამ მხიარული, მკვირცხლი გონების, ოხუნჯი, პატიოსანი, გულწრფელი, პირდაპირი, თავდადებული ამხანაგი — აი კინტოს ფრიად სასიმპატიო თვისებანი! აკაკიმ „Ქორწილებარი"-ში კინტოს პატიოსანი ხასიათი ასე დაგვისურათა:

„ქალანი იყალთმაქცობენ, ქვეყანას სულს ხდიანო...

მე არავის ვატყუებ, — შორყდებარი მქვიანო!..“

კინტოს გრძნობებსა და მის ღირსებებს ბევრათ უფრო ნათლათ და პოეტურათ გრ. ორბელიანი გვიხატავს. იგი სატრფოს მონაა, მისი უანგარო მეგობარი: „შენსავით მე ერთგული შენი ვარ; გინდა მკლავდე, არას გეტყვი, შენი ვარ“-ო, - ეუბნება გრ. ორბელიანის კინტო თავის სატრფოს. — იგი თავმომწონე ბიჭია, მომღიმარი — მოქეიფე, ჯანითა და ღონით სავსე:

„ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ!
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ! —
მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ“!
ბინდ მეძახოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალით ავახელ — ზედ წამწამზე მიზიხარ!“-ო, —

ეუბნება გრ. ორბელიანის თავმომწონე კინტო თავის სატრფოს. აკაკის კინტოს სურათი კი მკრთალია; იგი სატრფოს მხოლოდ თავის სიყვარულს შეჩივის:

„ჩემსავით რომ შეგიყვაროს, ვინ არი?
ვინ გაღმერთებს ციურათ მომცინარი,
თუ არ მევე?.. გინდა ვიყო მძინარი,
შენი სახე მაინც ჩემ თვალ-წინ არი!..
თუ გამიქრა, კედელზე გადავვარდები!..
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,

ზეფაცერი, ტურფავ, შეგიყვარდები...“

ეს ლექსი („მუხამბაზი“) შინაარსითაც და გარეგანი ფორმითაც გრ. ორბელიანის ზევით დასახელებული ლექსის სუსტი მიბაძვაა.

## ნ. ბუნება და პოეტი.

საზოგადოთ მგოსნები ბუნებას განსხვავებულათ ეტრფიან — და, ხალხის ყოველდღიური ცხოვრების უკულმართობით მოწამლულნი, ბუნებაში მარტოვდებიან და იქ ეძიებენ „წყლული გულის მალამოს“. ასეთია აკაკიც: ადამიანებში იგი მოწამლულა — და ტყეში მიილტვის, იქ მოელის სულის დამშვიდებას, რადგან მხეცები მეტ სიყვარულსა და ლმობიერებას იჩენენ, ვიდრე ადამიანები („თვალის ახილვა“).

პოეტი უკვირდება ბუნებას, ცასა დ მიწას — დ ზეციურსა და ქვეყნიურს შორის საუკუნო კავშირს პოულობს. ბუნება მშვენიერია — და საოცნებო მშვენიერებით სამოთხისაკენ იტაცებს სულსა და გულს: ზეცაში — „მოკაშკაშენი, მოჭიკჭიკენი ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა“. ხოლო დედამიწაც თავის სატრფო ზეცას ქვევიდან ალტაცებით თვალებში შესცქერის და სიყვარულით უკავშირდება (ა. „საღამო“, ბ. „ლხინი“):

„ქვეყანაი ბუნება ბაღს ჰგვანება —
და ეს ბაღია ქებათა-ქება...
ყვავილთა ენა არს სუნნელი ფშვენა,
საგალობელსა ალმა კმეული,
წყაროთა ჩქრიალი, ფოთოლთა შრიალი,
ბაღსა ბიბინი რაღაც გრძნეული!..

ბუნება და ბუნების მოვლენანი აკაკის ცალკე
ერ წარმოუდგენია: ისინი სიყვარულით ერთმანეთს
ეევიან, ერთმანეთს უკავშირდებიან, ეალერსებიან —
ა მათთან არის დაკავშირებული საზოგადოთ ხალ-
ი და კერძოთ და განსაკუთრებით — მგოსანი. ჩვენი
ოეტის წარმოდგენით („გაზაფხული"), გაზაფხულ-
ე „ხავერდოვით მწვანე ბაღსა" იმისთვის „აბიბინებს
ით ნაზსაი", რომ „თითქო უნდა დაუფაროს იმ ყვავი-
ების ფარანდაზსათ"; აგრეთვე —

„მაღალ მთიდან წმინდა წყარო მოჩქრიალობს ჩუხ-
ჩუხით,
თითქო ნანას უბნება ძუძუმწოვრებს ტკბილი ხმითა".

გლეხისა და ქვეყნის დიდებას — ყანას ცისკრის
ივები მოასავს, ნამი ბანს, დილის ნიავი უქრო-
ავს და ალერსით ნანას ეუბნება, ჟუჟუნა წვიმა
ურმუხტათ ამწვანებს და აბიბინებს.

დიდია, ძლიერია ადამიანის არსებაზე ბუნების
ვლენა: ადამიანის ნიჭიერება, მისი ზეკაცობა, მი-
გენიოსობა შედეგია ცისა და მიწის „შემყარები:
", მათი კავშირისა („დედოფალას ლამის თევა")-

„მშვენიერი, მრავალფერი, მზის ნაშუქი, თანათანა —
ცა და მიწის შემკობამ ამ სოფლისთვის გააჩინა.
აკვნათ მისცა მიწა და ცა, გამდელ-ძიძათ — მთლათ ბუნება: —
ზღვა და ხმელი, ტყე და ველი მას ნარინას ეუბნება!..“

ასე იბადებიან და იზდებიან ბუნების წყალობით პოეტ-გენიოსები და შემდეგ ბუნებასვე უკავშირდებიან, რომ მასში შეიგნონ აზრი და მიზანი ქმნილებისა, და ცხოვრებაში ტრიალობენ, რათა ხალხს წინამძღოლობა გაუწიონ და მისი ჭირი და ლხინი გაიზიარონ.

პოეტის დანიშნულებაზე ორგვარი შეხედულება არსებობს: ზოგი იმ აზრისაა, რომ პოეტის საქმე მხოლოდ მგოსნობაა, იგი მხოლოდ პოეტურ შემოქმედებას უნდა ემსახურებოდეს, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში მონაწილეობა მას არ უნდა ეკითხებოდეს, ეგ მისი საქმე არ არისო; ზოგი კი — გარდა კალმისა, გარდა წმინდა-პოეტური შემოქმედების სამსახურისა — პოეტს სხვა სამსახურსაც ავალებს: ხალხის გვერდში ყოფნას, მის ჭირსა და ლხინში მონაწილეობას.

რუსის პოეტი პუშკინი ერთს თავის ლექსში („Чернь“) პოეტის პირით „შავ ხალხს“ ეუბნება: „იქით გამეცალეთ! რა საქმე აქვთ მგოსნებს თქვენთან?!.. არა მიწიერი ცხოვრების მღელვარებისათვის, არა ანგარებისა დ ბრძოლისათვის ვართ ჩვენ

დაბადებულნი, არამედ ზეშთაგონებისათვის, ტკბილი ხმებისა და ლოცვებისათვის“-ო.

ჩვენი პოეტები, აკაკი და ილია, სრულიად წინააღმდეგი აზრის არიან ამ საგანზე, ვიდრე პუშკინი. ილია ლექსში „პოეტ“-ში ამბობს: „არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამომგზავნა ქვეყნათ ცამა“-ო; ამით იმის თქმა უნდა, რომ პოეტი, რასაკვირველია, ზეშთაგონებას უნდა მისდევდეს, პოეზიას უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ მარტო ეს არ კმარა: იგი ადამიანთა შორის ადამიანურათ უნდა ცხოვრობდეს:

„მე ცა მშობავს — და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა...
დიდი ღმერთის საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმეთ ვიყო ჭმუნვასა და სიხარულში,
ერის წყლული მაჩნდეს წყლულათ, მეწოდეს მას ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით დამდაგოს მტკიცე გული“-ო.

ასეთია ილიას აზრი პოეტზე — და ასეთივე აზრისაა აკაკიც. ლექსში „ჩანგურ“-ში აკაკი ამბობს:

„მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ასურებდეს;

ერთი ჰქონდეს მას საგანი:
ჰარმონია მისი ხმების
ცხოვრებაში იყოს ბანი
ხან ლხენის, ხან მწუხარების...
რომ დაჩაგრულს მისი ქნარით
თვალთ ცრემლები უშრობოდეს,
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს"-ო.

სიმბოლისტ-ფუტურისტების ჩვენში გამოსვლას აკაკი უარყოფითად შეხვდა და ცხოვრებისაგან განყენებულათ მათი ცაში ფრენა და ხალხისთვის გაუგებარი, უნიადაგო მათი პოეზია დაგმო. აკაკის სხვა მგოსნებზე ნაკლებ არ უყვარს ცა, მაგრამ ეს სიყვარული მით არის გაძლიერებული, რომ პოეტი ცასა და მიწას შორის მტკიცე კავშირს პოულობს (იხ. „ლხინი" და „სალამო"); აკაკი ხშირათ ნავარდობს ხოლმე ზეცაში, მაგრამ აქ დროსაც კი არაოდეს არ ივიწყებს მიწას, დედამიწას, სადაც მას ეგულება ხალხი, ცხოვრება, სამშობლო მხარე, რომელთა სამსახურისათვისაც მიაჩნია მას თავის თავი მოვლენილათ.

ლექსში „აღმართ-აღმართ"-ში აკაკი ამბობს: „ცის მახლობლად ფეხით ქვეშ ვიგრძენ მიწა მე"-ო! დიახ, „ცის მახლობლადაც" პოეტს არ ავიწყდება მიწიერი ცხოვრება, არ ავიწყდება „სატრფო", საყვარელი სამშობლო — და იქაც ამაზეა დაფიქრებული:

„და ვიფიქრე: ჩემი საქციელი სად არი?
ნისლში ბჟუტავს, თუ მზე უდგას სადარი?..“

აკაკის აზრით, პოეტი „ხან მიწისაა, ხან ცისა“ — და ეს იმას ნიშნავს, რომ მგოსანი ცასაც უნდა ესაუბრებოდეს და მიწასაც, პოეზიასაც უნდა ემსახურებოდეს და ცხოვრებასაც: როცა ზეშთაგონებულია, იგი ციურ ხმებს, ღვთაებრივ საგალობელსა თხზავს, ხოლო ჩვეულებრივ მდგომარეობაში ხალხს გვერდში უდგას და ცხოვრების მძიმე ტვირთს შეძლებისამებრ უმსუბუქებს.

მაგრამ, ჩვეულებრივ ხალხთან შედარებით, მგოსანი მეტად იდეალურ ცხოვრებას ისახავს — და ბრბოს მისი სიმღერა ხშირათ არ ესმის, ხშირათ ზურგს აქცევს და კიდევაც კიცხავს. ამგვარი უყურადღებობა და შეუგნებლობა მგოსნებს გულს უწამლავს ხოლმე — და მათ ნაწერებში ხშირათ ისმის ამით გამოწვეული გულის ტკივილი. ზევით დასახელებული უკიდურესი შეხედულება პუშკინისა ბრბოს ამგვარი მოპყრობითაა გამოწვეული.

აკაკიც ბევრს თავის ლექსში გვიხატავს პოეტის ამ გულის ტკივილს; მაგალითად, კრილოვის „ვირი და ბულბული“-სებურ არაკში („არაკი“) აკაკის დახატული ყავს უგუნური მებაღე, რომელიც ბულბულის სტვენას იწუნებს და ვირის ყროყინს იწონებს. ამით გულდამწვარი ბულბული „ცხრა მთას იქით“ მიფრინავს — და ვირი მის ად-

გილს იკავებს ბაღში. „ხარაბუზა და ფუტკარ“-ში ხარაბუზა, რომელიც შეუგნებელ ბრბოს აღნიშნავს, ფუტკარს, ე. ი. პოეტს, „ბზუილას, ტყუილას, მხამიანს, მკბენარსა და უსაქმურს“ უწოდებს; ფუტკარი ნაღვლიანი დაცინვით უპასუხებს:

„ბევრს რომ შრომობ, ნუთუ ფიქრობ, რომ მთა და
ბარს ასწორებ!..
მხოლოდ ფუნეს აგუნდავებ, იქვე ახლოს აგორებო!..“

შემდეგ ფუტკარი, ცოტა არ იყოს გაზვიადებული სიამაყით, განაგრძობს:

„მე კი სხვა ვარ, სულ სხვა მუშა და სხვაგვარად მო-
ღვაწე:
ზეცის მუშას მეძახიან, არ ვარ მარტო სამიწო! .
მისთვის დავფრენ მოუსვენრად, რომ მოვსძებნო ყვავი-
ლით,
გულის წვენი ამოვწუწნო, სამკურნალო რამ ტკბილით,—
შევუმზადო მით ქვეყანას თაფლი, ზეცას — სანთელით.
რომ იქ წმინდათ შეიწირონ და ანათონ აქ ბნელიო!..“

ფუტკარი აკაკის პოეტის „სარკეთა დ სახეთ“ მიაჩნია — და მეორე ლექსში („ფუტკარი“) იგი მას ეუბნება:

„სატკბოს რომ ქმნი სათაფლოს, მარტომ ხარ მოუსვე-
ნარი —
და, ვინც ხელს გიშლის შრომის დროს, მხოლოდ იმი-
სი მკბენარი...
სარკე და სახე მგონსნობის, ემბლემაცა ხარ შრომისა, —
შენათხზა სიყვარულისა და წმინდა გულის წყრომისა“-ო.

„ხარაბუზა და ფუტკარ“-ში მხატრულად არის
გმოთქმული ის აზრი, რომ პოეტი ზეცასაც ემსა-
ურება და მიწასაც; მაგრამ არ არის მოსაწონი,
ომ პოეტი (ფუტკარი) თავს იქებს: რაც ბრბოს
არაბუზას) ეპატიება, ის ზეკაცს (ფუტკარს) არ
ატიება.

პოეტი აკაკის ზოგჯერ უბრალო შუაკაცად
აჩნია, ხშირად უგუნურადაც, „გარემოების საყვი-
ად“, ხოლო—ზოგჯერ ბრძენად („პოეტი“). სრუ-
ი ადამიანი ის არის, ვინც ერთსა და იმავე დროს
რედივით უმანკოა და ველივით ბრძენიაო—და
სეთანა ადამიანია პოეტიო („პასუხი ჭალადიდე-
ისადმი“).—პოეტი, როგორც ზევით ვსთქვით,
ხადია, მაშინ არის ბრძენი, როცა, ზეშთაგონებით
ტაცებული, ღვთაებრივ ხმებსა და აზრებს გვიხა-
ავს, დანარჩენ შემთხვევაში კი—ჩვეულებრივი ადა-
ანია, უბრალო მომაკვდავი. ეს აზრი, რასაკვირვე-
ია, მართალია, მაგრამ აკაკი პოეტის სიბრძნეს
ოთობ აზვიადებს და, მასთან შედარებით, ჩვეუ-
ებრივ მუშაკსა და მოღვაწეს მეტისმეტად ამცი-
ებს. ერთ ლექსში („უ...ს“), რომელშიც ერთი
ანამედროვე პატიოსანი მუშაკი ყავს მხედველობა-
ი, აკაკი ამ გულმოდგინე მუშაკს ვირს ადარებს,
ოლო მგოსანს—ბედაურს, და ამბობს: ვირი რომ
ომობს და მცირე ტვირთს ეზიდება, ასე გონია—

დიდ საქმეს ვაკეთებო, დ̃ ნამდვილათ კი მისი ტვირ-ბედაურისათვის არაფერს შეადგენს — „და ვერ სავლელ გზას გაივლის თორმეტჯერ ჩქარა“ ო, ბოლოს დასძენს:

„ვირები რაგინდ ტვირთ-ქვეშ მოკვდნენ, ისრაილის [illegible]ვით,
მაინც არ ექმნისთ ყბედურებს ბედაურება“-ო.

ამგვარი კვეხნა და მშრომელი ადამიანის ძ-ცინვა და დამცირება, რაგინდ უბრალო საქმეს ეთბდეს ივი, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, მისაწ-არ არის.

„პოეტის გული აღელვებული ზღვისა დარად:
ზვირთებს აგორებს, სდგამს ტალღის გორებს, თუ დარია“-ო,

ამბობს თვით აკაკი („პოეტის გული“)—და, მაშა-სადამე, ამ ლექსისა და შთოთვის დროს პოე-ტიც ზღვასავით ხშირათ უდანაშაულო სხვერპლს იწირავს, როგორც ეს ჩაიდინა მან მის წინ მო-ხსენებულ ლექსში („შ...ს“). საზოგადოთ კი პოე-ტის ლექსები დ̃ შფოთვა ცხოვრების ბოროტებითაა გა-მოწვეული, რომელიც მას სწადია მშფოთვარე ზღვ-ტალღებით წალეკოს, შხამ-ნაღვლის მორევში ჩა-ხროს (მოიგონეთ რისთვის აქვს ფუტკარს ცხელი ისარი, პოეტს — ჩანგური, რისთვის არის შეზავე-ლი აკაკის მელანი თაფლ-ნაღვლით). სამავიეროდ როგორც ზღვა ღელვას შემდეგ, ისე პოეტის გ-

ლიც ზეშთაგონებას შემდეგ სარკესავით დაწმენდილია და მშვიდი, და როგორც ზღვაში შეიძლება მაშინ მარგალიტის პოვნა, ისე პოეტიც გვიძღვნის ხოლმე მარგალიტებს („პოეტის გული“): ეს არის მისი წმინდა გრძნობა და ბრძნული აზრები, ნაშთი მისი ღვთაებრივი ზეშთაგონებისა...

ამ სახით, აკაკის აზრით, პოეტის სამსახური ქვეყნის წინაშე დიდია: მისი სიტყვა და აზრი ზოგისთვის თაფლია, ზოგისთვის სამსალაა, მაგრამ მისი სამსალა, მისი შხამი და ნაღველიც კი ქვეყნისათვის სასარგებლოა:

„ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს!
ისიც მიყვარს, ვინც რომ კი მძულს:
მწარე ენას ვამსახურებ
გაწმენდილს და მარად ტკბილ გულს“-ო, —

ამბობს აკაკი იმ აზრით, როგორიც არის ილიას შემდეგ სიტყვებში:

„ზოგი გულის ტკივილს იმით იჩენს, რომ მოყვარეს ტყუილსაც უქებს, და ზოგი კი იმით, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტად ჭეშმარიტი გულის ტკივილი და სიყვარული აქვს—ეს თვითონ მკითხველმა გამოიცნოს“ („კაცია — ადამიანი“).

ასე გულშემატკივარი არიან პოეტები ქვეყნისათვის, მაგრამ ქვეყნისაგან ისინი ამის ჯილდოთ მხოლოდ დევნასა და სიძულვილს იმსახურებენ, რო-

გორც ძველათ წინასწარმეტყველები. ლერმონტოვის წინასწარმეტყველი ამბობს: მას შემდეგ, რაც ზეცით ყველაფრის შეგნების ნიჭი გადმომეცა, ადამიანთა ცხოვრების კაბადონზე სულ ბოროტებისა და ბიწიერების სტრიქონები მეჩხირება თვალშიო; ვიწყე სათნოებისა და სიმართლის წმინდა მოძღვრების ქადაგება — და მყისვე ბრაზმორეულმა ჩემმა მოძმეებმა დევნა დამიწყეს და ქვები დამიშინესო.

ჩვენი პოეტიც ამბობს („ჩანგურის ძალი“), რომ მას შემდეგ, რაც მუზმა ჩანგური გადმომცა,

„სულმან გრძნო უცხო ძალი:
გულში აენთო ალი!..
ვნახე, თურმე ბრმა ვიყავ—
და გავახილე თვალი“-ო.

თვალახილულმა მგოსანმა ცხოვრებაში ყველგან ბოროტება დაინახა, ყოველ ადამიანში ფარისევლური სული და გული იპოვნა, იწყო მათი მხილება და ყველა გადიმტერა. როდესაც ადამიანთა შორის მეგობარი ვერავინ იპოვნა, მგოსანმა მუზის რჩევით ჩანგური გაიხადა მეგობრათ — და, მართლაც, მისი მეოხებით სული მისი დატკბა და დამშვიდდა:

„შემდეგ შენ ხარ ნუგეში:
ბიდებ გრძნობით უბეში,
ტკბილ გრძნობას დაგღიღინებ
და სევდას ზედ დავხვნეში!..“

აკაკი ხშირათ ესაუბრება ჩანგურს, ხშირათ შეტრფის

მის სიმთა ჟღერას, რადგან მასში ხედავს ტკბილ-მგოსნობის, პოეზიის ემბლემას. ჩანგური, ან პოეზიის საუცხოო ჰანგები — რაც ერთი და იგივეა — არის მანუგეშებელი როგორც ყარიბის, მარტოხლათ დარჩენილი მგოსნისა, ისე მთელი ერისაც: იგი აღვიძებს,! აცოცხლებს და ანუგეშებს დაჩაგრულს, ტყვეობაში მყოფ ერს („თემურ-ლენგის ტყვე"):

„სად არის ჩვენი ჩანგური, ქვეყნის ჭირი და ლხინით,
სამშობლოს სისხლი და ხორცი, მასივე ნაღველ-ტკივილით?"
მაშინ მიუგო მგოსანმა: „გულზე მე დავაკიდე:
ვერ გავეყრები, გინდ მიყვანდეთ ტყვეობით კიდით-კიდეთ!
ჩემი სამშობლოს საცილი და მისი მწარე კვნესათ—
ორივე ერთად სიმებმა შიგ გულში ჩაისვენესო!

თვით ჩვენი პოეტის მოწამლულ სულს ჩანგური (კალამი, პოეტური აღმაფრენა) იმით კურნავს, რომ იგი „ოცნების ზღვაში მცურავია, ჯორა აქვს იავარდისა, სიმები — ბულბულის ენა, ფრთები არწივის ასხია" — და მგოსანს, რომელიც „გზა კვალის ამრევის, შავპირის, უპირო ბედის" წყალობით „აჩრდილიღაა წარსულის და ლანდი მომავალისა", — ტკბილ-ოცნების მხარეში აფრენს და მწარე სინამდვილეს ავიწყებს:

„მიმოფრენ, მეც თან დაგუყვარ
წამის-წამ, კიდის-კიდესო.
ვეღარ მერევა სიკვდილი

მე, შენსა გადამკიდესა!..
დიდება შენსა მივლინას,
ცაურო, ტკბილო ძალო!..
დაადნა გული შენს სამეფის –
და სულიც დაიცალოსო!..“

მერე ადგილას („პროზიდან «მიალვა»“) აკაკი პოეტზე ამბობს:

„შენი ქება და დიდება, შენი ჭკუა და ლხინით, —
მაღლიდან გადმოსძახეს, — ქამანჩა და სტვირით!
შენ მშიერად ნუ მოშორდები იმ შენს ქამანჩა-სტვირ-
სას: —
თუ შენვე არ უღალატებ, ის არ გაგიტეხს პირსა!..“

აკაკის კარგათ ესმის, თუ რატომ ყავს ნამდვილს, ჭეშმარიტსათვის თავდადებულ მგოსანს მრავალი მტერი და მდევნელი: იმიტომ, რომ თვით მგოსანი სატკარივით კბენს და იგრავს ყველას, ვინც მას ქვეყნის სამსახურში ხელს უშლის, თვით იგი ამხილებს და დევნის ქვეყნის მჩაგვრელებსა და უგუნურობას და ცხოვრება ხომ სწორედ ამისთანებითაა სავსე: მაშასადამე, გასაკვირველიც არ არის, რომ ამისთანა მგოსანს მტერი ბევრი ყავდეს.

აკაკის თავისი დამახასიათებელი თვისება, რომელიც მან „ბულის პასუხ“-ში გამოხატა, საზოგადოთ მგოსნების თვისებათ აღიარებია - და ამიტომ ერთ ლექსში („მგოსანი“) ამბობს: შფალმა მგო-

ანს, თანახმად მისი თხოვნისა, „გული წმინდა და
ელი წრფელი“ მიმადლოთ,—

„უხმიან ჩქერი სამოთხეთათ
და აქ ეულს შეახსენის გული...
საერთო განცხრით, სამკვიდრომკვიდრით
ჩასდგა სიმართლე და სიყვარული.
მოსეს მახვილსა, აარონის კვერთხსა
ხელთ მისცა რჩეულთ უმანკო ქნარი.
და უფლის წილ სიმებს ასხურა
შეუსაბამებელი თაფლ-ნაღველ-ძმარი.
ხმა ზეცისური, ხმა საამური
მოისმა ქვეყნათ მარად და მარად:—
ზოგისათვის ის ხმა თაფლ-მანანათა,
ზოგს კი ყურზე ხვდება ის ნაღველ-ძმრათ.
ერთსა აღელვარებს და მეორეცა,
[illegible] სწორათ მოხიბლულია,
და იგი მგოსანიც, ერთის საქები,
ათასისათვის წყეულ-კრულია...“

აი მიზეზი, თუ რათ იკიცხვის და იდევნება მგო-
ანი უმრავლესობისაგან; მაგრამ იგი გულს მაინც
რ იტეხს და თავის საერო სამსახურს უშიშრათ
განაგრძობს:

„მაგრამ მგოსანი ფიქრობს: „ამ ქვეყნათ
ყოველი ზრახვა არის ამაო,—
სულს შემუსვრილს და გულს დამდაბლებულს
ნუ შეურაცხყოფ შენ კი, მამაო!..“

ამბობს — და ჩანგის სულის ჩამდგმელი
ცა-და-ქვეყანას ესალბუნება!..
ზევსური მისი უტყუარია
და მრავალფერი, ვით თვით ბუნება!..

პუშკინიც, რუსის ეგ სახელოვანი მგოსანი უგუნური ბრბოსაგან მოწამლული მგოსნის სული მალამოს თვით მგოსანშივე პოულობს — და ამიტო ეუბნება მას: „შენ ხშირათ გაიგონებ ხოლმე უგუნურთა მსჯავრსა და გულცივი ბრბოს დაცინვას, მაგრამ ნ შეურყევი, კვლავ იქონიე სულის სიმშვიდე... შენ მეფ ხარ: იცხოვრე მარტოთ, იარე თავისუფლათ შენს გზაზე, საითაც გაგიძღვეს შენი თავისუფალი გონება! შემზადე ნაყოფი შენი საყვარელი ფიქრების — და კეთილშობილის შენი ღვაწლისათვის ჯილდოს ნურავისგან თხოულობ: იგი თვით შენში არსებობს“-ო!

## ნ. გლეხის საკითხი.

მე-60 წლებში გლეხის საკითხი მთელ რუსეთში მთავარ საკითხათ გადაიქცა. ევროპის სახელმწიფოებში ეგ საკითხი დიდი ხნის გადაჭრილი იყო — დ რუსეთიც ვერ ჩამორჩებოდა, ავათ თუ კარგათ აქაც უნდა გადაწყვეტილიყო იგი. რუსეთის განათლებულ საზოგადოებაში ნიადაგი ამისათვის საკმაო მომზადებული იყო — და ამ მომზადებაში დიდი რო

ლი შეასრულა ტურგენევის „მონადირის წერილებ-მა“. მართალია, ახალგაზდა იმპერატორმა ალექ-სანდრე II-მ ტახტზე ასვლისათანავე გულში მტკი-ცეთ ამოიჭრა რუსეთის სახელმწიფოში გლეხების გათავისუფლება, მაგრამ ამ განზრახვის დაჩქარებით სისრულეში მოყვანას იმ გარემოებამ შეუწყო ხე-ლი, რომ ბევრი შევნებული მოღვაწე და მწერალი ამ აზრს თანაუგრძნობდა. ალექსანდრე II-ს ტურ-გენევისათვის უთქვამს: „მონადირის წერილები“ რომ წავიკითხე, მას შემდეგ ერთ წამსაც არ შეჩერებუ-ლა ჩემი ფიქრი გლეხთა გათავისუფლების შესახებო.

რუსეთში გლეხების გათავისუფლების მანიფეს-ტი 1861 წლის 19 თებერვალს გამოიცა. ზავიდა-ახას შემდეგ სამი წელი — და აღმოსავლეთი საქართ-ველოს (ამერეთის) გლეხების გათავისუფლების მა-ნიფესტიც გამოვიდა (1864 წლის ოკტომბერში), ხოლო დასავლეთი საქართველოს (იმერეთისა) — 1865 წელს.

რაკი საგლეხო საკითხი მაღლიდან წყდებოდა, მწერლობისა და ინტელიგენციის როლი იმაში გა-მოიხატებოდა, რომ ცხოვრებაში ამ რეფორმის უტკივრათ გატარებისათვის ხელი შეეწყოთ. ამ მხრით შვენში დიდი სამსახური მიუძღვისთ მე-60 წლების მოღვაწეებს, განსაკუთრებით ილია ჭავჭა-ვაძეს, რომელმაც ბატონისა და ყმის ურთიერთო-ბა კალმითაც და სიტყვითაც მრავალმხრივ გააშუქა

და მისი ბოროტი მხარეები ყველას ნათლად დაა-
ნახა.

აკაკიც ილიას გვერდში უდგა და ამავე აზრე-
ბისათვის იბრძოდა. ლედაზედ ორივე მგოსნის შე-
ხედულობისა ერთი და იგივეა: გლეხი ბატონისაგან
ნივთიერადაც და ზნეობრივადაც იჩაგრება; გლეხი ქვეყ-
ნის მარჩენალია, იგი დღე-და-ღამ ოფლისა ღვრის და
ქვეყნის სარჩოს იწევს, მაგრამ ამ სარჩოდან პირა-
დათ მას ისე მცირე ნაწილს არგუნებენ ხოლმე, რომ
ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცება; იგი ყველას თვალ-
ში დაბალი ღობეა და ყველა მას „თავში უჩაჩქუ-
ნებს" (აკაკის „მუშური"):

„ქვეყანა თავში გვაჩაჩქუნებს, გვაწვალებს და მისაური...
ცხელის მიწას უხვად აღებობს ოფლი, წვენად მისაწური: —
ჩვენი ჯაფით მოხვეჭილი — სხვისთვის ბადის სავსე
პური..."

ან კიდევ („ახალი გზა"):

„მხოლოდ სწორედ მიწის მუშაობით ყავს გამკითხავი:
მისი თავის თავს ივიწყებს, ქვეყნის მადლის მისი ტყავი".

გლეხის უბედურება, აკაკის აზრით, კიდევ ის
არის, რომ მას, შავ დღეში რომ ჰყავს, დამცველი არა
ყავს, და თუ იშვიათად ვინმე მოსარჩლედ გამოუ-
ჩნდა, ამგვარ პირს სასტიკად სდევნიან და შიმში-
ლით სულსა ხდიან („მოგონება"):

„შემომხედეთ — ამბობდა — თავადი:
შემიბრალეთ, გლეხიც თქვენი ძმა არის!..

და რას ისმენდა ნაცვლად სწყალი?

— ჩუ, თორემ ცხვარია წაგიხდება ძმარი! .“

როგორც რაფ. ერისთავის გლეხები ათასგვარ გაჭირვებას განიცდიან, მაგრამ მაინც კმაყოფილნი არიან თავისი ბედისა, ისე აკაკიც ამბობს გლეხკაცზე („მუშებს“):

„მუშებო, თქვენი მარჯვენა იკურთხოს, ოფლით ნაბანო!
მიწაა თქვენი ლოგინი, და საყვარელი ცა — საბანი!..
შრომით გცივათ და გცხელათ, ბევრჯერ რჩებით
მშიერი, —
მაგრამ ყველაფერს ატანს თქვენი მარჯვენა ძლიერი“ ო.

პოეტი აქვე გლეხებს ეუბნება: თქვენ კარგათ გესმით, რომ მშრომელ კაცს სხვისი მონება არ შეშვენის. „მაგრამ ჭირს ფარავთ სიცილით — და დახვალთ უსაყვედუროთ: არ გინდათ, რომ სხვამ შეგნამჩნიოსთ და გითხრასთ: „ოჰ, შე უბედურო!“-ო.

მგოსანს გლეხების ამგვარი საქციელი მოსწონს და ამბობს: „ამგვარი ამტანობა ძლიერებაა სულისა“-ო.

ამგვარი შეხედულება ადამიანის ცხოვრებაზე საფუძვლიანი არ არის. ჯერ ერთი -ვერაფერი ნუგეშია ცხოვრებაში დაჩაგრული ადამიანისთვის, რომ იგი უსამართლო ტანჯვა-წვალებას „ძლიერი მარჯვენის“ მეოხებით იტანდეს და ითმენდეს, და მეორე — ჭირის დამალვა და მჩაგვრელის წინაშე ჩუმათ ქედის მოხრა „სულის ძლიერება“ კი არ

არის, არამედ თავმოყვარეობის უქონლობისა და უძლურობის ნიშანია.

ამ სახით, შეგნებულ ადამიანს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა მართებს, და არა მონურათ ქედის მოხრა, მაგრამ რიგიანი ადამიანი თავის მჩაგვრელს იმ აზრით კი არ უნდა ებრძოდეს, რომ მაგიერი გადაუხადოს, არამედ იმ მიზნით, რომ მისი ჩაგვრა თავიდან აიშოროს, მისი ბოროტმოქმედებისაგან გათავისუფლდეს.

ამ მხრით საყურადღებოა აკაკის ლექსი „მუშის ნატვრა“, სადაც პოეტი სიყვარულითა და აღტაცებით გვისურათებს უმაღლესათ პატიოსან გლეხს, რომელიც რაფ. ერისთავის გლეხს თედოს და მასზე ნათქვამ სიტყვებს მოგვაგონებს: „სხვისი არ უნდა Თედოსა, მოძმეს არ შეეცილება“ რა მშვენიერია გრძნობა დაჩაგრული ადამიანისა, რომელსაც სხვისი დაჩაგვრა, უპატიოსნო ცხოვრება ფიქრათაც არ მოუვა:

„ვისაც რა უნდა უყვარდეს, სულ სხვაა ჩემი ტრფიალი:
მიყვარს პირწმინდა ნამგალი, მისი ყანაში ტრიალი!..
თავი მოუკვდეს ზოგიერთს, რომ იტაცებენ სხვისასა,—
საწყალ კაცს ჯიბეს აჭრიან, ურცხვათ ივსებენ ქისასა.
ძირი ვარ, სხვას რა მოვსტაცო? რათ გავიშავო პირი მე?
ბარს შემოვევლე ჩემს გუთანს, ჩემი სახნისის ჭირიმე!..
რასა დავიბნელო სიხარბით სამიწე წუთის თვალები?

ხერხსა, ხელეჩოს, სატეხსა, ნაჯახ-ცულს ვენაცვალება!..
რაც ჩემი ურმის არ არის, სახლში არ შემიტანია!..
ღმერთმა მაშოროს, რაც ჩემის ოფლით არ გამიბანია!..“

„გლეხის აღსარება“-ში აკაკის რეზონერული, სინამდვილის წინააღმდეგი აზრი აქვს გატარებული. დაჩაგრული გლეხი თავის მჩაგვრელს ეუბნება, ძმური კავშირით ვიცხოვროთ ერთმანეთ-შორის, თვარა, თუ რომ ჩვენ ერთმანეთს მტრულათ გადავეკიდეთ, მაშინ ჩვენი ქვეყნის საერთო „მტერს ვინ უწინააღმდეგებს“-ო?! სამწუხაროთ, აკაკის დროის გლეხობა ამგვარ შეგნებამდი არ მისულა.

ბატონყმობისაგან გათავისუფლებული გლეხობის შესახებ აკაკი იმ აზრისაა, რომ გლეხების უმიწო-წყლოთ გათავისუფლება ვერაფერი თავისუფლებაა, რადგან უმიწოთ ცხოვრება მას არ შეუძლია, შიმშილით სიკვდილი მოელისო („არაკი“).

„მამიშენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელი“-ო, — უმღერის დედა ბატონყმობისაგან გათავისუფლებული გლეხის შვილს. ეგ „სხვა ბედი“-ც ის არის, რომ ბატონყმობის დროს გლეხის განათლებაზე არავინ ზრუნავდა, შემდეგ გათავისუფლებისა კი ახალგაზდა გლეხობას განათლებისაკენ გზა გაეხსნა — და „დიდი-კაცის შვილს შკოლაში გვერდთ მოუჯდება... ძველ ბატონისშვილს სწავლაში არ ჩამორჩება“ („იმერული ნანინა“).

ბატონყმობის ბორკილის დამტვრევას შემდეგ

გლეხმა არა მარტო სწავლა განათლებისაკენ, არამედ საზოგადოთ მოქალაქის სწორუფლებიანობისაკენაც გაიკაფა გზა — და დღეს იგი უკვე იმგვარივე უფლებამოსილი მოქალაქეა, როგორც ყველა სხვა. რაც შეეხება მიწასთან გლეხის დაკავშირებას, უნდა ვსთქვათ, რომ წარსულში (ბატონყმობის დროს და შემდეგაც, უკანასკნელ ხანამდი) მემამულე უფრო დაინტერესებული იყო მიწით, ვიდრე გლეხი: გლეხი მხოლოდ იარაღი იყო მებატონის ხელში — და ამ იარაღს ბატონი ყოველნაირათ ხმარობდა იმისათვის, რომ მიწა არ გამცდარიყო და მისი შემოსავლით კმაყოფილებით ეცხოვრა; გლეხს კი მისივე ნაშრომიდან ცოლშვილისათვის საყოფი სარჩო არ მოუდიოდა — და სული კბილით ეჭირა. მაშასადამე წარსული ცხოვრების პირობათა მიხედვით, არ შეიძლება დავეთანხმოთ პოეტს, რომ [illegible] ყანას „გლეხის დიდებას“ უწოდებს („ყანა“). აქვე მგოსანი ყანას „ქვეყნის სამოთხეს“ აღიარებს — და ეს კი ჭეშმარიტებაა: ყანა — და საზოგადოთ მიწა და მიწის ყოველგვარი [illegible] მოსავალი — ქვეყნის სარჩოა, მთელი ხალხის მასაზე [illegible] და ყველასთვის იგი ერთნაირათ საგულისხმოა; მთელი კაცობრიობის ინტერესია მასთან დაკავშირებული, და არა ერთის რომელიმე პროფესიის ხალხისა, და, აი, რატომ სთვლიან სოციალისტები საჭიროთ, რომ, უწინარეს ყოველგვარი სხვა საკუთრებისა, მიწის საკუთრება

მოისპოს და იგი მთელი ხალხის საერთო მფლობელობაში გადავიდეს. **მ**ხოლოდ მაშინ შეიძლება (რასაკვირველია, გონიერისა და პატიოსანი მართველების ხელში) მისი მოსავალი საჭიროებისამებრ და მიზანშეწონილათ განაწილდეს მცხოვრებთა შორის და სარჩო და საზრდო ყოველი ადამიანისა სპეკულიაციის და ექსპლოატაციის საგნათ არ გადაიქცეს.

**გ**ლეხის ცხოვრების გამომხატველ ლექსებს შორის „**ს**იმღერა მკის დროს“ ერთადერთი ლექსია აზრგადაუკვრელი, ყოველგვარ რეზონერობას დაშორებული. **ი**გი ცოცხალი სურათია გლეხების გულუბრყვილო ცხოვრებისა, გულჩაუთხრობელის, ხალისიანი მუშაობისა. **ა**ქ ერთსა და იმავე დროს გამოხატულია ლხენით სავსე სოფლური ქეიფი და ხვავიინი, ბარაქიანი მუშაობა—მკა პურისა, ნამგლის ტრიალი:

„**მ**ეიაყურო, დაგვაცალე!
**ჯ**ერ ეს ყანწი გამოცალე!..
**მ**ერე გნახავთ, რაც ბიჭი ხარ, —
**ნ**ამგალი დაატრიალე!..
**მ**კაში არც ჩვენ ჩამოგრჩებით,
**ჩ**ვენც გვერდში ამოგიდგებით: —
**ზ**ედგადელილი, ჭერანგა—
**პ**ურს ცეცხლივით მოვკედებით!...“

---

## პოემები და მოთხრობები.

აკაკის საკმაოთ მრავალი პოემა და მოთხრობა დაუწერია, მათში ბევრ ადგილას გამოსჭვივის აკაკის ჩვეულებრივი ნიჭი, პოეტური აღმაფრენა და სიცოცხლე; მაგრამ მათ შორის ერთიც არ არის იმისთანა, რომ მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდეს—ისე, როგორც, მაგალ., ილია ჭავჭავაძის პოემები და მოთხრობები. ამ ჩვენს ორ მგოსანს თავთავისი დარგი აქვს პოეტური შემოქმედებისა—და ერთი ერთში მეფობს, ხოლო მეორე—მეორეში, ისე რომ ამ დარგებში ისინი ერთმანეთს ვერ შეეცილებიან. აკაკი ძლიერი და მშვენიერია პატარ-პატარა ლირიკულ ლექსებში, ილია კი—მოზდილ პოემა-მოთხრობებში. აკაკის ტემპერამენტი ჩქარია, მისი შემოქმედება ელვასავით მკვირცხლი და წუთიერია. ილია კი დინჯის, აუჩქარებელი ტემპერამენტისაა,—მისი შემოქმედება ხანგრძლივია, წინასწარი მოფიქრებითა და შეგრძნობით გაზომილი და გამთფარ-გაღვივებული. აკაკი მზისა და მთვარის სხივებს, ელვის თვალწარმტაცს ციურ კლაკნილებს ცალი ხელით იჭერს, ხოლო ილია ისო ნავინივით უბძანებს ცის მნათობთ: „შესდეგ, მზეო, და ნუ იძვრი, მთვარევ“-ო! უბძანებს—და კიდეც აჩერებს მათ, რათა მათი შუქით ჯერ თვითონ ხანგრძლივათ გაიმსჭვალოს და დასტკბეს—და მერე სხვებიც ხანგრძლივათ გამსჭვალოს, შებოჭოს და დაატკბოს!..

ასეთია ამ ორი მგოსნის ტემპერამენტი — და იტომაც აკაკის ილიასავით საგულისხმო, გრძნო- -გონების მოზხიბლავი პოემები ვერ შეუქმნია — ე, როგორც ილიასაც ვერ შეუქმნია აკაკისავით რვა მძივებივით აცმული და მოკრიალე წვრილი ექსები.

აკაკის შემდეგი პოემები და მოთხრობები და- წერია: **თორნიკე ერისთავი, ბაგრატ დიდი, ნათე-** ა, **ჰიკოლას ნაამბობი, ალექსი, ქუთათლის სიზმა-** ი, **ორი ქართველი, გამზრდელი, ნაცარქექია,** ოგია მეჩონგურე, **ბაში-აჩუკი, სიკვდილი** და სხვ.

1. **თორნიკე ერისთავი** ისტორიული პიროვნებაა (მო- ონეთ ისტორიიდან მისი ცხოვრება). აკაკი თორნიკე ერის- ავს მეტად სიმპატიურ გმირად გვიხატავს; მისი საგულის- ო მოღვაწეობა კი, პოემის შინაარსის მიხედვით, იმით ოიხატება, რომ ქართველთა ლაშქრით მუსრს ავლებს ირე აზიის მცხოვრებთ, რომელნიც თავისი მართველის, ოდა-სკლიროსის, წინამძღოლობით, მებატონე ერს -ბერძნებს აუჯანყდნენ და მათი სამძიმო უღლის თავიდან შორება განიზრახეს. — თვით მთავარი საფუძველი ამ პო- ისა — მებატონე სახელმწიფოსადმი დახმარების აღმოჩენა აპყრობილი ქვეყნის გათავისუფლების საწინააღმდეგოთ — არ ეიძლება თანაგრძნობის საგნათ მივიჩნიოთ. — თორნიკე ერის- ავი უკვე ბერათ იყო შემდგარი ათონის მონასტერში, რო- ა ეს საქმე იკისრა. პირველათ იგი, მართალია, დიდ უარ- იდგა: მე ბერი ვარ — და ახლა სისხლის ღვრა არ შე- ერისო, — ამბობდა იგი; მაგრამ ბოლოს დათანხმდა: ჯერ ციქულობა იკისრა საბერძნეთის მეფისა საქართველოს მე-

ფის Დავით Კურაპალატის წინაშე, და ბოლოს—სარდლო-ბაც. Თორნიკე Ერისთავი ასე ასაბუთებს და ამართლებს მო-ციქულობაზე თავის თანხმობას:

„Სამაგიეროთ ქართლს პირდებიან
Ზედო ქვეყნების დამონებასა;
Მხოლოდ ამისთვის მე დავეთანხმე
Იმათ სურვილს და იმათ ნებასა“—ო!

Ამგვარი ანგარება და წადილი გარეშე ქვეყნების და-პყრობისა და დამონებისა არ უნდა შედიოდეს საზოგადოთ კეთილშობილი ადამიანის განზრახვაში, მით უფრო- ბერის ფიქრსა და გონებაში.—Პოეტს იმდენათ საგულისხმოთ მია-ჩნია ამ ომში Თორნიკეს სარდლობა, რომ, მისი სიტყვით, მეფეც, კათალიკოზიც და მთელი ქართველი ერი ფეხზეა და-მდგარი და Თორნიკეს ემუდარება—სარდლობა იკისრეო! ნა-მდვილათ კი ეგ საქმე იმათ არა ღირს, რომ მთელი ერი მის გამო ყალხზე დგებოდეს.

Მიუხედავათ ამ დეფექტებისა, პოემა საგულისხმოა გა-რეგანი ფორმის სიმშვენიერით—და გატაცებითაც იკითხვის. Პოემის საუკეთესო ადგილებია: 1) ომის წინა დილა („Მითა ეთერი მზეთ უნახავი“—მთელი მესამე თავი), 2) ომის აღ-წერა („Შანგარიშო და უთვალავი მოდის ისარი, ვით სეტყ-ვა ცისა“ და სხვ.,—თავი IV—თითქმის მთელათ) და რა-მდენიმე სხვა (ჯარის სიმღერა: „Კავკასიის ქედზედ იყო Ამი-რანი მიჯაჭული“—ამ პოემაში Აკაკის სხვა ლექსიდან არის ჩართული).

2) **Ბაგრატ დიდი** ისტორიული პოემაა (მოიგონეთ ისტორია). Აქ მოთხრობილია Ბაგრატის მოქმედება—სა-ქციელი, რომელსაც ქართველი მეფეები ხშირათ ჩადიოდენ ხოლმე, რათა მტრისგან თავისი ქვეყანა ეხსნათ. Ბაგრატმა გარეგნულათ მამადიანობა მიიღო, მით მტრის (Თემურ-ლენ-

გის) ნდობა მოიპოვა და მისი ჯარებით საქართველოზე გამოილაშქრა, მაგრამ ბოლოს თემური მოატყუა. ღალატით მისი ლაშქარი დაამარცხა და ამით საქართველო დაიხსნა.

3. **ნათელა** — ნახევრათ ისტორიული პოემაა. **აქ** ყურადღებას იქცევს იმერთ საქციელი, რომ მაშინ, საერთო სამშობლოს **საქართველოს** მტრების საწინააღმდეგოთ, **ამერეთის** ძმებთან ერთობის აზრი იღვიძებს და მათთან ერთად ებრძვიან მტრებს. **ფრიად** საგულისხმოა **ცოტნე დადიანის** საქციელი, **რომ** დატყვევებულ მოძმეებთან მიდის და მათ სასჯელს იზიარებს.— **პოემაში** საუკეთესო ადგილია **ნათელას** სიმღერა ქართველ ტომთა ერთობის შესახებ. — **ნოინთან ნათელასი** და **ცოტნეს** შეხვედრა და საზოგადოთ ნოინთან საუბრის სცენა კომიკური ხასიათისაა და პოემის ტრაგიული შინაარსის შეუფერებელი.

4. **ქიქოლას ნაამბობი-ც** ნახევრათ ისტორიული პოემაა. **აქ** განმარტებულია გადმოცემა იმერთა ღალატის შესახებ, **ალამამადხანის** შემოსევის დროს რომ **პატარა-კახის**თვის ზურგი შეუქცევიათ. **აკაკი** ამ გადმოცემას არ უარყოფს, მაგრამ დამნაშავეთ მარტო **ზურაბ წერეთელი** გამოყავს, **სოლომონ** მეფის ცნობილი სახლთხუცესი. **მგოსნის** გადმოცემით, როგორც მეფე, ისე ჯარიცა და საზოგადოთ ხალხი—ძმური დახმარების მომხრე ყოფილან, მაგრამ, **ზურაბ წერეთლის** გავლენითა და ოინებით, საომრათ გამზადებული ჯარი უკან გამობრუნებულა, თუმცა მცირე ჯგუფი მაინც დარჩენილა დასახმარებლათ.— **პოემაში** საგულისხმოა მეფის **ირაკლის** სიტყვები:

„**მ**ას **შ**ემდეგ, რაც **ს**აქართველო ორ ნაწილათ გაყოფილა,
**მ**შვიდობა და მოსვენება აღარც ერთში არ ყოფილა.
**გ**ვავიწყდება, რომ ძმები ვართ, ერთმანეთის განაყარი,
**ე**რთი სისხლით მორწყული გვაქვს მინდორი, ტყე, მთა
და ბარი.

ერთი დედის ძუძუები არის ამერ-იმერეთი!..
ჩვენ ძმები ვართ, ტყუპის ცალი, საქართველო — დედა ერთი!
ცალი ძუძუ რომ ჩამოსჭრან და შიმშილმა მოჰკლას ერთი,
ცალ ძუძუს და მეორე ძმას რაღა შვებას მისცემს ღმერთი?!".

ზურაბ წერეთელს კარგათ ახასიათებს შემდეგი სიტყვები, რომლითაც იგი სოლომონ მეფისა და სხვების ყველას აზრსა და განზრახვას ეწინააღმდეგება:

„არა, მეფევ! ჩვენ ჩვენთვის ვიყოთ.
ისინი მათთვის, — ასე სჯობია!..
რათ დავიწყლულოთ სხვისათვის გული,
როცა ისარი ჩვენ არ გვსობია?!" — ო.

5. **ალექსი** — ზღაპრული პოემაა (ეს პოემა აკაკიმ თავის შვილს ალექსის უძღვნა და მისი სახელიც უწოდა). აქ ალეგორიულად საქართველოს თავგადასავალია გამოხატული: ცხვრისა და მისი კრავების მდგომარეობა საქართველოს ისტორიულ თავგადასავალს მოგვაგონებს — საზოგადოთ ჩვენი ქვეყნის დამპყრობელთა ხელში, ხოლო განსაკუთრებით — რუსეთის მპყრობელობაში. როგორც საქართველო, ისე ცხვარი და მისი კრავებიც ორმა გარემოებამ დაღუპა: **შინაურმა გულუბრყვილობამ** (კრავების შეუგნებლობა) და **გარეშე მტრების ცბიერობამ** (მატყუარა მელა). მელიასავით, საქართველოს დამპყრობელნიც ჩვენს ქვეყანა მფარველობას, გარეშე მტრებისაგან დაცვას პირდებოდნენ ხოლმე და თუმცა სხვა მტრებისგან, მართალიც, ხშირათ გვიცავდნენ, მაგრამ თვითონ სხვებზედ უარეს მტრობას გვიწევდნენ. — ცხვარი ბოლოს დარწმუნდა მელ ას ვერაგობაში და შვილებს ეუბნება:

„აწ კი გვიმ რთებს, ამ მინდვრებს და მთებს

გამოვეთხოვოთ, მონა ვართ მელის...
გვაწევს ღვთის რისხვა, სანამ აწ ჩვენ სხვა
არ გამოგვიხსნის და არ გვიშველის...
ვმონოთ ჯერ შავ ბედს, ნუ ვკარგავთ იმედს:
სოფელი ბრუნავს აღმა და დაღმა...
რომელმაც ჩვენა არ მოგვასვენა, —
ეგებ დაგლიჯოს მელაც იმ ძაღლმა“..

ყოველი პატარა ერის—და მათ შორის საქართველოსიც—უბედურება ის არის, რომ თავისი საკუთარი ძალების იმედი არ აქვს—და გარეშე მტრებისაგან განთავისუფლებას, შველასა და ხსნას მაინც კიდევ გარეშე ძალებისგან მოელის. —ამ „საყმაწვილო“ ზღაპარში ზოგან მეტად არასაყმაწვილო ფილოსოფიაა გაბმული. მძიმე და ყმაწვილებისათვის გაუგებარი ქადაგება, როგორც, მაგალ., შემდეგი:

„ეს ცრუ სოფელი, მწარ-სამყოფელი,
ვერვის დაინდობს, არვის გაიტანს,
უდროოთ ალხენს, უდროოთ აწყენს,
კაცს აბურთავებს, სად არ გაიტანს!..“ —და სხვ.

(მთელი მე-II თავი).—პოეტი თვითონაც გრძნობს, რომ ამისთანა მშრალ ქადაგებას საყმაწვილო მოთხრობაში ადგილი არ უნდა ქონდეს, და ამიტომ ამბობს: „მაგრამ ეს ლექსი, შვილო ალექსი, შენთვის ადრეა“-ო.

6. **ორი ქართველი**—ხალხურ გადმოცემაზე დამყარებული რაინდული პოემაა: ხალხური რაინდების, ოთია მესხისა და ადამ ბებურიშვილის, გმირობაა აწერილი. ოთია მესხი ვაჟა-ფშაველას გმირს გოგოთურს ჩამოგავს: ისევე უბრალო და სათნო, როგორც გოგოთური, ისევე შემკული ფიზიკურითა და მორალური ძალით—და, მასთანვე, თვინიერი, უკვეხარი.—გოგოთურის ზნეობრივი სახე ბევრად უფრო ფართოდ არის დასურათებული, ვიდრე ოთიასი. გოგო-

თურს ცოლი შერჩევის, მშიერი რომ ვართ, წადი, გაცარცვე ვინმე და ცოლ-შვილი ხეირიანათ არჩინეო: მაშ რათ გინდა ეს შენი ძალა და ვაჟკაცობაო?! ზოგოთური უპასუხებს: „ნეტავ რას ამბობ, დიაცო, ჰკვას რად არ ატან სიტყვასა?.. რად მინდა მაშინ სიცოცხლე, ლუკმასა ვსჭამდე სხვისასა?!“-ო. ზოგოთურმა აფშინას —გამოსაკუთრებლად—თავი უძლურათ აჩვენა—და აფშინამ მას ცხენისა და იარაღის წართმევა და უიარაღოთ გაშვება მოინდომა, რაც ვაჟკაცისათვის აუტანელი სასირცხვო საქმეა, და როცა ზოგოთურმა ნამდვილი თვისი ძალა გამოაჩინა და თვით აფშინა დაიმორჩილა, სამაგიერო აფშინას არ გადაუხადა, მხოლოდ სიტყვით შეარცხვინა და ცხენიცა და იარაღიც დაუბრუნა. ოთია მესხის ზნეობრივი სახე კი მკრთალია: პოეტს ორი სიტყვით აქვს ნათქვამი, რომ ოთიამ ადამ ბებურიშვილს, რომელიც გაქცეულ ლეკს ალი-ფოლადს მისდევდა, უსაყვედურა, გაქცეულის უკან გამოდევნება რაინდისათვის საკადრისი არ არისო...

ყურადღების ღირსია, რომ ქართველ რაინდებს მარტო რაინდობა და ფიზიკური ვაჟკაცობის გამოჩენა კი არ აქვთ მიზნათ, როგორც უმეტეს ნაწილათ რაინდობაში იყო ხოლმე მიღებული, არამედ ვაჟკაცობის გამოჩენა—სამშობლოს დაცვასთან შეერთებული. ლეკს ალი-ფოლადს ადამ ბებურიშვილი (და ოთია მესხიც) მტრულათ განსაკუთრებით იმიტომ ეპყრობა, რომ იგი კახეთს იკლებდა, ხალხს ჟლეტდა.—საყურადღებოა აგრეთვე პოეტური დასურათება ქართველთა ჩვეულებისა—**სალამისა**.

7. **გამზრდელი**—დიდაქტიური ხასიათის პოემაა. **ხაფარ-ბეგმა**, სახელოვანი მეცნიერისა და მოძღვრის **ჰაჯი-უსუბის** ალზრდილმა, უზნეო საქციელი ჩაიდინა, და როცა ეს **ჰაჯი-უსუბმა** გაიგო, თავი მოიკლა: დამნაშავე მე ვარ, რომ

ასე უხეიროდ ადამიანი ამიზრდიხართ!.. ამ პოემას სარჩულად ხალხის შეხედულება უძევს, რომელიც ადამიანის ზნეობრივი აღზრდის შესახებ თავის აზრს ასე გამოსთქვამს: „დედა ნახე, მამა ნახე—შვილი ისე გამონახეო“, ან: „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“. ხალხის ნათქვამში აღზრდასთან ერთად შთამომავლობაც იგულისხმება, მამა-პაპათა შთამომავლობითი ზნე-ჩვეულება. მეცნიერებაც ასე გვეუბნება, რომ ადამიანის ხასიათის, მისი ზნეჩვეულების შემუშავებაზე დიდი გავლენა აქვს მშობელთა და საზოგადოთ წინაპართა გონებრივსა და ზნეობრივ გამომეტყველებას; მაგრამ აღზრდასაც დიდი გავლენა აქვს, ასე რომ კარგი აღზრდით შესაძლებელია შთამომავლობის ცუდი მიდრეკილება თუ სულ ვერ მოსპო, ყოველ შემთხვევაში შესამჩნევათ მაინც შეარბილო და გააკეთილშობილო. —ჰაჯი-უსუბის მოქმედება, რომ თავი მოიკლა, უფრო რეზონერულია, წინასწარ განზრახული ანგარიშით გამოხატული აზრია, ვიდრე ნამდვილის, ნორმალური ცხოვრების სურათი, ვინაიდან ჰაჯი-უსუბს თვისი ძალღონე და მეცადინობა არ დაუკლია, და თუ საფარ-ბეგში მხეცურმა გრძნობამ გამოიღვიძა, თვით ჩვენი პოეტის თქმის არ იყოს,—

„მაგრამ მარტო წრთვნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?...“

8. **ნაცარქექია**—ლამაზათ, მდაბიურათ დაწერილი ზღაპრული პოემაა. აკაკის ეს ნაცარქექია არა გავს იმ ხალხურ ნაცარქექიას, რომელსაც ფიზიკური ძალა არ შესწევს, მაგრამ, სამაგიეროთ, გამჭრიახი ჭკუითა და მოხერხებით ხშირათ დიდ საქმეს ეჭიდება—და კიდევაც ასრულებს და გაჭირვებიდან გამოდის. აკაკის ნაცარქექია ალალ-მართალი, პირდაპირი, პატიოსანი, წინაპრებით მდიდარი და სახელოვანი, დღეს თვით კი ღარიბ-ღატაკი კაცია, ზარმაცი და დაუდევარი. ალალ-

მართლობამ და დაუდევრობამ იქამდი მიიყვანა, რომ ყველა მას ჩაგრავს: საყანე ადგილ-მამული მეზობლებმა წაართვეს, მეთუნახავისაგან ნაწყალობევი ზღაპრული სუფრა—მეფემ, და ოქრო-ვერცხლის ხაზინა-ჯორი—ვაჭარმა. ყველა ეს ნაცარქექიას თავისი გულუბრყვილობით მოუვიდა, რომ ყველასი ჯეროდა. განსაკუთრებით საგულისხმოა ვაჭრის საქციელი: ქვეითობით დაქანცული ვაჭარი ჯორ-ხაზინის პატრონ ნაცარქექიას ჯერ ემუდარება, შემიბრალეო, და როცა ნაცარქექიამ იგი ჯორზე უკან შემოიჯდინა, ვაჭარმა იმდენი მოახერხა, რომ ნაცარქექიას ჯორის კისრისაკენ მიაწევია და ბოლოს სულ გადააგდო ჯორიდან. ვაჭარი შემდეგ ნაცარქექიას სახლკარსაც დაეპატრონა და მისი ბატონობა მოინდომა... მაგრამ, დასასრულ, მოთმინებიდან გამოსულმა ნაცარქექიამ ჭკუა ისწავლა და კეტს მიმართა, რომლითაც უსინიდისო ვაჭარი ბოლოს მოიშორა.—ამ ზღაპარში ალეგორიულად ქართველი ხალხის თავგადასავალია გამოხატული: მისი ალალ-მართლობა და გულუბრყვილობა, გარეშეებისაგან მოტყუება—და ბოლოს ჭკუის სწავლა და დარწმუნება იმაში, რომ ძალმომრეობის წამალი—ისევ ძალაა, „მომხთურს დამხთური უნდა".

9. **ბოგია-მეჩონგურე**—ლეგენდარული, ზღაპრული პოემაა, სადაც დახასიათებულია დედის—წრფელი, მწვავე, მშობლიური სიყვარული შვილისადმი, დის—მეგობრულად მოყვარული გული და გრძნობა ძმისადმი, და ცოლის—ფუქსავატი, ცვალებადი გრძნობა, იმისთანა გრძნობა, რომელზედაც ბაირონი „ჩაილდ-ჰაროლდ"-ში ამბობს: ცოლი ქმრის სიყვარულსა და დაშორების სიმწვავეს დიდხანს არ ინახავს, მას უცხო ვაჟის ხელი ადვილად მოსწმენდს ხოლმე ცრემლს თვალებზეო. აქვე გამოხატულია შვილის (ბოგიას) მოვალეობა სამშობლო ქვეყნისადმი.—„ბოგია-მეჩონგურე" რომანტიული ნაწარმოების ნიმუშია აკაკის ნაწერებში.

10. **ბაში-აჩუკი**—ისტორიული მოთხრობაა შაჰ-აბაზის დროისა, როცა კახელი სახელოვანი მამულიშვილე-ბი—ბიძინა ჩოლაყაშვილი და შალვა და ელიზბარ ერის-თავები—ეწამენ.—მოთხრობაში კარგი ადგილებია: 1) ზაალ ერისთავთან ბლახუკა ბაქრაძის (შემდეგში ბაში-აჩუკის) მო-ციქულათ მისვლა და ცხენით არაგვის გაცურვა, 2) ჯირით-ყაბახის აღწერა, როცა ბაში-აჩუკმა ოქროს თასი ჩამოაგდო და ქართველთა მოღალატე სიმონ მაყაშვილი მოკლა, 3) ჭი-დაობის აღწერა, როცა ბაში-აჩუკმა მოწინააღმდეგე აბდუ-შაჰილი დაამარცხა.—კარგათ არის აქ დახასიათებული კა-ხეთის მეფე თეიმურაზ I; პოეტი მას, სხვათა შორის, ორი-სიტყვით ასე გვიხატავს: „პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზი-აში პოლიტიკობდა“-ო!—აგრეთვე ისტორიული სისწორითა და შეგნებით გვისურათებს პოეტი შაჰაბაზის პოლიტიკას: როცა საქართველოსთან პირდაპირი სისასტიკე და მძვინვა-რება არ გაუვიდა, ცბიერობის პოლიტიკას მიყო ხელი და ბევრიც გააბა გაიძვერობის ქსელშიო.—თეირანისადმი ბიძი-ნა ჩოლაყაშვილის განწყობილება მოგვაგონებს სოფიოს გან-წყობილებას პეტერბურგისადმი („ბედი ქართლისა“): „აქ, ამ პატარა ახმეტაში, ყოველიფერი მალამოთ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას: მიწა, წყალი, მთა, კლდე, ტყე და ველი—ყველა ერთად ნათესაური კავშირით გადაბმულა ჩემთან!.. ვგრძნობ რაღაც ერთ-სისხლ-ხორცობას მათთან! ვგრძნობ—და პირს ადვილათ ვიტან!.. ამის სანაცვლოს რას მომცემს უცხოეთი“-ო,—ამბობს ბიძინა. ეტყობა, ბიძინას კარგათ ესმოდა მტერი-უცხოეთის გავლენა მის საყვარელ სამშობ-ლოზე: სპარსეთის გავლენა საქართველოზე ისეთივე იყო, როგორიც რუსეთისა. აი რას ამბობს ბიძინა ამის შესახებ: „დიდი ხანია, რაც ახალმა ცხოვრებამ გადაფხიკა კახელის გულის ფიცარზე დღემდი ღრმათ დაბეჭდილი მისი ისტო-

რიული ნაგრძნობი და ნაფიქრები!.. ქართულ ტკბილ-ღიღინს, ვაჟკაცურ შეხმატკბილებასა და სასოების მომგვრელ გალობას ბოლო მოუღო თათრულმა შექაქანებამ!.. ტკბილი ჩანგური და სალამური ზურნა-ჭიანურმა ჩაყლაპა"-ო!

აკაკის კიდევ აქვს რამდენიმე წვრილი პოემა და მოთხრობა: „ქუთათლის სიზმარი", „ბორგასლანი", „წმ. გიორგი და წმ. ილია", „ოცნება", „ქვიოელი სანთელი", „სიკვდილი" და სხვ. მათ შორის განსაკუთრებულის ცოცხალი ენითა და აკაკისებურის ოხუნჯური კილოთია დაწერილი „სიკვდილი", სადაც პოეტი მოგვითხრობს თავის პირად განწყობილებასა და საზოგადო შეხედულებას თანამედროვე ქართველობაზე, რაც ჩვენ ზევით უკვე განხილული გვაქვს.

## დრამატიული ნაწარმოები.

აკაკის, როგორც მისი ბიოგრაფიიდან დავინახეთ, სცენა უყვარდა და ყოველნაირათ ეტანებოდა მას; კალამიც ხშირათ უშინჯაეს პიესების—დრამების, კომედიების, ვოდევილების—სფეროში. მაგრამ, როგორც პოემებში, აქაც მხოლოდ აქა-იქ გამოსჭვივის მისი ჩვეულებრივი ნიჭი, ერთიანათ საგულისხმო კი არც ერთი მისი პიესა არაა, თუმცა რიცხვით საკმაოთ ბევრი პიესა დაუწერია: დრამები—„პატარა კახი", „მედია", „თამარ ცბიერი"; კომედიები—„ახალი გმირი", „ქუდურ ხანუმი", „მაიძვერები"; ვოდევილები და სცენები—„კინტო", „ბუტიაობა", „სცენა საპყრობილეში", „ადვოკატის დილა", და სხვ.

**პატარა კახი**—ისტორიული პიესაა, რომელშიც ერეკლე მეფის ცხოვრებაა აწერილი ახალგაზდობის დროისა, ტახტზე ასვლამდი. ამავე შინაარსის დრამა დაწერილი აქვს ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს („მეფის ირაკ-

მეორის პირველი დრო")—და შედარება ნათლათ გვი-ჩენებს, რომ აკაკის დრამის ზოგიერთი სცენა ოზეროვის დრამის მიბაძვით არის დაწერილი. ამ დრამაში დახატული არიან: პატარა-კახი, მისი გამზრდელი ზივი ჩოლაყაშვილი, ქევან ქვაბულიძე, რევაზ ზებურიშვილი, ბელა და მისი ქალი ერთა და სხვ.—ბრმა მოხუცი ბელა და მისი ქალი ერთა სოფოკლეს დრამის „ოიდიპოს"—ის გმირებს, ოი-დიპოსსა და ანტიგონას, მოგვაგონებენ. ბრმა ბელა თავისი ქალის წინამძღოლობით სოფლით-სოფლათ და ქალაქით-ქა-ლაქათ დადის და ქართველ ხალხს მოსეული მტრების წინააღ-მდეგ აჯანყებს.-დრამაში კარგათ არის დახატული ქვაბულიძისა და ერთას წმინდა, უმანკო სიყვარული, აგრეთვე სამშობ-ლოსადმი თავგანწირული სიყვარული ქვაბულიძისა და ზივისა და მტრის საწინააღმდეგოთ გამოწვეული აღფრთოვანება და-ბალი ხალხისა, რომელიც კეტებით და ბარ-ნიჩაბ-ცულ-ებით ერთსულოვნათ ამდგარა და მტრისაკენ მიიწევს. თვით პატარა-კახი ყველას სათაყვანებლათ გამხთარა, მაგ-რამ დრამიდან არა ჩანს, თუ რით გამოიწვია მან ასე-თი სიყვარული და თაყვანისცემა ხალხისა. დრამაში მხო-ლოდ მე-II მოქმედებაა მთლიანათ—რიგიანათ დასურათებუ-ლი, რომელიც, ცოცხალ მოქმედებას გარდა, თავისი შინაარ-სითაც (სამშობლოს დასაცავათ ერტვინვა და მზადება) იქ-ცევს მკითხველ-მსმენელის ყურადღებას—და ამიტომაც ეს მოქმედება ცალკე ხშირათ იდგმის ხოლმე ჩვენს სცენაზე.

„,თამარ ცბიერი"—დრამატიული პოემაა, სადაც იმერეთის მეფის გიორგის ცოლის თამარის ვნებათა-ღელ-ვით გატაცება და ამით სასახლესა და სამეფოში გამოწვეუ-ლი საქმეთა არევდარევაა მოთხრობილი. აქ მხოლოდ მგო-ნი გიჩაა მთლიანი და სრული, დამტკიცებითი ტიპი, ქვეყნის მოყვარული და მისთვის გულწრფელათ მომღერალ-

მოტირალი. დანარჩენი პირების მოქმედებას ხშირად
ბუნებრივობა, სინამდვილის წინააღმდეგობა ატყობა:
გალ., ნიკო გურულს, პოეტის სიტყვით, გაგიჟებით უ
ცირა—და ერთხელაც არ არის ნაჩვენები ეს გრძნობა; (
თამარის მოსაკლავათ შედის—და თამარი, გოჩას სიყვ
ლით გატაცებული თამარი—მას სატრფიალოთ იწვ
თამარ-ცბიერი. ეს გარყვნილი არსება, რომელიც უკანას
წუთამდი სულ ბოროტი აზრითა და გრძნობითაა შეპ
ბილი, უცებ (დრამის ბოლოს) გარდიქმნება ხოლმე
კეთილშობილ არსებათ იქცევა!...

,,**მედია**''—ლეგენდარული შინაარსის დრამაა.
დრამაში საქართველოს ისტორიული თანდაყოლილი ბე
ბალია მოთხრობილი. საქართველოს ზღაპრული სი
ნიერე უცხოელების ყურადღებას იპყრობდა—და ისინი
დაპყრობას ცდილობდენ. ბერძენთა გმირი იაზონიც
ნიერ კოლხიდას მოსულა ოქროს საწმისის გასატაცებლა
და იგი იხიბლება კოლხიდის მთავრის საოცნებო ასუ
მედიას სიმშვენიერით. მშობელს არა სურს-მედია უცხ
დაანებოს, რადგან ბერძნები გაუტანელ, ვერაგ ხალხათ
ჩნია, მაგრამ ,,ციხე შიგნიდან ვატყდა''—და თვით მედ
იაზონის სილამაზით მოხიბლულმა, ძმის საშვალებით ა
ლა მას საიდუმლო, რომლის ძალითაც იაზონმა დას
ყოველივე დაბრკოლება და, გამარჯვებულმა, ოქროს სა
სიც გაიტაცა და მედიაც თან წაიყვანა.

## საზოგადო დასკვნა.

მე-19 საუკუნის ქართველ მგოსანთა შო
სამი იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. მათ

პირველი ადგილი უცილობლათ ნ. ბარათა-
ის ეკუთნის.

მწერლის ნიჭიერების შეფასებაში ორნაირი
ა მხედველობაში მისაღები: ეპოქა, რომელშიც
ალი ცხოვრობდა და ხანი, რომლის განმავლო-
ე იგი მოღვაწეობდა. როდესაც „ვეფხის-ტყა-
ს“ გენიოსურ ნაწარმოებს ვუწოდებთ, ეჭვი
რის — ჩვენს ღრმა ცებას ის გარემოებაც ადი-
რომ ეს პოემა მე-12 საუკუნეშია დაწერილი,
ა მსოფლიო ლიტერატურაში მზგავსი სრულ-
ი ნაწარმოები იშვიათი იყო. რაცა ნ. ბარა-
ლს უდიდესი ნიჭის მქონეთ აღვიარებთ, აქაც,
ლია, იმით ხელვმძღვანელობთ, რომ ჩვენს მგო-
ახალგაზრდობაში შეუქმნია რამდენიმე დიდებუ-
ნაწარმოები — და აქიდან შემდეგი სამართლიანი
ვნა გამოგვყავს: სიცოცხლე რომ დაცლოდა,
ერება მისი კიდევ უფრო გაიფურჩქნებოდა, შე-
ედება მისი კიდევ უფრო გათვალსაჩინოვდებო-
ამიტომ იყო მისი სიკვდილი, როგორც ილია
თქვა, „უღვთო“.

რაც შეეხება ილიასა და აკაკის, როგორც ნა-
ნი მაქვს, თითოეული მათგანი პირველხარისხო-
თავთავის სფეროში: ილია — პოემა-მოთხრო-
რ, აკაკი — წვრილი ლექსებით, — და თუმცა
საუკუნის გენიოსი ამბობს: „მიმსგავსე არა ჰქვიან,
იტყვის ვინცა გრძელად ლექსო“, მაგრამ დღეს ყვე-

ლამ იცის, რომ პოეტური ნაწარმოების ღირსე
სიგძითა და სიმოკლით არ გაიზომება — და აკაკ
ბევრი ლირიკული თუ სხვა წვრილი ლექსი უმაღ
ლესათ დამამშვენებელია ჩვენი ლიტერატურისა.

აკაკი და ილია, როგორც უკვე ვიცით, გა
საკუთრებით უკანასკნელ ხანებში, პირადათ ერ
მანეთის უკმაყოფილო იყვნენ — და ჩვეულებრივ
ოხუნჯური კილოთი, რომელშიც თითქო უკმაყ
ფილება მოისმოდა, აკაკის არა ერთხელ უთქვ
თურმე: ილიას სახელთან უთუოთ ჩემიც უნდა
სენონ, ორივეს სურათი უთუოთ ერთად უნდა
მოათავსონო!.. მიუხედავათ მათის პირადი უკმაყო
ლებისა, ამ ორი მგოსნის სახელი და სალიტერ
ტურო მოღვაწეობა მართლაც განუყოფელია, ჩვე
ცხოვრების გარემოებით ურთერთს გადაკვანძულ
— და ერთს ვე ვერ ახსენებთ, რომ მეორეც
მოიგონოთ.

აკაკის სიტყვასა და ნაწერს უფრო ხალხის
საზე [illegible]ლა გავლენა: მგოსანი მთელ საქართველ
ში, მთელ ქართველ ხალხში ტრიალობდა, ცო
ხალი სიტყვით აღვიძებდა მას, მის თვალ-წინ — ი
ლამაზ ლექსებსაც თხზავდა, რომელიც თავისი ს
ბუქი, ნარნარი ფორმით უბრალო ხალხისათვის ა
ვილი გასაგები იყო. ილიას კი მოძრაობა ხალ
ში ტრიალი ეძნელებოდა, იშვიათად მოგზაურ
და — და ხალხი მას ისე ვერ იცნობდა, როგო

აკაკის. სამაგიეროთ, ინტელიგენციაზე ილიას ბევრათ უფრო დიდი გავლენა ქონდა, ვიდრე აკაკის: ილიას სიტყვა და ნაწერი, ღრმა ფილოსოფიური აზრითა და გრძნობით გამსჭვალული, უმეტესათ ინტელიგენციისათვის იყო სრულათ მისაწვდომი და შესაგნები და ინტელიგენციას იგი მართლაც ბოჰავდა და მსჭვალავდა ღრმა აზროვნებითა და მაღალი გრძნობით. აკაკი უმთავრესათ მსმენელის გულს ათამაშებდა და ატოკებდა, ილია — უმთავრესათ გონებას ამოძრავებდა და აფხიზლებდა. აკაკის გავლენა და მნიშვნელობა თანამედროვე ხალხში, მასაში უფრო დიდი იყო, ვიდრე ილიასი; ილიას გავლენა დ̃ მნიშვნელობა მომავლისათვის უფრო ხანგრძლივი და ძლიერი იქნება, ვიდრე აკაკისა.

ილიას და აკაკის სიცოცხლე საკმაოთ ხანგრძლივი იყო, ისინი საკმაოთ დიდხანს დასტრიალებდენ თავს ქართველთა ცხოვრებას, სათქმელი საკმაოთა სთქვეს დ̃ გასაკეთებელი საკმაოთ გააკეთეს, ისე რომ იმ აზრით, რომლითაც ილიამ ნ. ბარათაშვილზე სთქვა, მათზე არ ითქმის, მათი სიკვდილი „უღვთო იყო“-ო. ილიას სიკვდილი კი იყო უღვთო, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ უგნურმა მკვლელმა ძალათ გამოასალმა იგი წუთისოფელს; ხოლო აკაკის სიკვდილი ბუნებრივი იყო — და ისიც უეჭველია, რომ კალმითაც რაიმე ახალსა და მნიშვნელოვანს იგი ვერაფერს შექმნიდა. ამის თქმის

საბუთს გვაძლევს უკანასკნელი მისი პოემა „ომი", რომლის ღირსების შესახებაც, მომაკვდავი ავტორის სარეცელთან მყოფ მახლობელთა მოწმობით, მგოსანი მეტათ იმედიანი იყო და რომელიც ნამდვილათ კი მეტათ სუსტია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც. უკანასკნელი დროის წვრილ ლექსებზედაც იგივე უნდა ითქვას: ისინი აკაკის ჩვეულებრივ სიმკვირცხლესა და სინარნარეს და საზოგადოთ პოეტურ ღირსებას თვალსაჩინოთ მოკლებული არიან.

აკაკი უმთავრესათ რეალისტ მწერალთა შკოლას ეკუთნის, მაგრამ წმინდა რეალისტი იგი არ არის: მისი პოეზიის რეალისტური სახე რომანტიზმის სალებავითაა შეფერილი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დედამიწა აკაკის ცაში ნავარდის დროსაც არ ავიწყდება, მაგრამ ცაში ნავარდი მაინც ხშირათ უყვარს, ცხოვრების სინამდვილეს ხშირათ შორდება და ოცნების სამეფოში ისვენებს და ტკბება. აკაკი ხომ ლირიკოსია, სულის მოძრაობის მომღერალია —და, მაშასადამე, ესეც საკმაო საბუთია იმისათვის, რომ მას წმინდა რეალისტი მგოსანი არ ეწოდოს. —აკაკის ნაწერებში საკმაოთ მოიპოვება წმინდა რომანტიული ხასიათისა,—მაგალ.: „ბოგია-მეჩონგურე", „სულიკო", „ოცნება თარზე", „ლხინი" და სხვ.

აკაკი უმთავრესათ თავისი ქვეყნის უკულმართი ბედის მოტირალია, მაგრამ საკაცობრიო, მსოფ-

ლიო შავბედის ცრემლიც მრავლათ ილვრება მის ნაწერებში—და ამიტომ აკაკი ქართველ მგოსანთა შორის ე. წ. **მსოფლიო გოდების** მომღერლათ ითვლება.

**დ**იდი ღვაწლი მიუძღვის აკაკის ქართული ენის გამარტივებასა ჩ გახალხურებაშიც. მართალია, ალხურ ენასთან ქართული ენის დაახლოება აკაიმდი დაიწყო (**დ**ავით გურამიშვილის „ქაცვიაწყემსი", გ. ერისთავის კომედიები და სხვ.,) მაგრამ ისეთი სამსუბუქე, სიმარტივე და სინარნარე კარეგანი ფორმისა არც ერთ მწერალს არ შეუტაია ჩვენს ლიტერატურაში, როგორიც აკაკიმ შეიტანა, და ამ მხრით დიდი განსხვავებაა აკაკისა და ილიას შორის. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მის ენააც (მე სტილზე არ ვამბობ) აქვს დეფექტები. გრაატიკული და გამოთქმების უსწორმასწორობა ხომ აზოგადოთ მე-19 საუკუნისა და დღევანდელ მწეალთა ნაწერებში ხშირია—და აკაკის ნაწერებშიც რ არის იშვიათი. აი რამდენიმე ნიმუში აკაკის ნის უსწორმასწორობისა: 1) გამოთქმებში: ერთ ასშა იყიდება, სახლშა დავბრუნდი, ბუნებაზვე მოლეტილი, ყველამ ძარჩაეს, გოჰებს აჭყავლებს ა სხვ.; 2) გრამატიკულ ფორმებში: შესვაგს, ურტვს, მალამს, ჩაუხედის, ჩაუდევს, აგზავნის, წვიდე, დასჭკნდება, თვითეული, სანამდისინ, სი-, ცეცხლშიდა ვართ, სიდამაც, ესენება, ესეები, თებაებს, მომებსაც, და სხვ.—

ამ სახით, შეიძლება ვსთქვათ, რომ შეგნებული ცხოვრებით აკაკი ქართველ ხალხში 55 წელს ტრიალობდა და მოღვაწეობდა, თანამედროვე ჩვენს ცხოვრებაზე დიდი გავლენა იქონია და ბევრი საგულისხმო ნაწერიც დაუტოვა შთამომავლობას. ამისთანა ადამიანი არ კვდება და არც აკაკი მომკვდა.

იგი ქართველი ერის საუკეთესო შვილებში მარადის ცოცხალი იქნება და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაც მის სახელს ვერ დაივიწყებს.

თვით აკაკიმ ერთ ლექსში („პასუხი ახალგაზრდას") მშვენიერად გამოხატა თავისი საუკუნო კავშირი საქართველოსთან, მიწიერ ცხოვრებასთან. პოეტი ახალგაზრდას ეუბნება:

„შორი-შორსა ვართ, ვით ცა და მიწა,
შუაში გვაძევს უფსკრულ-საზღვარი:
შენ უკვდავი ხარ სიცოცხლით სავსე,
და მე კი ხავსი დამჭკნარ-გამხმარი.
მაგრამ ცისა და მიწის შორისაც
არის კავშირი უხილავი —
და ძველს ახალთან შეაერთებენ
ელექტრონული ძალი მხიბლავი,
დაუსაბამო და საუკუნო,
განუყოფელი, ერთადი, რთული,
შემოქმედების დიადი ძალი —
სული უკვდავი და სიყვარული!..
ეს იყოს ჩვენიც ამიერიდან

1916 (გვ. 1), 3) 1916 წლის 26 იანვარი (იქვე), 4) Ⴈვავანეს (9 გვ.), 5) შემდგი (17), 6) გვავლცებდა (18), 7) ჭაკოს დრო (28), 8) ლონე (29), 9) დარბაისელი (48), 10) სარშობლოს (58), 11) დამიანთა (59), 12) სხვადა,ხვა (60), 13) საშობლის (63), 14) ჩაგვრა-წამება (64), 15) შემაღებინე (68), 16) დისურათება (73), 17) ნეტარყბათ (82), 18) ქსყუნიერობის (92), 19) აკამიმნთა (92), 20) ქართთველ (95), 21) პაულოგს (110), 22) Ⴀკიკი (114), 23) ხიყვარული (119), 24) თაფლ-მალამოა (119), 25) ვულს (119), 26) ჩაუდ:მელი (120), 27) ნამვალი (124), 28) შამდეგ (125), 29) მტრების (32), 30) ჩეენა (133).

### უ ნ დ ა  ი ყ ო ს:

1) მოყვანილი სიტყვები ამ ადგილას არ უნდა; 2) 1840—1915, 3) 1915 წლის 26 იანვარი, 4) Ⴈვანეს, 5) შემდეგი, 6) გვაოცებდა, 7) ჭაკოს დროს, 8) ლონე, 9) დარბაისელი, 10) სამშობლოს, 11) ადამიანთა, 12) სხვადასხვა, 13) სამშობლოს, 14) ჩაგვრა-წამებაა, 15) შემაღებვინე, 16) დასურათება, 17) ნეტარებათ, 18) ქვეყნიერობის, 19) ადამიანთა, 20) ქართველ, 21) პოულობს, 22) Ⴀკაკი, 23) სიყვარული, 24) თაფლ-მალამოა, 25) გულს, 26) ჩამდგმელი, 27) ნამგალი, 28) შემდეგ, 29) მტრების, 30) ჩვენა.